ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | 23 თებერვალი, 2009 №8 (3501) | ფასი 1 ლარი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნულს აყადაღებენ?!

## რეალურია თუ არა გოჩა ძასოხოვის შიში?



გოჩა ძასოხოვი და მიხეილ სააკაშვილი ეროვნული სტადიონის გახსნისას

## 3 500 და ახალი ცხოვრება

„სარბიელის“ წინა ნომერი 3500-ე იყო და ამ 3500 ნომრის გამოშვებას სხვადასხვა დროის ასამდე სარბიელელის 18-წლიანი შრომა დასჭირდა. პირველი „სარბიელი“ 8-გვერდიანი იყო და კვირაში ერთხელ გამოდიოდა. მას მერე პერიოდულობა და გვერდების რაოდენობა რამდენჯერმე შეიცვალა. ამ კვირიდან 32-გვერდიანი „სარბიელი“ კვირაში ორჯერ — ორშაბათს და ხუთშაბათს გამოვა. ამით მკითხველის სურვილს შეძლებისდაგვარად ვითვალისწინებთ; გაზეთი უფრო მეტად ოპერატიული გახდება. ერთი სიტყვით, მომდევნო „სარბიელს“ ხუთშაბათს წაიკითხავთ.




## სეპარატისტული მუქარა:

# აფხაზეთის ნაკრები რუსეთის ჩემპიონატში

# ვიტ ჯორჯიამ დინამო ახლოს არ მიიკარა




www.witgeorgia.ge

## დღეიდან სარბიელი გამოვა კვირაში ორჯერ: ორშაბათს და ხუთშაბათს

What we learned this week

Inter have one hand on the Scudetto shield – the other is used to assist in scoring goals as Adriano illustrated. Milan really do need a new centre-back after Kakha Kaladze's horror show in the derby. Juventus lack the cutting edge to be serious Scudetto contenders. And Fiorentina boss Cesare Prandelli has more than just Plan A and B as his switch to a 2-4-4 formation in Genoa showed.

Words: Antonio Labbate

**ამ მასალის გადმოთარგმნამ რატომღაც კახა კალაძის მამის, კარლო კალაძის უცნაური რეაქცია გამოიწვია**

# ასე ვერ დადებთ ლელოს! რამ გააბრაზა კალაძის მამა?

**სპორტული** გაზეთების რედაქციებში არცთუ იშვიათად რეკავენ ან მოდიან სპორტსმენების ოჯახის წევრები და უკმეხად გთხოვენ პასუხს: რატომ დაწერეთ, რომ ჩემმა შვილმა (ძმამ, ბიძაშვილმა, ძმაკაცმა...) ცუდად ითამაშა?! ბიჭს გული ეტკინა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მეორედ აღარ გაბედოთ!

ასეთი შემთხვევებიც ყოფილა: ჩემმა შვილმა (ძმამ, ბიძაშვილმა, ძმაკაცმა...) კარგად რომ ითამაშა, საგანგებოდ რატომ არ აღნიშნეთო.

ან ასეთი: ჩემი შვილის (ძმის, ბიძაშვილის, ძმაკაცის...) გვარი სტატიაში ერთხელ იყო მოხსენიებული, ამა და ამ სპორტსმენისა კი სამჯერო...

რა უნდა უპასუხო?

ალბათ, არაფერი: უნდა მოუსმინო, ზრდილობიანად დაემშვიდობო და შენი საქმე განაგრძო.

ეს ყველაფერი კი, აი, რამ გაგვახსენა: გასულ კვირაში „ლელომ" იტალიური გაზეთიდან ნათარგმნი წერილი დაბეჭდა, რომელშიც მილანურ დერბიში კახა კალაძის თამაში უარყოფითად იყო შეფასებული. ამ წერილს, როგორც ლელოელებისგან შევიტყვეთ, კალაძის ოჯახის, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან მწვავე რეაქცია მოჰყვა.

როცა ხალხისთვის ნაკლებად ცნობილი სპორტსმენების დედებს, მამებს, ძმებს, ბიძაშვილებს თუ ძმაკაცებს აქვთ მწვავე რეაქცია, შედარებით ნაკლები პრობლემაა, მაგრამ ამ შემთხვევაში, როცა ლაპარაკი კალაძის ოჯახზეა, ვითარება განსხვავებულია.

კახა კალაძე, გარკვეული თვალსაზრისით, საზოგადო მოღვაწეა, რაკი მოედანსა თუ მოედანს მიღმა მისი ქცევა, ხალხს აინტერესებს და უამრავი ადამიანისთვის კალაძე მაგალითის მიმცემია.

ასეთი მაგალითების მიცემა კი, კარგი არ უნდა იყოს და არც თავად კახა კალაძის ავტორიტეტს მატებს რამეს. პირიქით...

**სარბიელელები**

**P.S.** საინტერესოა, იტალიელ ჟურნალისტებსაც ასეთი ტონით ელაპარაკებიან?!



კარლო კალაძე

## „რეპორტაჟი" კარლო კალაძის და მისი წარმომადგენლების მიერ ნუკრი ნეფარიძეზე განხორციელებული შეტევიდან



„მილანი" — „ინტერის" მატჩის შემდეგ კახა კალაძე ძალიან გააკრიტიკეს იტალიაში.

მეც გავაკეთე პატარა დაიჯესტი, სადაც მოვიყვანე რამდენიმე ციტატა წყაროს მითითებით.

გაზეთის რედაქციამ ეს მასალა გაიტანა პირველ გვერდზე და პლუს, ცალმხრივი რომ არ ყოფილიყო, ჟურნალისტმა დავით თავართქილაძემ დაურეკა კალაძეს და ჩამოართვა ინტერვიუ, სადაც სხვასთან ერთად კახამ ისიც აღნიშნა, რომ კრიტიკა უნდა მიიღოს.

მეორე საღამოს კახას მამამ, კარლო კალაძემ დაურეკა მთავარ რედაქტორს მობილურზე და მაგრად ეკამათა. ბატონმა თენგიზმა ტელეფონი არ მომცა და ეცადა, დაყვავებით მოეგვარებინა პრობლემა, მაგრამ...

მეორე დღეს მოვიდა ვიღაც ტიპი, თავი გამაცნო, როგორც კალაძის წარმომადგენელმა და მითხრა, ქართველი ხომ ხარ, რატომ უწერ ქართველს ეგეთ რამეს, ვინ გვყავს უკეთესი ფეხბურთელიო...

ავუხსენი სიტუაცია, თუმცა, როგორც მერე მივხვდი, იმისთვის არც იყო მოსული, რომ ჩემთვის მოესმინა. ისე, აგრესიული ნაღდად არ იყო.

მერე მითხრა მთავარი — კარლოს უნდა შენთან დალაპარაკებაო და გადაურეკა.

აი, აქ დაიწყო...

პირველივე წინადადებაზე მივხვდი, რომ ტყუილად ველაპარაკებოდი.

ჯერ მკითხა, სადაური კაცი ხარო და რაღაც ეგეთები, მალე კი „საქმეზე" გადავიდა და...

მერე შე ... , რეებს უწერ ჩემს შვილსო...

მე ვუთხარი, ნუ იგინებით-მეთქი...

ნუ ვიგინები კი არა, კეთილებს ...

და აღარ დავამთავრებინე. ვუთხარი, რომ უზრდელია და ტელეფონი გავუთიშე.

იმ ტიპს ვუთხარი, რა უნდა ველაპარაკო, იგინება-მეთქი.

კარგიო, ჩამომართვა ხელი და იცით, რა დააყოლა?

აქ რომ არ ვიყოთ, ცოტა სხვანაირად დაგელაპარაკებოდიო...

მომდევნო დღეს ბაღიდან ბავშვი უნდა გამომეყვანა. მამაჩემი დაკრძალვაზე იყო, მეუღლე კი — ზუგდიდში, მუშაობს. ჰოდა, სახლში დარჩენა მომიხდა. ცოტა ხანში რედაქციიდან ჩვენი მდივანი მირეკავს:

ნუკრი, რა ვქნა, ვიღაც ლაშა და გელა გელოდებიან და შენი მობილურის ნომერს მთხოვენო...

ვუთხარი, ახლა ვერ წამოვალ და მოვიდნენ ყურმილთან, დაველაპარაკები-მეთქი.

მოვიდა გელა. თავი გამაცნო კახას დაცვის უფროსად და მითხრა, შენთან ლაპარაკი მინდაო...

ვუთხარი, პრობლემა არ არის, დამელოდე, ოღონდ-მეთქი... და შეჰყვა ლაპარაკს.

ნორმალურად მელაპარაკა. ეგეც, ხომ იცი, რა კაციაო...

მე ვუთხარი, არ ვიცი, რა კაცია-მეთქი...

მოკლედ, მე კარგად მესმის, რომ ეს იტალიელებმა დაწერეს და შენ არაფერ შუაში ხარო... და ასე დავცილდეთ ერთმანეთს, თუ გარანტიას მოგვცემ, რომ სიცოცხლის ბოლომდე (!) კალაძეზე არც ერთ სიტყვას არ დაწერ, არც ცუდს და არც კარგსო...

მე ვუთხარი, გელა, ეს მუქარაა-მეთქი...

არაო, რას ამბობო...

აბა, ასეთ თხოვნას ვერავინ მიბედავს-მეთქი...

მართლაო? ჩაიცინა.

კარგი, მაშინ სხვანაირადო და, გამითიშა...

# იმედაშვილი უნგრეთში

**24 წლის** ქართველი მცველი დავით იმედაშვილი უნგრულ „ნიირედიჰაზში" გადავიდა. კონტრაქტი სამთვიანია — იმედაშვილი იჯარით ითამაშებს უნგრულ კლუბში.

შეგახსენებთ, რომ აქამდე დავითი კიევის „დინამოს" დუბლებში იყო!

**კახა ზალამბერიძე**

# სირაძე უცხოეთს ელის და ლოკომოტივს არ გამორიცხავს

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი დავით სირაძე თბილისის „ლოკომოტივში" ვარჯიშობს და თან ახალი გუნდს ეძებს.

სირაძე გროზნოს „ტერეკში" თითქმის გადასული იყო, თუმცა ტრანსფერი ბოლო წამს ჩაიშალა ფინანსური შეუთანხმებლობით გამო და ფეხბურთელიც უგუნდოდ დარჩა. არადა, ნალჩიკის „სპარტაკს", სადაც ჩვენიანი გასულ სეზონში თამაშობდა, დღემდე სურს მისი დაბრუნება.

ჯერჯერობით, სირაძეს არაფერი გადაუწყვეტია და სხვა შემოთავაზებებსაც ელის, თუმცა არც ისაა ბოლომდე გამორიცხული, რომ სეზონი „ლოკომოტივში" ჩაამთავროს...

GEORGIAN SPORT GROUP
ოფიციალური დილერი საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში
hummel
სპორტული ეკიპირება და აქსესუარები
arena
საწყლოსნო სახეობების ინვენტარი
EPSAN
POOL SPORTS & TECHNICS
ინდივიდუალური სკამები სტადიონებისთვის
polytan
ხელოვნური საფარი კორტებისთვის და ფეხბურთის მოედნებისთვის, სარბენი ბილიკები
daplast
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 49ა მე-3 სართული
899 92 46 76, tagi85@mail.ru

# რატომ ამოვიჩემე ლელო?!

## კახა კალაძე: ვინც ზღვარს გადავა, სხვანაირად დაველაპარაკები!

ბუნებრივია, მეორე გვერდზე დაწერილს ობიექტურობა დააკლდებოდა, რომ არა კახა კალაძის პოზიცია. სწორედ ამ მიზეზით შევეხმიანეთ საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანს მილანში.

...ყველაფერი კი „მილან" — „ინტერის" 15 თებერვლის მატჩის შემდეგ დაიწყო. იტალიური CHANNEL 4-ის ჟურნალისტმა ანტონიო ლაბატემ კახა კალაძე გააკრიტიკა და მის თამაშს ასე გამოეხმაურა — „კალაძის საშინელი შოუ". შემდეგ გაზეთ „ლელოს" ჟურნალისტმა ნიკოლოზ ნეფარიძემ პატარა დაიჯესტი გააკეთა, სადაც ლაბატეს რამდენიმე ციტატაც ჩასვა. პლუს, „ლელოს" მეორე ჟურნალისტმა დავით თავართქილაძემ კალაძეს დაურეკა და ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც კახა ამბობს, კრიტიკა ყველა ფეხბურთელმა უნდა მიიღოსო.

ასეთებიც ხდება... ზოგადად, საქართველოში კრიტიკა ცოტა საძნელო საქმეა — ზოგი თვინიერად ხვდება, მაგრამ ზოგი დაჭრილ დათვს ემსგავსება, როგორ თუ ესა და ეს გამიბედეო.

არის თუ არა კალაძე კრიტიკისადმი მწყრალი? როცა კახას დავუკავშირდით და მომხდარზე ვკითხეთ, მოურიდებლად, ყოველგვარი თემის მიჩქმალვის მცდელობის გარეშე გველაპარაკა. ლელოელებს კოლეგიალურ ბოდიშს ვუხდით — კალაძის სიტყვები მათთვის უსიამოვნო წასაკითხი იქნება, მაგრამ ფეხბურთელის მოსაზრება აუცილებლად და, როგორც ყოველთვის, შეულამაზებლად უნდა დავაფიქსიროთ. ამიტომ, პრინციპში, საბოდიშო არც არაფერია...



## საქართველოს ნაკრების კაპიტანი შეკვეთილ სტატიებზე ალაპარაკდა

**— ალბათ, გეცოდინებათ, „ლელოს" ჟურნალისტ ნიკოლოზ ნეფარიძესთან რედაქციაში თქვენი წარმომადგენელი მივიდა და განუცხადა, რომ კახა კალაძე ცუდ კონტექსტში არ უნდა დაეწერა, რასაც მოჰყვა მამათქვენის უხეში სატელეფონო საუბარი იმავ ჟურნალისტთან. რას იტყვით ამაზე?**

— ვინ მივიდა, არ ვიცი, მაგრამ ბოლო პერიოდში რომ „ლელოში" ჩემზე ცუდი სტატიები იწერება, ეს ფაქტია. მეტიც, ეს შეკვეთილი სტატიებია. ყველაფერი ვიცი და საქმის კურსში ვარ. საწყენია, ასე რომ ხდება. კალაძე კრიტიკას ვერ იტანს? ცხოვრებაში ბევრი კრიტიკა შემხვედრია და ამის ხარჯზეც გავხდი წარმატებული ფეხბურთელი, წარმატებული ადამიანი. თუმც ყველაფერს აქვს ზომა და ვინც საზღვრებს გადავა, სხვანაირად დაველაპარაკები. მგონი, არ არსებობს ჟურნალისტი, რომელსაც ინტერვიუს არ ვაძლევდე და უკმეხად ველაპარაკებოდე, ამიტომაც, რასაც ზოგიერთი თქვენი კოლეგა აკეთებს ჩემ მიმართ, ნამდვილად არ ვიმსახურებ. კი, შეიძლება უჭირთ და ფულს იღებენ კალაძეზე ცუდი კონტექსტით წერაში, მაგრამ თავზე ლაფს არავის დავასხმევინებ...

...იტალიურ პრესაში წერია, „ინტერთან" გაშვებული მეორე გოლი კალაძის ბრალი იყოო. ნაწილობრივ, შეიძლება, იყო კიდეც. ზლატან იბრაჰიმოვიჩთან საჰაერო ბრძოლა მომიწია, სადაც შეიძლება ან წაგო, ან მოიგო, მაგრამ იბრაჰიმოვიჩი არ იყო იმ მომენტში „მილანისთვის" ყველაზე საშიში ფეხბურთელი. გოლი სხვამ გაიტანა მისი პასით, რომელიც უმეთვალყურეოდ იდგა...

ამით რისი თქმა მინდა: „მილანის" თამაშებს ხომ უყურებთ? რატომ წერთ იტალიელებისგან? თქვენ დაწერეთ თქვენი ნააზრევი. რა, მათზე ნაკლებად გესმით ფეხბურთი?! მათზე ნაკლები ჟურნალისტები ხართ?! იტალიაში რომ ვინმე უვიცი ჟურნალისტი რამეს დაწერს, თქვენც ბრმად ხომ არ უნდა დაუჯეროთ?! ამას თქვენზე კი არა, ზოგადად ქართულ მასმედიაზე ვამბობ.

**— გამოდის, იტალიაში არიან ჟურნალისტები, რომლებიც ჩასაფრებულნი არიან და თქვენზე შეგნებულად ცუდს წერენ?**

— იტალიაში ათასნაირი სპორტული გადაცემაა, უამრავი ჟურნალ-გაზეთია, ყველა თავისებურად აფასებს ამა თუ იმ ფეხბურთელის თამაშს. ხომ ვერ გამოვეკიდები, ჩემზე ასე რატომ დაწერე და ისე რატომ არა-მეთქი. სხვათა შორის, „ოლიმპიდან" და „სარბიელიდანაც" არაერთხელ დაურეკავთ, „მილანის" თამაში ვნახეთ, კარგად გამოიყურებოდი და პრესამ ასეთი დაბალი შეფასება რატომ დაგიწერაო.

**— ჟურნალისტსაც ვერ გაამტყუნებთ. რა თქმა უნდა, თავისი ხედვა უნდა ჰქონდეს და დაწეროს, მაგრამ ისიც საინტერესოა, რას ფიქრობს იტალიური პრესა საქართველოს ნაკრების კაპიტანზე. ამიტომ, ვფიქრობთ, მასმედიას სრული უფლება აქვს, იტალიური პრესის ნააზრევი გადასცეს თავის მკითხველს...**

— ამაზე ერთ მაგალითს ვიტყვი — ხომ მეთანხმებით, რომ პაოლო მალდინის ბოლო წლებში ბევრი საშინელი თამაში ჰქონდა, მაგრამ მასზე ცუდად მაინც არ წერენ. იმიტომ, რომ უყვართ, აფასებენ, თავიანთი ფეხბურთელია. ჩვენთან კი ქართველებში, ასეთი რამ ჯერ არ არსებობს. საქართველოში ხომ ასეა — თუ დაიღუპება ადამიანი, მერე აძლევენ ორდენებს. განა მარტო სპორტში, ყველა სფეროში ასეა. არა უშავს, დრო გავა და ეს გამოსწორდება.

**— მამათქვენი „ლელოს" რედაქციას თავისი ინიციატივით დაუკავშირდა თუ მანამდე თქვენ ჩაერიეთ?**

— „ლელოს" მთავარი რედაქტორი მამაჩემის მეგობარია. ჩარევა და დავალება რა შუაშია, კაცმა აუხსნა, დაელაპარაკა რედაქტორს. მე მიჩვეული ვარ ასეთ კრიტიკას, მაგრამ ხომ გეუბნებით, „ლელო" ზღვარს გადასცდა.

**— ლელოელები ამბობენ, რომ მამათქვენს და თქვენს წარმომადგენლებს მათთან უხეშად ულაპარაკიათ და უთქვამთ — კალაძეზე საერთოდ აღარ დაწეროთ, არც კარგი და არც ცუდიო...**

— არც კარგი, არც ცუდი! ნუ, რას ვიზამთ... სხვა გაზეთში ჩემზე ცუდი არაფერი დაწერილა?! რატომ ამოვიჩემე „ლელო"?! კრიტიკა ერთია და, დაუკრეფავში რომ გადადიხარ, ეს უკვე არ არის ლამაზი. ყველამ თავისი ადგილი და ზღვარი უნდა იცოდეს!

**— თქვით, „ლელოს" შეკვეთილი მასალები აქვსო. მაინც, ვის უნდა დაეკვეთა თქვენზე ცუდ კონტექსტში წერა?**

— არ ვიცი, დევნას ხომ არ დავუწყებ ვინმეს...

**— და რატომ ხართ დარწმუნებული, რომ შეკვეთილია?**

— იქიდან გამომდინარე, რომ ყოველთვის ერთ კონკრეტულ გაზეთში იწერება და თანაც ზღვარგადასულ ფორმებში. თქვენ რა აზრს გამოიტანდით ჩემს ადგილზე? მე ყველა ინფორმაცია მაქვს საქართველოდან, მაინტერესებს, რას წერენ ჩემზე. ცნობილი სახე ვარ და ყველა მიცნობს. ჩემი ოფლით და ნიჭით მოპოვებული ქართველი ხალხის სიყვარულს ვილაც-ვილაცებს ერთი ხელის მოსმით არ წავაშლევინებ. ეს ყველამ იცოდეს!

**— როგორც ჩანს, ამ თემასთან დაკავშირებით თქვენი მკაფიო და გადაუთქმელი აზრით გაქვთ. ახლა ირლანდიასთან სანაკრებო მატჩზეც გკითხავთ: მსაჯმა რაც ქნა, ყველამ ვნახეთ. უშუალოდ თამაშზე რას იტყვით, როგორ შეფასებას გააკეთებდით?**

— ამ მატჩს ორ ნაწილად დავყოფდი. პირველ ტაიმში ანგარიში წავიყვანეთ და ირლანდიის ნახევარზე პრესინგიც გამოგვდიოდა, მასპინძლებს შეეძლოთ გათანაბრება, მაგრამ ჩვენც შეგვეძლო მეორე ბურთის გატანა. შესვენების მერე კი დაღლა დაგვეტყო, ბურთი ველარ დავიჭირეთ. დაცვიდან ბურთი რომ ამოგვქონდა, შუაში უკვე ველარ ვინარჩუნებდით. ძალიან გაგვირთულდა თამაში. პლუს, ირლანდიამ მსაჯის შეცდომებითაც ისარგებლა. ჩვენს ნახევარზე კუთხე-კუნჭული არ დარჩა, მსაჯს ჯარიმა რომ არ დაედო და უმეტესად არდასასტვენს უსტვენდა. პენალტზე არაფერს ვამბობ — ეს სასაცილო იყო, ჩვენთვის კი, საუბედუროდ, სატირალი.

**— როგორ ფიქრობ, პენალტის დროს მსაჯი, უბრალოდ, შეცდა? ამას შეცდომას დაარქმევთ?**

— მიძნელდება ამის თქმა. საერთოდ, მსაჯებზე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს.

**— მეორე ტაიმში მთლიანად დაცვაში რომ ჩაჯექით, ეს მწვრთნელის დავალება იყო თუ ირლანდიამ გაიძულათ?**

— არა, დავალება ის იყო, რომ ბურთი, რაც შეიძლება, დიდხანს დაგვეჭირა, ცენტრში გაგვეთამაშებინა. მაგრამ რად გინდა, მოედნის ცენტრისკენ მოგერიებული ბურთი იმწამს უკან გვიბრუნდებოდა. ჩოგბურთის პარტიასავით იყო გადაგდება-გადმოგდება და ასე გაგრძელდა.

**— ხშირად ისმის: ჰექტორ რაულ კუპერის ხელში ნაკრების თამაშის ხარისხმა იმატა, მაგრამ შედეგი არ ჩანსო. რაში ხედავთ სათამაშო პროგრესს?**

— პროგრესი იგრძნობა, მაგრამ კიდევ უნდა გაგრძელდეს. ყველამ ვიცით, რომ საქართველოს ნაკრები ის ძალა ვერაა, რაც პოტენციურად უნდა იყოს. ფეხბურთელები სწორ თამაშს სწავლობენ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. კუპერს ეტყობა, რომ მუშაობს და ეს აისახება კიდეც. სამშაბათობით საგურამოში წვრთნებს რომ ატარებდა, იმის შემდეგაც ჩანს, რომ საქართველოს ჩემპიონატში ფეხბურთელები სწორ თამაშს ითვისებენ, ტაქტიკურ სახეცვლილებებსაც ეგუებიან. ეს კი ადრე ძალიან აკლდა საქართველოს ნაკრებს. თუნდაც, არველაძეების, ქინქლაძის, ჯამარაულის თაობა რომ ავიღოთ, მაშინ ძლიერი ფეხბურთელები არ გვაკლდა, თითო პოზიციაზე სამი-ოთხი კაცი მოდიოდა, მაგრამ ტაქტიკურად მოიკოჭლებდა ნაკრები, დღეს კი უკეთესი მდგომარეობაა. ვიმეორებ, ეს არ არის საკმარისი, მაგრამ ნელ-ნელა ყალიბდება გუნდი და იმედია, შედეგიც იქნება.

**— „მილანზეც" ვთქვათ: „სკუდეტოს" მოგების შანსი ძალიან შეგიმცირდათ...**

— 11 ქულა სოლიდური სხვაობაა და ცხადია, ძალიან გაგვიჭირდება ჩემპიონობა. ჩემპიონთა ლიგის საგზური კი აუცილებლად უნდა მოვიპოვოთ. პლუს, უეფას თასის მოგებაც გვინდა.

**— ზოგადად, უეფას თასს გრანდები ალმაცერად უყურებენ...**

— ჩვენ სრული სერიოზულობით ვუდგებით. თანაც, ეს ერთადერთი ევროთასია, „მილანს" რომ არასოდეს მოუგია.

**— ტრავმების გამო ბევრი გიცდებათ და ისე ჩანს, კალაძეს ძველებურად აღარ აქვს „მილანის" ძირითადში ადგილი გარანტირებული...**

— ეს სწორედ ტრავმების ბრალია, უკან დამწია... ფეხი ძლივს მოვირჩინე და ირლანდიაში თამაში შევძელი, მაგრამ ვატყობ, მაინც საოპერაციოა.

**— როდის იკეთებთ ოპერაციას?**

— ჯერ არ ვიცი... ექიმი როგორც მირჩევს. შესაძლოა, სეზონის დასრულების შემდეგ გავიკეთო.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

## II წრე. 20 ტური




www.witgeorgia.ge

გიორგი მერებაშვილი და ლუკა რაზმაძე — ლიდერთა მატჩის მეგოლეები

# გორში ფრე გაგორდა

მე-20 ეროვნული ჩემპიონატის ლიდერების დაპირისპირებას გორში 600-მდე გულშემატკივარი დაესწრო და აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდს მთელი მატჩის განმავლობაში ამხნევებდნენ ფანკლუბის წევრები — ვიტელებმა ახლახან ჩამოაყალიბეს ფანკლუბი, „დინამოს“ კი კარგა ხანია, ჰყავს ფანების ჯგუფი, რაც თავისთავად მისასალმებელია.

ვიტელებს მაღალი სიცხის გამო კაპიტანი ალექსანდრე კვახაძე აკლდათ და მისი ადგილი დაცვის ცენტრში ამირან ყველაშვილმა დაიკავა, კაპიტნის სამკლაური კი გიორგი დათუნაიშვილს ეკეთა.

პირველი ხიფათისმაგვარი გრიგოლ ბედიაშვილის კართან შეიქმნა მე-3 წუთზე. მარჯვენა ფრთიდან შოთა კაშიამ დაიწყო შეტევა, მათე ვაწაძემ კარგად დაუგორა ბურთი გიორგი მერებაშვილს, რომლის დარტყმულს მცველი გადაელობა.

საწყის წუთებში უფრო მეტად ბურთს დინამოელები ფლობდნენ, მერე კი ვიტელებიც გაშინაურდნენ. მე-13 წუთზე ლაშა ჯაფარიძე ჩაერთო შეტევაში, რამდენიმე მეტოქე ჩამოიცილა და საჯარიმოში შეიჭრა, სადაც ფეხებში გულვერდ თომაშვილი ჩაუხტა. ჯაფარიძე დაეცა, ვიტელები პენალტს ითხოვდნენ, თუმცა არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ თამაშის გაგრძელება ბრძანა.

24-ე წუთზე გრიგოლ ბედიაშვილს აქტიურად მოუხდა თამაშში ჩართვა — შოთა კაშიას გასროლილი კუთხურზე მოიგერია. დავით დილმელაშვილის ნაკუთხურალს კი ახლოდან თომაშვილმა დასცხო თავური, მაგრამ ამჯერადაც საიმედოდ გაისარჯა მეკარე.

მერე ვიტელებიც გადავიდნენ შეტევაზე. ლუკა რაზმაძის საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა დიდიე ოვონომ და კუთხური, რომლის ჩაწოდებისას „ვიტ ჯორჯია“ დიდი ძალებით ჩავიდა საჯარიმოში და ამით „დინამომ“ ისარგებლა. ოვონომ ბურთი მოიხელთა და სწრაფი შეტევა წამოიწყო — მარჯვენა ფრთაზე ჩართო შეტევაში შოთა კაშია, რომელმაც კარგად ჩაუწოდა მერებაშვილს; ჩემპიონატის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელმაც ბურთი რბილად მიიღო და საჯარიმოს გარედან ისეთი დააქუხა, ბედიაშვილს აღების შანსი არ ჰქონდა. ძალიან ლამაზი გოლი იყო.

დინამოელებმა უპირატესობა დიდხანს ვერ შეინარჩუნეს — ჯაბა ლიპარტიამ გონივრული გადაცემით ოვონოს შეატოვა მანამდე ინერტული ვახტანგ კვარაცხელია. გაბონელს ისღა დარჩენოდა, წესი დაერღვია და ვადაჭკორიამაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც ლუკა რაზმაძემ გამოიყენა — 1:1.

მეორე ნახევრის განახლებიდან რამდენიმე წუთში მერებაშვილს დუბლის შესრულების კარგი შანსი მიეცა. მარჯვენა ფრთიდან შოთა კაშიამ ჩააწოდა, ალექსანდრე კოშკაძემ კარგად შეაყოლა მერებაშვილს, მანაც იოლად მოატყუა ყველაშვილი და ბედიაშვილთან პირისპირ დარჩა, თუმცა მეკარემ იყოჩაღა და ვიტელები აშკარა გოლს გადაარჩინა.

მე-60 წუთზე რაინერ ცობელმა ვაწაძის ნაცვლად ილია სპასოევიჩი ჩართო თამაშში. თუმც უნდა ითქვას, რომ ჩერნოგორიელს ბევრი არაფერი გაუკეთებია.

65-ე წუთზე გიორგი მელქაძის ჩაწოდებული ბურთი მეკარის ბაქანთან დაეცა და კარისკენ წავიდა, რომელიც ოვონომ გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე.

ამის მერე გუნდებმა ტემპი დააგდეს.

მოგვიანებით კი ისევ მერებაშვილი გამოირჩა — გიორგიმ ჯერ რამდენიმე მცველი ჩამოიშორა, საჯარიმოში შეიჭრა, სადაც დავით ლომაიასთან ბრძოლაში დაეცა. ამჯერად დინამოელები ითხოვდნენ პენალტს, მაგრამ უშედეგოდ. მალევე მერებაშვილმა მარცხენა ფრთაზე გაინავარდა და დაბალი ბურთი ჩააწოდა, თუმც შოთა კაშიამ ცარიელ კარში უხერხულად დაარტყა და ააცილა.

ბოლო ხუთ წუთში ვიტელთა თავკაცმა ნესტორ მუმლაძემ სამივე შეცვლა გამოიყენა, რითაც დროც მოიგო და სასურველ ფრესაც მიაღწია.

„დინამო“ კვლავ 6 ქულით ჩამორჩება „ვიტ ჯორჯიას“ და ერთი თამაშით ნაკლები აქვს — ამ გამოტოვებულ შეხვედრას „ზესტაფონთან“ თბილისელები 25 თებერვალს გამართავენ.

*რაინერ ცობელი:* „ძალიან კარგი თამაში იყო. „ვიტ ჯორჯიამ“ კარგად ითამაშა, თუმცა მოგების მეტი შანსი ჩვენ უფრო გვქონდა. ძალიან დამწყდა გული გამოუყენებელ მომენტებზე, თუმცა ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ“.

*ნესტორ მუმლაძე:* „ამ გუნდების შეხვედრა ყოველთვის განსაკუთრებულია. საერთო ჯამში ლოგიკური შედეგი მივიღეთ. ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ და ბიჭებს მადლობას ვეუბნები“.

**ნუკრი ლოლაძე**

---

21 თებერვალი. 14 საათი

**ვიტ ჯორჯია თბილისი — დინამო თბილისი 1:1**

გორი. "თ. ბურჯანაძე". 600 მაყურებელი

0:1 მერებაშვილი (27), 1:1 რაზმაძე (333)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, დ. ლომაია, ყველაშვილი, ბექვაია, ჯაფარიძე, გ. მელქაძე (კვალინიძე 90), რაზმაძე, კლიმიაშვილი, გ. დათუნაიშვილი, ლიპარტია (მგელაძე 88), ვ. კვარაცხელია (ზაქრაძე 86)

*სათადარიგონი:* ა. მიქაბერიძე; მაისაშვილი, ხურცილავა, ბერიაშვილი

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

დინამო: ოვონო, თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ჩარასი, შ. კაშია, გველესიანი (კოშკაძე 46), ხმალაძე, დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი, ვაწაძე (სპასოევიჩი 60)

*სათადარიგონი:* ლორია; კაკუბავა, ნერგაძე, ლომია, ჯიუსი

მწვრთნელი: რაინერ ცობელი

გაფრთხილება: ოვონო (34), ბექვაია (35), კვარაცხელია (54), თომაშვილი (61), ჯაფარიძე (75), ლიპარტია (83), კრშკო (84)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. ფიფია, ლ. თოდრია; ვ. ელისაბედაშვილი

---

21 თებერვალი. 14 საათი

**სკ გაგრა — სკ ზესტაფონი 1:3**

თბილისი. "ამერი". 600 მაყურებელი

0:1 ხიდეშელი (4), 0:2 იონანიძე (35), 1:2 ძაგანია (53), 1:3 გელაშვილი (74)

გაგრა: თევდორაძე, კუპრეიშვილი, გიგაური, კოზლენკო, გაბუნია, ტყეშელაშვილი, ცხადაია, გაბედავა, შარიქაძე (ჩარგეიშვილი 77), ბ. ცხადაძე (აბაშიძე 69), ძაგანია (გავაშელიშვილი 83)

*სათადარიგონი:* ხომერიკი; ლ. სეთურიძე, ქაჯაია, ჯარმელაშვილი

მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ლობჟანიძე, ს. თოდუა, ხიდეშელი, მაკარიანი, დაუშვილი, ბენაშვილი, ძარია, ნ. კვასხვაძე (გ. ნუგ. ჭელიძე 65), იონანიძე (შ. გრიგალაშვილი 68), ლ. მელქაძე (გელაშვილი 61)

*სათადარიგონი:* ძაძამია; კაჭკაჭიშვილი, კაკალაძე, გიორგიაშვილი

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: გაბედავა (42), დაუშვილი (66)

მსაჯი: ლ. სილაგავა; თ. ხუჭუა, ზ. გურგენიძე, მ. ბეუქლიშვილი

---

21 თებერვალი. 14 საათი

**სიონი ბოლნისი — ლოკომოტივი თბილისი 3:1**

ბოლნისი. "თ. სტეფანია". 400 მაყურებელი

1:0 სანიკიძე (7), 1:1 გილაური (23), 2:1 ჭელიძე (80), 3:1 გოცირიძე (84)

სიონი: გ. ჭანტურია, ორბელაძე, სვანიძე, ი. ვაშაკიძე, ქემოკლიძე (გ. ხიდეშელი 70), დიდავა, შალამბერიძე, სანიკიძე (ბობოხიძე 75), მიკუჩაძე, დავითაშვილი (ზ. ჭელიძე 77), რ. გოცირიძე

*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი, კაკაშვილი, ალადაშვილი, შავგულიძე

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

ლოკომოტივი: გ. ლომაია, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ხუმარაშვილი, გ. კვანტალიანი, დიაკვნიშვილი, გილაური (დ. ჩაგელიშვილი 78), კ. მახარაძე, ჩირიკაშვილი (ლ. ჩაგელიშვილი 53), კახელიშვილი, შ. კვანტალიანი (მოდებაძე 60)

*სათადარიგონი:* ბელელური, ა. კობიაშვილი, ე. კაჭახიძე

მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

გაფრთხილება: ლომაია, ხუმარაშვილი, გუშარაშვილი, ხუმარაშვილი, კახელიშვილი, ჭანტურია, დიაკვნიშვილი, დ. ჩაგელიშვილი

გაძევება: ხუმარაშვილი (52)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე, ი. მაჩიტიძე, ა. ნონიკაშვილი

---

21 თებერვალი. 14 საათი

**სპარტაკი ცხინვალი — ოლიმპი რუსთავი 1:1**

გორი. "ქართლი". 50 მაყურებელი

1:0 მეტრეველი (19), 1:1 ბაბუნაშვილი (44)

სპარტაკი: კოდალაევი, ქურასბედიანი, ვ. ქორიძე, გ. კვახაძე, კობახიძე (ბ. ხაჭიპერაძე 60), გ. თურმანიძე (ოქროპირიძე 75), შონია, გ. ჩივაძე, სახოკია (ავალიანი 79), ზ. მეტრეველი, სირბილაძე

*სათადარიგონი:* გ. იაშვილი, მგალობლიშვილი, გ. გაბელაია, ბ. გოცირიძე

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

ოლიმპი: მ. ალავიძე, გ. ონიანი, მაჭავარიანი, აკუასაგა (გ. ნოდ. ჭელიძე 46), გ. სეთურიძე, ხუბუა, ჩიკვილაძე (გ. ჩხეტიანი 75), დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი, მეგრელაძე, ფიფია (დეკანოსიძე 78)

*სათადარიგონი:* სტურუა, კაკულია, გორდეზიანი

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

გაფრთხილება: აკუასაგა, ხუბუა, ხუბუა

გაძევება: ხუბუა (75)

მსაჯები: კ. ჭაჭუა; კ. ტეფნაძე, დ. ხანოძე, დ. ხარიტონაშვილი

---

21 თებერვალი. 14 საათი

**სკ ბორჯომი — მესხეთი ახალციხე 0:0**

ბორჯომი. "ჯ. ზეინკლიშვილი". 400 მაყურებელი

ბორჯომი: მეყრილაძე, ი. ლომიძე, ლაცაბიძე, მენთესაშვილი, ხითარიშვილი, შ. ლობჟანიძე (ვ. ხაჩიძე 60), გაჩეჩილაძე (ნ. ლომიძე 65), ტუხაშვილი (გოგსაძე 82), დარსანია, პაელიაშვილი, ბ. ბაქრაძე

*სათადარიგონი:* ოქრომელიძე, გ. ლაბაძე, ქათამაძე, მანთიძე

მწვრთნელი: ჯუნგლი ქართველიშვილი

მესხეთი: ბათიაშვილი, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ფარულავა, პ. ხორგუაშვილი (გვირჯიშვილი 70), ლ. ვაშაკიძე, ლ. თედიაშვილი, ბეჟანიძე (ინასარიძე 70), ლ. ქებაძე, ლეკიშვილი (ვ. ხორგუაშვილი 86), სამადაშვილი

*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, ქოჩორაშვილი, თელიაშვილი, სუდაძე

მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

გაფრთხილება: თედიაშვილი, მემარნიშვილი, ი. ლომიძე, გაჩეჩილაძე, ტუხაშვილი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ა. კოკაია, ე. ნარმანია, ჯ. ბუიშვილი

## საქართველოს ჩემპიონატი 20
უმაღლესი ლიგა — II წრე. 20 ტური

# პოლუსების ამაო დაპირისპირება

„გაგრა“ — „ზესტაფონის“ ნამატჩევს გაგრელთა თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ თქვა, ჩემი ბიჭები ძლიერ გუნდთან ტოლ-სწორად სათამაშოდ მზად არ არიან, „გაგრა“ და „ზესტაფონი“ სხვადასხვა პოლუსზე დგანანო.

თუმცა ხაჩიძემ ისიც დაამატა, ერთი-ორი გამოცდილი ფეხბურთელი რომ მყოლოდა, 1:2-ზე თამაშს მოვატრიალებდითო.

გამოცდილ ფეხბურთელს გააჩნია, ლეო მესი და კრიშტიანუ რონალდუ რომ ჰყოლოდა „გაგრას“, ხაჩიძის სიტყვებს დაუფიქრებლად დავიჯერებდით, ისე კი, რა გითხრათ — „ზესტაფონი“ ძალიან აღემატებოდა მასპინძლებს და ორჯერ მეტის გატანაც შეეძლო.

„ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე ერთი პერიოდი „გაგრას“ ტექნიკური დირექტორი გახლდათ, მისი თანაშემწე გია ჭიაბრიშვილი კი ხაჩიძემდე სულაც მთავარი მწვრთნელი იყო „გაგრაში“.

ასე რომ, პატარა ინტრიგა ამ მხრივაც სდევდა მატჩს.

იცით, კიდევ რით სჯობდა „ზესტაფონი“ უმაღლესი ლიგის დებიუტანტს? სტუმართა ფეხბურთელები სულ ერთმანეთის შეძახილში, გამხნევებაში იყვნენ და ეტყობოდათ, რომ წუთით არ კარგავდნენ კონცენტრაციას. „გაგრა“ კი რაღაც ვერაა იშტაზე — ძალიან ცუდად გამოიყურება მეორე წრეში, არადა, გუნდმა თურქეთში გაიარა შეკრება.

„აქ ფსიქოლოგიური მომენტია. თურქეთში ტესტ-მატჩებზე ბიჭებს ტვირთი არ აწვათ, ახლა კი დაძაბულები არიან. გამოცდილება აკლიათ ფეხბურთელებს. დღეს ორი გოლი, ფაქტობრივად, ვაჩუქეთ „ზესტაფონს“ და ასე იყო „ოლიმპთანაც“ — თქვა ხაჩიძემ.

„ზესტაფონი“ მალევე ეწია საწადელს: მე-4 წუთზე ნიკა კვასხვაძემ მარჯვნიდან ჩააწოდა და შეტევაში ჩართულ გიორგი ხიდეშელს ახლო მანძილიდან ფეხით გატანა არ გასჭირვებია — 0:1.

გეგუჩაძემ 4-3-2-1 სქემით ათამაშა გუნდი, სადაც ლევან მელქაძე ცენტრფორვარდობდა, კვასხვაძე და ზურაბ იონანიძე კი გარემარბები იყვნენ.

იონა — ძალიან კარგად ჩაატარა მატჩი უბერებელმა ბომბარდირმა და აკი, გოლიც ალალად დაიმსახურა. 35-ე წუთზე მელქაძემ გაგრელთა დავით გიგაურს საჯარიმოს გარეთ წაართვა ბურთი და იონანიძეს გააყოლა, რომელიც მარცხენა ფლანგიდან შევიდა რევაზ თევდორაძის ბაქანში და ტექნიკურად გადაუგდო ბურთი თავზე — 0:2.

ფეროელთა წინა ხაზზე ვთქვით და ნახევარდაცვის სამეულის ყოჩაღობა ცალკე უნდა აღვნიშნოთ, სადაც მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი და ირაკლი ძარია იყვნენ. სამივენი ენერგიულად, ყველა ბურთზე იბრძოდნენ. მათგან საუკეთესოს გამორჩევა გვიჭირს. ისიც ვთქვათ, რომ ამათგან არცერთი არ აღემატება 20 წელს... ნიჭიერი, მონდომებული ბიჭები არიან...

„გაგრას“ პირველ ტაიმში ოდენ ერთი კარგი შეტევა გამოუვიდა, როცა ჯერ გიორგი ცხადაიამ ვერ დაარტყა კარგად და ზესტაფონელებმა ბურთი რომ გამოიტანეს, გიორგი ტყეშელაშვილმა უზუსტოდ დაამატა.

მეორე ნახევრის დასაწყისში კი მასპინძლებს იმედი მიეცათ: ინერტულმა ზურაბ ძაგანიამ საჯარიმოში მიიღო ბურთი და დაბალი დაურტყა როინ კვასხვაძეს — 1:2.

გეგუჩაძემ ამ მომენტზე თქვა, ორი ფეხბურთელი მინდორზე არ გვყავდა (ერთი ბუცებს იცვლიდა, მეორეს კი ტრავმას უშუშებდნენ) და ამან იმოქმედაო.

„ზესტაფონი“ ისეთი ფიცხი ვეღარ იყო მეორე ტაიმში. ერთი პერიოდი ისიც ვიფიქრეთ, დაცვაში ჩადგა და ოდენ ანგარიშის შენარჩუნებაზე გადაიტანს ფიქრსო, თუმც „გაგრას“ შეტევების არაქათი არ ჰქონდა.

იმერლებმა მაინც მოძებნეს ნაპრალები გაგრელთა დაცვაში და სამჯერ იყო გაჭრილი ვაშლივით მსგავსი ეპიზოდები: ლამაზი, დაფარული პასებით თევდორაძესთან პირისპირ რჩებოდნენ — მელქაძემ და იონანიძემ ეს ვერ გამოიყენეს, აი, შეცვლაზე შესულმა ნიკა გელაშვილმა კი იხეირა. 74-ე წუთი იყო, ძარიას პასით გელაშვილი გაგრელთა მეკარეს შეეყარა და ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი.

ასე მოუახლოვდა „ზესტაფონი“ „დინამოს“, ჩვენ კი აუცილებლად აღვნიშნოთ, რომ მატჩს პეტარ სეგრტი დაესწრო — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჯერაც მოქმედი ტექნიკური დირექტორი.

**ილია ნანობაშვილი**



გიორგი ჭელიძე

# ფერო-ტური

## პაჭელო ეროვნულს დაუბრუნდა

**ტურის** ეპიცენტრი გორში იყო, მთავართამაშმა დარაჩენი ოთხი მატჩის მნიშვნელობა ერთად გადაწონა, რაკილა, ფაქტობრივად, საჩემპიონო შეხლა გამოვიდა „ვიტ ჯორჯიასა“ და „დინამოს“ შორის.

ამ მატჩს მინი-ფინალურს უფრო დავარქმევდით და ნამდვილი ფინალი, ვფიქრობთ, მათი მესამე ურთიერთშეხვედრა იქნება. გვეეჭვება, იქამდე „ვიტ ჯორჯიასა“ და „დინამოს“ შორის სხვაობა იმდენად გაიზარდოს, რომ სატურნირო მნიშვნელობა დაკარგოს.

ნაკრებელების გატანილმა გოლებმა გორში გუნდები ფრეს დააჯერა. და მაინც, ვის უფრო აწყობდა ეს? ალბათ, ნესტორ მუმლაძის სამწყსოს, თუმც ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვიტელებმა შინ დაკარგეს ორი ქულა.

მაგრამ შაბათს ყველაზე გულგახარებული „ზესტაფონი“ დარჩა, რაკილა ზეოთხეულში ჩამწკრივებულებიდან მხოლოდ მათ მოიგეს, შესაბამისად, მესამე ადგილზე ხომ ალზევდნენ და მეორეზე მყოფ „დინამოსაც“ უფრო მიუახლოვდნენ.

25 თებერვალს სწორედ „დინამო“ — „ზესტაფონი“ გველის. აი, კიდევ ერთი მინი-ფინალი...

რუსთავის „ოლიმპმა“ კვლავ არ წააგო, მაგრამ თითქმის წაგების ტოლფასი არაა აუტსაიდერთან წაფორხილება?!

ცხინვალის „სპარტაკმა“ ვარლამ კილასონიას გუნდს ნერვები დააწყვიტა, ზვიად მეტრეველის გოლით დაწინაურდა და მართალია, რუსთაველთა შოთა ბაბუნაშვილმა შესვენებამდე გაათანაბრა, მაგრამ მეორე ნახევარში ბადე აღარ შერხეულა. ოლიმპელთა საქმე გელა ხუბუას გაძევებამაც გაართულა, თუმც იმ დროს 75 წუთი უკვე გასული იყო.

სხვათა შორის, ამ მატჩში დებიუტი ჰქონდა გიორგი ჭელიძეს, ვინც ცოტა ხნის წინ ყაზახურ „ორდაბასში“ აპირებდა გადასვლას...

წითელი ბარათი აფრიალდა ბოლნისშიც — „ლოკომოტივის“ მცველი გიორგი ხუმარაშვილი მეორე ტაიმის დასაწყისში გაუშვეს გასახდელში და „სიონმა“ ამის შემდეგლა დაშტურმა სტუმრები. ზედიზედ მეორე მატჩში გააქვს ბოლნისელთა ახალგაზრდა საყრდენ ნახევარმცველ ზაზა ჭელიძეს, რამაც ვინძლო, ისევ მოაბრუნოს ექტორ რაულ კუპერი მისკენ: არგენტინელი ხომ ჭელიძეს სამშაბათის ვარჯიშებზე იძახებდა ხოლმე.

0:0 — ასეთი ანგარიშიც გამოერია და ეს „ბორჯომის“ მეკარე ბექა შეყრილაძის „ბრალია“, ვინაც „მესხეთის“ ფეხბურთელების დარტყმულებზე პანტერასავით დახტოდა.

დიდი დაძაბულობაა ცხრილის ქვედა ნაწილში, სადაც ფსკერზე მყოფი „სპარტაკი“ კიდევ მოყოჩაღებული ჩანს, ხოლო ყველაზე სუსტად მეორე წრეში „გაგრა“ და „ბორჯომი“ გამოიყურებიან. სამცხელების გაჭირვება არ გვიკვირს. „გაგრას“ კი არც შემადგენლობა დასუსტებია და არც უცხოური შეკრება მოჰკლებია.

ერთიც: ტურში გატანილი 12 გოლიდან 8 პირველ ტაიმში გავიდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ზესტაფონი ჭანტურიას საკითხს ასაჩივრებს



**გრიგოლ ჭანტურიასა** და მის ყოფილ კლუბ „ზესტაფონს“ შორის დავას დასასრული არ უჩანს.

შეგახსენებთ, რომ ჭანტურიას სასარგებლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სტატუსისა და ტრანსფერების კომიტეტმა 22 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება, რომ „ზესტაფონმა“ ფეხბურთელს 14,5 თვის ხელფასი უნდა გადაუხადოს, თუმცა იმერული კლუბი ამ გადაწყვეტილებას არ ემორჩილება და გასაჩივრებას აპირებს.

„ზესტაფონი“ ფეხბურთის ფედერაციისგან ითხოვს პასუხს, თუ სად შეუძლია, ეს საკითხი გაასაჩივროს. როგორც შევიტყვეთ, ორშაბათს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ალმასკომის სხდომა გაიმართება და იქ ამ საკითხზეც იქნება მსჯელობა.

**ნუგზარი ლოლაძე**

# ბაიამ მოგება ჩამოიყოლა

**პირველლიგელმა** ზუგდიდის „ბაიამ“ ბოლო ამხანაგური მატჩი გამართა თურქულ შეკრებაზე.

ჰერბერტ ცანკერის გუნდმა შვეიცარიულ „ფკ ციურიხს“ 3:1 მოუგო. ქართველთაგან გოლები ეხვაიამ (34-ე წუთზე), წურწუმიამ (66) და პაჭკორიამ (89) გაიტანეს, „ბაიას“ შემადგენლობა კი ასეთი იყო: *ზარქუა, სვირავა, პაჭკორია, ქვანია, ქვარცხავა, ექონია, ნ. შონია, ქორია, წურწუმია, გუგუჩია, ეხვაია.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ქობალია, კ. შონია, ქანთარია, რაფავა.*

**ოთარ მხეიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვიტ ჯორჯია | 18 | 12 | 5 | 1 | 31:11 | 20 | 41 | 9 | 6 | 2 | 1 | 17:6 | 11 | 20 | 9 | 6 | 3 | 0 | 14:5 | 9 | 21 |
| 2 დინამო | 17 | 11 | 2 | 4 | 37:14 | 23 | 35 | 8 | 7 | 1 | 0 | 26:6 | 20 | 22 | 9 | 4 | 1 | 4 | 11:8 | 3 | 13 |
| 3 ზესტაფონი | 17 | 10 | 3 | 4 | 20:10 | 10 | 33 | 9 | 6 | 0 | 3 | 11:5 | 6 | 18 | 8 | 4 | 3 | 1 | 9:5 | 4 | 15 |
| 4 ოლიმპი | 18 | 8 | 8 | 2 | 22:11 | 11 | 32 | 9 | 5 | 4 | 0 | 12:2 | 10 | 19 | 9 | 3 | 4 | 2 | 10:9 | 1 | 13 |
| 5 სიონი | 18 | 7 | 7 | 4 | 21:15 | 6 | 28 | 9 | 3 | 4 | 2 | 12:9 | 3 | 13 | 9 | 4 | 3 | 2 | 9:6 | 3 | 15 |
| 6 ლოკომოტივი | 18 | 8 | 2 | 8 | 23:19 | 4 | 26 | 9 | 5 | 0 | 4 | 11:6 | 5 | 15 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | -1 | 11 |
| 7 მგლები | 18 | 5 | 4 | 9 | 16:23 | -7 | 19 | 9 | 4 | 1 | 4 | 10:7 | 3 | 13 | 9 | 1 | 3 | 5 | 6:16 | -10 | 6 |
| 8 მესხეთი | 18 | 4 | 6 | 8 | 12:24 | -12 | 18 | 9 | 3 | 3 | 3 | 8:10 | -2 | 10 | 9 | 2 | 2 | 5 | 4:14 | -10 | 8 |
| 9 გაგრა | 19 | 4 | 4 | 11 | 14:32 | -18 | 16 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:12 | -1 | 15 | 9 | 0 | 1 | 8 | 3:20 | -17 | 1 |
| 10 ბორჯომი | 18 | 2 | 6 | 10 | 15:36 | -21 | 12 | 8 | 1 | 4 | 3 | 7:10 | -3 | 7 | 10 | 1 | 2 | 7 | 8:26 | -18 | 5 |
| 11 სპარტაკი | 17 | 2 | 3 | 12 | 13:29 | -16 | 9 | 9 | 1 | 2 | 6 | 9:17 | -8 | 5 | 8 | 1 | 1 | 6 | 4:12 | -8 | 4 |

### გამოტოვებული მატჩები

25 თებერვალი. ოთხშაბათი
ბორჯომი – სპარტაკი
დინამო – ზესტაფონი

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 10 — | გიორგი მერებაშვილი | დინამო |
| 9 — | ნიკა გელაშვილი | ზესტაფონი |
| 8 — | მათე ვაწაძე | დინამო |
| | ვახტანგ კვარაცხელია | ვიტ ჯორჯია |
| 7 — | ირაკლი კიკნაძე | ბორჯომი |
| | ლევან ციტიშვილი | ლოკომოტივი |
| | ილია ხასიევიჩი | დინამო |

# ეროვნულს აყადაღებენ?!

## ძასოხოვის ნათქვამი მეძმარიაშვილ-ასანიძეს არ გაუგიათ

„სარბიელი“ არ არის პოლიტიკური გაზეთი და, ცხადია, არასოდეს ეშურება პოლიტიკური დასკვნის გაკეთებას ამა თუ იმ მოვლენიდან. ასეთ დროს ჩვენ მხოლოდ ფაქტების მოძიებას ვახდენთ და მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა მხარეს მივცეთ აზრის გამოთქმის საშუალება.

ამჯერად საზოგადოება „დინამო-ინვესტის“ პრეზიდენტ გოჩა ძასოხოვზე გვაქვს ლაპარაკი. ამ კაცმა ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციაში დიდი ფული დახარჯა, თუმც მერე, ჩვენთვის გაურკვეველი ამბების გამო საქართველო დატოვა და უცხოეთს მიაშურა. ახლა კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეროვნულ სტადიონს და „დინამო-ინვესტის“ სხვა უძრავ-მოძრავ ქონებას მალე ყადაღა დაედება.

საინტერესოა, რა ხდება სინამდვილეში და ჩვენც ამის გასაგებად ჯერ თავად ძასოხოვს შევეხმიანეთ...



გოჩა ძასოხოვი და მიხეილ სააკაშვილი ეროვნული სტადიონის გახსნისას

სარბიელის არქივიდან

**გოჩა ძასოხოვი:** „აგვისტოს მერე დაიწყო ჩემი დევნა. მაშინ ვიგრძენი, რომ ჩემს მობილურსაც და ქალაქის ტელეფონსაც უსმენდნენ. ჩემი აზრით, ძალიან ბევრი გავაკეთე საქართველოსთვის, კონფლიქტის ზონაშიც უამრავი ფული დავხარჯე — გასართობი ცენტრი, მუნიციპალური შენობა, სპორტული მოედანი ავაშენე და ამის მერე გაუგებარია, რატომ გამომაცხადეს მოღალატედ. ყველანაირად გვერდში ვედექი ქართველ ხალხს...

...ალბათ მთავრობამ ჩემზე ჯოხის გადატეხვა იმიტომ მოინდომა, რომ სანაკოევის შეცვლაზე უარი ვთქვი. არადა, მინდოდა, კარგი პროექტები განმეხორციელებინა კოკოითის კონტროლირებად ტერიტორიებზეც...

...სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ჩემი დევნა დაიწყო. გეცოდინებათ, მე ვარ საზოგადოება „დინამო-ინვესტის“ პრეზიდენტი და ჩვენს საზოგადოებას უამრავი უძრავ-მოძრავი ქონება აქვს. რომელი ერთი ჩამოვთვალო — სამოედნე ადგილები, სასტუმროები და ბაზები ქუთაისში, ბათუმსა და ქობულეთში...

...ჩემი პირადი ქონება დაახლოებით 35 მილიონს შეადგენს. უკვე დააყადაღეს ჩემი ბინები თბილისში, ასევე აგარის შაქრის ქარხანა... მალე ალბათ ეროვნულ სტადიონსაც დააყადაღებენ, მერე „დინამო-ინვესტის“ ქონებასაც ზედ მიაყოლებენ და ახალ მფლობელსაც მოძებნიან. ბადრი პატარკაციშვილის ქონება თუ გადაინაწილეს, მე დამინდობენ?!

...სანამ ვჭირდებოდი, მთავრობის წარმომადგენლები თავს მევლებოდნენ, ახლა კი თურმე მოღალატე გამოვდექი. ახლა ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა ქონება წამართვან, ვინმეზე გადააფორმებენ ყველაფერს და ამით საბოლოოდ ჩამომიშორებენ. სამწუხაროდ, ახლა მეტს ვეღარაფერს გეტყვით...“

ძასოხოვთან საუბრის შემდეგ ეროვნული სტადიონის დირექტორ **ირაკლი მეძმარიაშვილს** დავუკავშირდით და სტადიონის შესაძლო დაყადაღების თაობაზე ვკითხეთ. მეძმარიაშვილის პასუხი ასეთი იყო: „პირველად მესმის სტადიონის დაყადაღების ამბავი. ჩვენ ჩვეულებრივად ვაგრძელებთ მუშაობას.“

და ბოლოს, პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**: „ეროვნული სტადიონის შესაძლო დაყადაღებაზე ინფორმაციას არ ვფლობ. ნამდვილად არაფერი ვიცი და ვერაფერს გეტყვით“.

**კახა შალამბერიძე**



სარბიელის არქივიდან

# მათე ღვინიანიძე ისევ დაშავდა...

**ლევან კობიაშვილმა** „შალკეში“ ძალიან კარგი მატჩი ჩაატარა, თანაც, „დორტმუნდთან“ რურის დერბიში. შეხვედრა 1:1 მორჩა, ჩვენიანმა კი მარცხენა მცველად შეუცვლელად ითამაშა და საკმაოდ აქტიურიც გახლდათ. რაც შეეხება ლევან ყენიას, კვლავაც ტრავმა აქვს და სარეაბილიტაციო კურსს გადის.

„კობის“ გარჯა კარგი, მაგრამ მის „შალკეს“ ამგვარი მოღუშული სეზონი კარგა ხანია, არ ჰქონია — ცხრილის შუაგულშია.

ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუე“ შინ 0:1 დამარცხდა „აინტრახტთან“. KSC-ის მწვრთნელმა ედმუნდ ბეკერმა ბოლო დროს რატომღაც სათადარიგოებში გადაიყვანა ჩვენიანი. ახლაც ბოლოს, 76-ე წუთზეღა შეიყვანა მინდორზე.

მეორე ბუნდესლიგაში ლევან ცქიტიშვილის ოფიციალური ვეენური დებიუტი შედგა. ქართველმა ნახევარმცველმა „ნიურნბერგთან“ (0:1) 90 წუთი გაატარა მინდორზე და ერთხელ თანაგუნდელი მეკარესთან თითქმის პირისპირ დატოვა, თუმც–

დავით თარგამაძის „ფრაიბურგმა“ 1:0 აჯობა ოთარ ხიზანეიშვილის „აუგსბურგს“. 19 წლის ქართველი განაცხადში იყო, თუმც მინდორზე არ შეუყვანიათ, „ხიზანეის“ კი სამატჩო ოქმებში კარგა ხანია, ამაოდ ვეძებთ.

და მათე ღვინიანიძე: „მიუნხენ 1860“-ის ქართველი მცველი „დუისბურგთან“ (1:4) მე-19 წუთზე შეცვალეს ტრავმის გამო. ვერ გეტყვით, რამდენად სერიოზულია 22 წლის მათეს ტრავმა, რომელსაც ხშირად აქვს ამგვარი ფათერაკი გადატანილი — ძალიან უიღბლოა.

# თარხნიშვილი ამკარშია

**ცხინვალის** „სპარტაკიდან“ წასული თორნიკე თარხნიშვილი პერმის „ამკარის“ დუბლებში თამაშობს. 18 წლის ნახევარმცველმა ორი ტესტ-მატჩი ჩაატარა, თუმცა დარჩება თუ არა რუსულ კლუბში, ჯერ უცნობია.

შეგახსენებთ, რომ თარხნიშვილი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი გახლავთ და ცოტა ხნის წინ ბოლნისის „სიონში“ მის გადასვლაზე სერიოზული ლაპარაკი იყო.

**ილია ნანობაშვილი**

# ანჟიმ ჯიქია გაატრანსფერა

**მახაჩყალის** „ანჟიმ“ ქართველი თავდამსხმელი რევაზ ჯიქია ტრანსფერზე დააყენა. ჯიქიას რუსეთის მოქალაქეობა აქვს, თუმც საქართველოს ხუთ კლუბში უთამაშია — „ტორპედოში“, „ბათუმში“, „მგლებში“, „ბორჯომში“ და „ოლიმპში“.

ჯიქიამ გასულ სეზონში 32 მატჩი ჩაატარა „ანჟიში“ და 5 გოლი გაიტანა, თუმც როგორც ჩანს, დაღესტნელთა თავკაცი ომარ თეთრაძე მისით უკმაყოფილო იყო.

**ილია ნანობაშვილი**

# დანიელი ქართველების ტესტები

**დავით დევდარიანი** „ორჰუსის“ ძირითად შემადგენლობას გაუშინაურდა. ტესტ-მატჩებში ქართველს მუდმივად ათამაშებენ და მწვრთნელ ერიკ რასმუსენს მასზე კარგის მეტი არაფერი უთქვამს.

ბოლო ამხანაგურში „ორჰუსმა“ „ჰორსენსთან“ 0:1 წააგო, ჩვენიანმა კი მარცხენა ნახევარმცველად ითამაშა და 77-ე წუთზე შეცვალეს.

დანიის რანგით მეორე ლიგის ლიდერმა „ვიბორგმა“ კი სუპერლიგელ „რანდერსთან“ 1:1 დაასრულა, ვიბორგელთა ლიდერმა გიორგი ფოფხაძემ საგოლე პასი მიითვალა.

რაც შეეხება დანიაში მოთამაშე მესამე ქართველს, რანგით მესამე ლიგის ჰიკ-ის ფორვარდ მიხეილ ბარაბაძეს, გადაწყვეტილია, რომ ის ზაფხულამდე კლუბს აღარ შეიცვლის.

**ილია ნანობაშვილი**







# მიხეილ სააკაშვილის ოცნების ბარსელონა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ესპანეთში ვიზიტისას კატალონიასაც ესტუმრა და „ბარსელონას“ პრეზიდენტ ხუან ლაპორტას შეხვდა.

შეხვედრა „კამპ ნოუზე“, ჯილდოთა დარბაზში გაიმართა. ლაპორტამ სააკაშვილს საკლუბო მაისურა და „ბარსელონას“ ისტორიის წიგნი აჩუქა. სააკაშვილმა თავის მხრივ, ლაპორტას ოქროს ფიალა გადასცა და გაამხილა, „ბარსელონას“ ძველი გულშემატკივარი ვარო. შემდეგ ლაპორტამ სააკაშვილს სტადიონი დაათვალიერებინა და პრეზიდენტები მოედანზეც გავიდნენ, სადაც სააკაშვილმა ბურთიც აკენწლა და თქვა, ოცნება ავისრულეო.













## ბარსელონა: მალე საქართველოში

**მიხეილ სააკაშვილის** პრესცენტრის ინფორმაციით, მალე საქართველოში „ბარსელონას“ სპეციალიზებული ბავშვთა სკოლა გაიხსნება.

ეს ამბავი ჩვენი ქვეყნისა და კატალონიური კლუბის პრეზიდენტების შეხვედრაზე გადაწყდა.

ჯერჯერობით თარიღი უცნობია, თუმცა ალბათ წლეულს თბილისში ხუან ლაპორტას წარმომადგენლები ჩამოვლენ და ამ საკითხის მოსაგვარებლად მუშაობას დაიწყებენ.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას“ სკოლაში ერთი ქართველი ირიცხება — საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრი გიორგი ჭანტურია, ვინც საფეხბურთო სკოლა „საბურთალოდან“ აიყვანეს კატალონიელებმა.

**ბაჩა ზალამბერიძე**

## ცქიტიშვილი პირველად ჰოფენჰაიმთან გამოჩნდა

**ლევან ცქიტიშვილის** გერმანული დებიუტი ბუნდესლიგის ერთ-ერთ ლიდერ „ჰოფენჰაიმთან“ ამხანაგურ მატჩში შედგა.

ცქიტიშვილი „ვეენის“ ძირითად შემადგენლობაში იყო და 77-ე წუთზე შეცვალეს.

„ვეენი“ 1:2 დამარცხდა „ჰოფენჰაიმთან“.

შეგახსენებთ, რომ ცქიტიშვილი „ვეენში“ თბილისის „ლოკომოტივიდან“ გადავიდა იანვრის ბოლოს.

და ერთიც: „ვეენის“ სარეზერვო გუნდმა ამხანაგურ მატჩში 9:0 მოუგო „ბაიბრიხს“ და საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე კარაპეტიანმა დუბლი გააკეთა.

**ბაჩა ზალამბერიძე**

## ბაიამ ფრეც გამოურია

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა ზუგდიდის „ბაიამ“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა.

გერმანელი ჰერბერტ ცანკერის შეგირდები რუმინეთის მეორელიგელ „კონკორდიას“ გაეჯიბრნენ და 2:2-ზე გაეყარნენ.

ზუგდიდელთაგან გოლები ზურაბ ექონიამ (პენალტით) და ირაკლი ეხვაიამ გაიტანეს.

„ბაიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ივარდავა (ზარქუა), სვირავა, გ. პაჭკორია, ქვანია, ქვარცხავა, ზ. ექონია (ვუჯუჯიანი), წურწუმია, ეხვაია, ნ. შონია (კუტალია), რაფავა (სიხარულია), ქირია.*

**ბაჩა ზალამბერიძე**



ჰერბერტ ცანკერი

## დვალიშვილმა აშხაბადში გოლი წაიღო

**ლატვიური** „სკონტო“ აშხაბადში გაემგზავრა, სადაც ტრადიციულ „თურქმენბაშის თასზე“ ითამაშებს.

დავით გამეზარდაშვილის და ლადო დვალიშვილის გუნდს ჯგუფში ყირგიზული „აბდიშ-ატა“, ირანული „პემატი“ და თურქმენული იტტუ ჰყავს.

აშხაბადში წასვლამდე კი „სკონტო“ საკონტროლო მატჩში ტალინის „ლევადიას“ გაეჯიბრა (1:1) და ეს ერთადერთი გოლი დვალიშვილმა გაიტანა.

ერთიც: „თურქმენბაშის თასის“ მომგები გუნდი 20 000 დოლარს მიიღებს, მეორე ადგილზე გასული 10 000-ს, მესამეადგილოსანი კი — 5 000-ს.

**ოთარ მხეიძე**



## დინაბურგი გაზპრომს ვერ მოერია

**ლატვიური** დაუგავპილსის „დინაბურგმა“, ვისი თავკაციც თამაზ პერტიაა, თურქულ შეკრებაზე მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა რუსეთის პირველდივიზიონელ „გაზპრომთან“ და 1:2 დამარცხდა.

„დინაბურგის“ ქართველმა ახალწვეულმა ირაკლი ქორთუამ სრულად ითამაშა.

## ცხადაძემ აზერბაიჯანი ჩაშალა

**25 თებერვალს** საქართველოს და აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებებს ბაქოში ამხანაგურად უნდა ეთამაშათ, თუმცა ეს შეხვედრა აღარ შედგება.

აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, თამაშზე უარი საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ თქვა.

მიზეზი გასაგებია: საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის კალენდარში ამ კვირისთვის ბევრი ცვლილება მოხდა და 25 თებერვალს ორი თამაში დაინიშნა, თან ეს დღე ფიფას კალენდარში არ არის და გამოდის, რომ ლეგიონერებიც ვერ შეძლებდნენ ჩამოსვლას.

მოკლედ, ცხადაძის დებიუტი ალბათ 1 აპრილს შედგება. არის ვარიანტი, რომ ამ დღეს თბილისში ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრები ჩამოვიდეს.

# ელიავამ ურალს ვერ გადააბიჯა




**თბილისის** „დინამოდან" წასული ზაალ ელიავა რუსეთის პირველდივიზიონელ „ურალში" ცდილობდა ჩარიცხვას, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა.

„ურალის" ვებგვერდის ცნობით, ელიავამ გუნდს თურქეთში ჩააკითხა და ტაშკენტის „ფახთაქორთან" ამხანაგურ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა.

რუსები 0:3 დამარცხდნენ, ქართველმა მცველმა კი ოდენ პირველი ტაიმი ითამაშა და სწორედ ამ თამაშის შემდეგ დატოვა „ურალი".

საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატი ჯერაც რიგის „სკონტოს" ეკუთვნის და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ნახევარი თბილისის „დინამოში" იჯარით გაატარა...

# ვოივოდინას სუპერ-ხუციშვილი




**მიხეილ ხუციშვილი** თავის ახალ კლუბ „ვოივოდინაში" გოლებს შეეჩვია. ზამთრის ტესტ-მატჩში ჩვენიანმა უკვე 5-ჯერ შეაგდო და აქედან ბოლოს „ბორაცთან" 4:0 და „ზეტასთან" 3:2 მოგებულ მატჩებში შეაგდო თითო-თითო.

„ვოივოდინა" სერბეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს (მათ შორის, სერბეთის ნაკრებისა) და ხუციშვილს საკმაო ბრძოლა მოუხდება ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად.

ისე კი, ერთ-ერთ სერბულ ვებგვერდზე სტატია ვნახეთ, სადაც „ვოივოდინას" მწვრთნელი დუშკო პეტროვიჩი და ქართველი თავდამსხმელი ერთმანეთს მხურვალედ ესალმებოდნენ და წარწერაც ასეთი ამშვენებს: SUPER HUCISHVILI.

**ილია ნანობაშვილი**

# კაუნასმა მანჩხავა მოატყუა
## ქართველები ლიტვიდან ბელარუსისკენ



**ლიტვური** „კაუნასი" დაშლის პირასაა და ფეხბურთელები ერთიმეორის მიყოლებით გარბიან კლუბიდან.

გადაწყვეტილი ამბავია, რომ ნუკრი მანჩხავა ზაფხულამდე ბელარუსში ითამაშებს, სავარაუდოდ, ეს სოლიგორსკის „შახტიორი" იქნება.

მანჩხავას „კაუნასმა" „ფოკუსი" ჩაუტარა: სექტემბერში მას წინასწარი მოლაპარაკება ჰქონდა კლუბთან, რომლის თანახმადაც იანვრიდან გაუმჯობესებული პირობებით უნდა გაგრძელებულიყო ხელშეკრულება.

თუმც „კაუნასმა" ეს კონტრაქტი არ დაარეგისტრირა და ამის შესახებ ახლაღა აცნობა ნუკრის — ასეთ დროს კი თავმოყვარე ფეხბურთელი რომ გუნდზე გულს აიყრის, ცხადზე ცხადია. მან კონტრაქტი გაწყვიტა და ახლა თავისუფალი აგენტია.

სავარაუდოდ, „კაუნასს" მალე აკაკი ხუბუტიაც დააკლდება, მაგრამ ეს ახლავე მოხდება თუ ზაფხულში, ჯერ გასარკვევია. თუ ახლავე წავა, მაშინ მასაც ბელარუსი დარჩენია ვარიანტად.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართულები აზერბაიჯანში



ამირან მუჯირი

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატის გამოსარჩევი მატჩი „ბაკი" — „ნეფთჩი" იყო და ხომ წარმოგიდგენიათ, რა ჟინით ითამაშებდა გიორგი ადამია ყოფილი გუნდის წინააღმდეგ. „მენავთობეთა" გერმანელმა თავკაცმა იურგენ გედემ ჩვენიანი გუნდიდან გაუშვა, არადა, გიორგი მათი საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ.

ადამიამ „ნეფთჩის" ვერ გაუტანა, მაგრამ აზერბაიჯანული პრესის ცნობით, ძალიან აქტიური ყოფილა. სამაგიეროდ, ამირან მუჯირმა დაამწუხრა ადამიას ახალი გუნდი — 48-ე წუთზე მეკარისგან მოგერიებულ ბურთს დაამატა და ანგარიში გახსნა.

„ბაკიმ" 2:0 იმარჯვა.

გაიტანა თორნიკე აფციაურმაც, ვისმა „გაბალამაც" 2:0 სძლია მოიკ-ს. ქართველმა 23-ე წუთზე მაღალ კუთხეში გაუტანა სტუმართა მეკარეს და ანგარიში გახსნა.

„ოლიმპიკმა" შინ 0:1 დათმო „ყარაბახთან". ოლიმპიკელთა შორის ალეკო გოგობერიშვილმა (ყვითელი ბარათი მიიღო) და რომან ახალკაცმა ითამაშეს.

**ილია ნანობაშვილი**

# სალუქვაძე დაბრუნდა, კვირკველიამ გაიტანა

**ესპანურ** ლა მანგაში შეკრებაზე მყოფი ყაზანის „რუბინი" ნორვეგიულ „ლილესტრიომთან" ამხანაგურ მატჩში 2:5 დამარცხდა.

ახალგამოჯანმრთელებული ლაშა სალუქვაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და სრულადაც ითამაშა. კვირკველია კი 30-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე.

20 თებერვალს კი „რუბინი" ასევე ნორვეგიულ „ბოდიო გლიმტს" გაეჯიბრა და 3:0 სძლია.

მეკარე ნუკრი რევიშვილმა მეორე ტაიმში ითამაშა, სალუქვაძე მე-60 წუთზე შეცვალეს, კვირკველია კი სრულად გაისარჯა და 86-ე წუთზე გოლითაც გამოირჩა.

**კახა ზალამბერიძე**



ლაშა სალუქვაძე

# ამისულაშვილი ჩეჩნებს სურთ
## რას იტყვის კრასნოჟანი?



**არ ვიცით,** რამდენად შეელევა ნალჩიკის „სპარტაკი" თავის საუკეთესო მცველს, მაგრამ ფაქტია, მათმა მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა თქვა — ალეკო ამისულაშვილის თაობაზე ამ დღეებში მივიღებ გადაწყვეტილებასო.

ამისულაშვილი გროზნოს „ტერეკს" სურს.

ყველაფერი იოლი მისახვედრია: „ტერეკს" იმხელა ფული აქვს, ნალჩიკელებს ჯიბეში ჩაისვამს და ყაბარდოელები ამიტომაც ფიქრობენ, თორემ ამისულაშვილი რომელი გასაშვები ფეხბურთელია.

ერთი კია, „ტერეკმა" უარი თქვა დავით სირაძის აყვანაზე, რაც ფეხბურთელის აგენტის მსუყე მადამ გამოიწვია — იმხელა თანხა დაუსახელებიათ, გროზნოელებს ხელები გაუსავსავებიათ.

**ილია ნანობაშვილი**

# ნალჩიკური სპარინგები

**ნალჩიკის** „სპარტაკმა" თურქულ შეკრებაზე კიდევ სამი მატჩი გამართა.

ალექსანდრე ამისულაშვილის და გოგიტა გოგუას გუნდმა ჯერ სიმფეროპოლის „ტავრიასთან" 0:1 წააგო, მერე რუსეთის პირველდივიზიონელ „ურალს" უგოლოდ დაშორდა, „სიბირს" კი 2:1 სძლია.

უკრაინელებთან ამისულაშვილმა სრულად ითამაშა.

სიმფეროპოლელთა შორის კი ვასილ გიგიაძე 46-ე წუთზე შევიდა მოედანზე, ლადო ბურდული კი — 77-ე წუთზე.

რაც შეეხება „ურალთან" მატჩს, აქ ამისულაშვილს არ უთამაშია, ძირითად შემადგენლობაში ამჯერად გოგუა იყო, ვინც შესვენებაზე შეცვალეს.

„სიბირთან" შეხვედრაში კი ამისულაშვილმა და გოგუამ პირველ ტაიმში ითამაშეს.

**კახა ზალამბერიძე**

# კვირის ქრონიკა

## სამი ქართველი უკრაინის პირველ ლიგაში

**თავს** ვერ დავდებთ, რომელი მჟავანაძეა უკრაინის პირველი ლიგის „დნესტრში", თუმც ამ გვარის ფეხბურთელმა კი ითამაშა თანალიგელ „ბასტიონთან", რომელსაც თავის მხრივ, ორი ქართველი ჰყავდა — ბურჯანაძე და გოგიჩაიშვილი.

„ბასტიონმა" 3:1 მოიგო და მესამე გოლი გოგიჩაიშვილმა შეაგდო ბურჯანაძის პასით: ორივე ქართველი შეცვლაზე შევიდა.

და მაინც, მჟავანაძემ დაგვაფიქრა: კახა მჟავანაძე ადრე კი თამაშობდა „დნესტრში", თუმცა ბოლო ინფორმაციით, ის რუსულ „როსტოვს" გაჰყვა თურქეთის შეკრებაზე და დონისპირელებს მასთან კონტრაქტიც უნდა გაეფორმებინათ.

## სრული კვარაცხელია

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა ბელარუსულმა „მტზ-რიპომ" მორიგ ამხანაგურ მატჩში ყაზახურ „ლოკომოტივთან" 0:3 წააგო.

გივი კვარაცხელიამ სრულად ითამაშა, ხოლო გასინჯვაზე მყოფი არჩილ ფარტენაძე მე-60 წუთზე შევიდა მოედანზე.

## დეკანოსიძე: შეცვლაზე შეცვლა

**ბელარუსის** ჩემპიონმა ბორისოვის ბატე-მ თურქული შეკრება ორი ამხანაგური მატჩით დაასრულა.

ბორისოველებმა ჯერ 1:0 სძლიეს უზბეკურ „ფახთაქორს" და ლაშა დეკანოსიძემ ბოლო ნახევარი საათი ითამაშა. მერე კი 0:1 დამარცხდნენ სლოვაკურ „ტრნავასთან" — დეკანოსიძე 46-ე წუთზე შევიდა მოედანზე, თუმც 71-ე წუზე გამოცვალეს.

## მაისურაძის მეორე ტაიმი

**ორკვირიანი** თურქული შეკრება უკრაინულ „ილიჩევეცთან" მატჩით დაასრულა ბელარუსულმა „ვიტებსკმა".

უკრაინელებთან შეხვედრა 1:1 დასრულდა და გასინჯვაზე მყოფმა ირაკლი მაისურაძემ მეორე ტაიმი ითამაშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




„ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია


ბექა გოცირიძე


„დნიპროს“ პრეზიდენტი იგორ კოლომოისკი

# ხელი ხელს ბანს, ანუ რატომ გადაიხადა დნიპრომ გოცირიძეში 1 000 000 ევრო

## უკრაინელებმა ძმებ კილასონიებს აფხაზობა მიაწერეს

**ბექა გოცირიძის სანაცვლოდ დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ“ „ზესტაფონს“ მილიონი ევრო გადაუხადა. ეს დაახლოებით ერთი თვის წინანდელი ინფორმაციაა. ამაზე დიდი თანხა ქართული კლუბისთვის მხოლოდ გიორგი ქინქლაძეშია გადახდილი. მაგრამ რატომ ჩათვალა „დნიპროს“ უფროსობამ, რომ 20 წლის ფორვარდი ამ ფასად ულირდა? ვფიქრობთ, საინტერესო თემაა და ამაზე ჩვენს უკრაინელ კოლეგებს თავიანთი მოსაზრებები აქვთ. ქვემოთ, უკრაინულ წყაროებზე დაყრდნობით, ბექა გოცირიძის ტრანსფერის ისტორიას გაგაცნობთ. ამბის მოყოლას კი ძველი დროიდან დავიწყებთ...**

### ქართველები დნეპრისპირას, დნიპრომდე

ამ უკრაინულ კლუბში ქართველები 1953 წლიდან თამაშობენ. მაშინ „დნიპროს“ „მეტალურგი“ ერქვა, მისი პირველი ქართველები კი მცველი აკაკი მაისურაძე და თავდამსხმელი, ვინმე მარლიშვილი გახლდნენ.

მაისურაძე გუნდში ხუთი წლით დარჩა, მარლიშვილი კი მალევე კიევის „დინამოში“ გადავიდა, თუმცა იქ ფეხი ვერ მოიკიდა. „მეტალურგმა“ მის ნაცვლად გვარამაძე მოიყვანა.

მერე იყვნენ ირაკლი კახაძე და ახალგაზრდა მცველი ბუცხრიკიძე, რომლებიც ასევე 50-იან წლებში თამაშობდნენ „მეტალურგში“.

### ქართველები დნეპრისპირას, დნიპროში

1962 წელს გუნდს „დნეპრი“ (უკრაინულად „დნიპრო“) დაერქვა და ქართველებიც იქ კარგა ხანს აღარ გამოჩენილან.

1997 წელს კი დნეპროპეტროვსკში ვარლამ და გიორგი კილასონიები ჩავიდნენ, ოლონდაც ზოგი უკრაინული წყარო ძმებ კილასონიებს აფხაზებად მოიხსენიებს.

ერთი საინტერესო ფაქტიც: ვარლამ კილასონიას რუსეთის პირველი დივიზიონის, ალბათ, სამუდამო რეკორდი ეკუთვნის — სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივში“ თამაშისას ერთ მატჩში 7 გოლი გაიტანა.

1999 წელს გუნდში კიდევ ერთი ქართველი, მიხეილ ფოცხვერია მოვიდა, ოთხი წლის წინ კი „დნიპრომ“ კიევის „დინამოდან“ იჯარით ალექსანდრე ამისულაშვილი წაიყვანა, თუმცა მას მხოლოდ დუბლებში აქვს ნათამაშები.

მერე იყვნენ კახა ალადაშვილი, რევაზ ბარაბაძე, ჯაბა კანკავა, სანდრო კობახიძე... და აი, ბექა გოცირიძესაც მივადექით.

### დაძმობილებული კლუბები: დნიპრო და ზესტაფონი

შეძლებს თუ ვერა გოცირიძე მილიონი ევროს გამართლებას, ახლა ვერავინ იტყვისო, წერენ უკრაინელები. ის კი არის, რომ ბევრი გაკვირვებულიც დარჩა ამ ტრანსფერით, რაკი „დნიპრომ“ გოცირიძემდე უკრაინის ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდი ვლადიმირ გუმენიუკი იყიდა, ვორობეი და ბელიკი ისედაც ჰყავდა, ხოლო კონოპლიანკა და კავერინი ტრავმების მერე გამოუჯანმრთელდა.

და მაინც, რა ხდება?

„ზესტაფონის“ სპონსორი — საიდანაც გოცირიძე „დნიპროში“ გადავიდა — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაა. ამ ქარხნის აქციები კი იგორ კოლომოისკის ეკუთვნის.

და ვინ არის იგორ კოლომოისკი? „დნიპროს“ პრეზიდენტი.

ამ პიროვნების თაობაზე სიტყვას დიდად არ გავაგრძელებთ და მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ყველაზე გავლენიანი უკრაინელების სიაში მას მეექვსე ადგილი უკავია ვიქტორ იუშჩენკოს (პრეზიდენტი), იულია ტიმოშენკოს (პრემიერ-მინისტრი), რინატ ახმეტოვის (ბიზნესმენი, „შახტარის“ პრეზიდენტი), ვიქტორ იანუკოვიჩის (ყოფილი პრემიერ-მინისტრი) და ვიქტორ ბალოგას (პრეზიდენტის სამდივნოს უფროსი) მერე.

### გოცირიძის დაწინაურება

ერთი სიტყვით, ამ ფაქტის გათვალისწინებით, გამოდის, რომ ბექა გოცირიძე იგორ კოლომოისკის ერთ-ერთ სტრუქტურაში „დაწინაურდა“, მეორე სტრუქტურულმა ერთეულმა კი განვითარებისთვის გვარიანი დაფინანსება მიიღო.

სხვათა შორის, ერთი წლის წინ „დნიპროში“ სხვა ზესტაფონელი ფეხბურთელი, გოგი ფიფიაც იმყოფებოდა გასინჯვაზე, მაგრამ მწვრთნელ ოლეგ პროტასოვს თავი ვერ მოაწონა.

„დნიპროს“ და „ზესტაფონის“ ნათესაურ კავშირებზე სხვა ფაქტიც მიგვანიშნებს. კერძოდ, წინა ზამთარში, თურქული შეკრების დასრულების მერე „დნიპროს“ გზად ზესტაფონში უნდა შეევლო და იქ ამხანაგური მატჩი ეთამაშა.

უკრაინული ვებგვერდი წერს, როგორც ჩანს, სეზონისწინა თათბირის ჩატარება კლუბებმა სელექტორის ნაცვლად მყუდრო და სტუმართმოყვარე ქართულ გარემოში განიზრახესო.

თუმცა „დნიპროს“ ზესტაფონური გაჩერება აღარ გამოუვიდა და გუნდი პირდაპირ დნეპროპეტროვსკში გაფრინდა.

...

იმაში, რომ კლუბს სხვა ქვეყანაში შვილობილი კლუბი ჰყავს, დასაძრახი არაფერია.

ასე, მაგალითად, მოსკოვის ცსკამ სულ ცოტა ხნის წინ სრულიად ღიად გააფორმა მსგავსი შინაარსის ხელშეკრულება ბელგიურ „ლოკერენთან“.

**კოტე კეკელია**

# კანკავამ ფახთაქორს უგოლოდ გადაუარბინა



**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ“ ამხანაგურ მატჩში 5:1 გადაუარბინა ტაშკენტის „ფახთაქორს“.

ჯაბა კანკავამ სრულად ითამაშა და წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად გოლი არ გაუტანია, ოღონდ ყვითელ ბარათს დასჯერდა.

რაც შეეხება დნიპროელთა კიდევ ორ ქართველს, სანდრო კობახიძეს და ბექა გოცირიძეს არ უთამაშიათ.

და ერთიც: „დნიპროს“ სარეზერვო გუნდმა ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ დუბლებს 1:0 მოუგო.

ახალგაზრდა დნიპროელმა ქართველმა ბექა ბეროშვილმა კი 90 წუთი ითამაშა.

**ბახა შალამბერიძე**

## კვირის ქრონიკა

### ციმაკურიძე რივალდოს ასცდა

**ლუგანსკის** „ზარია“ ამხანაგურ მატჩში ჯერ 0:1 დამარცხდა უზბეკურ „ბუნიოდკორთან“, მერე კი რუსულ „ხიმკისთან“ 2:2 ითამაშა.

გიორგი ციმაკურიძე ორივეჯერ მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე.

უზბეკთა შორის არ უთამაშია ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელ რივალდოს, რომელიც ახლახან „ბუნიოდკორის“ მწვრთნელ-კონსულტანტად დაინიშნა.

### ჯაკობია მოედანზეც გამოჩნდა

**კიევის** „არსენალმა“ ტესტ-მატჩი გამართა პოლონურ „იაგელონიასთან“ — 2:2.

კიეველთა ახალწვეული ლაშა ჯაკობია შესვენების შემდეგ გამოჩნდა მოედანზე.

შეგახსენებთ, რომ 28 წლის ჯაკობია „არსენალში“ ხარკოვის „მეტალისტიდან“ მივიდა და მისი საკითხი შეკრების დასრულების შემდეგ გაირკვევა.

აფხაზეთი ძალიან მტკივნეული თემაა ქართველებისთვის. ცხადია, ასეა აფხაზური ფეხბურთიც. არ დავიწყებთ იმის ჩამოთვლას, თუ რა დონის ფეხბურთელებით საზრდოობდა საქართველო ამ მხარიდან — ეს ყველამ იცის. ამჯერად გვინდა თქვენი ყურადღება სხვა საკითხზე გადავიტანოთ. 2008 წელს აფხაზეთის ფეხბურთს 100 წელი შეუსრულდა და ეს თარიღი აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ საგანგებოდაც აღნიშნა. სხვა ღონისძიებების გარდა რუსთავში აფხაზეთისა და ქვემო ქართლის ნაკრებების ამხანაგური მატჩიც გაიმართა.
როგორც ჩანს, ამ ამბავმა ძალიან გააღიზიანა სეპარატისტული აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეონიდ ძაპშბა, ვინც იქაურ გაზეთთან ინტერვიუში სხვა საინტერესო თემებსაც შეეხო...




# აფხაზეთის ნაკრები რუსეთის ჩემპიონატში

— ჯერ იმას ვიტყვი, რომ ყველა სპორტული ღონისძიება ეძღვნებოდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის 15-წლისთავს. აპრილში დაიწყება აფხაზეთის ჩემპიონატი და თასი. ჩემპიონატში 10 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. შარშან 9 გუნდი გვყავდა, რადგან ტყვარჩელის „შახტიორმა“ ფინანსური პრობლემების გამო ვერ შეძლო ტურნირის გაგრძელება. ჩვენ ყველა კლუბისგან ვითხოვთ ფინანსურ გარანტიებს — მათ ანგარიშზე მინიმუმ მილიონი რუბლი მაინც უნდა ჰქონდეთ. წლეულს სახელმწიფო ყველა კლუბს დაეხმარა, ამის გარდა, ფედერაციამ და სპორტკომიტეტმა ტყვარჩელის სტადიონის რეკონსტრუქცია გავაკეთეთ. სხვათა შორის, საქართველო-აფხაზეთის ომისას დაზარალებულ რეგიონებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. იმავე ტყვარჩელში არც კინო-თეატრი მუშაობს, არც კულტურის სახლი, არანაირი გასართობი არ არის... ერთადერთი ფეხბურთია, რითიც მოსახლეობა ერთობა...

**— სხვა რაიონებში როგორია მოედნების მდგომარეობა?**

— სპორტკომიტეტთან ერთად მოვინახულეთ მოედნები და დარწმუნებული ვარ, სეზონის დაწყებას მზად შევხვდებით.

**— მსაჯებზე რას იტყვით?**

— სამწუხაროდ, ამ მხრივ ბევრი პრობლემა გვაქვს. როცა ჩემპიონატში 10 გუნდი მონაწილეობს, ეს ნიშნავს რომ დაახლოებით 120 მატჩია ჩასატარებელი. ჩვენ კი მხოლოდ ერთი ხეირიანი ბრიგადა გვყავს. მართალია, ფინანსურად ძვირია, მაგრამ სოჭიდან მოგვიწევს მსაჯების მოწვევა. ამას ვერ ავცდებით. თუმცა მალე ვაპირებთ ცანდრიპშის ინტერნატში სემინარების ჩატარებას, რომელშიც 20-30 მსურველი მიიღებს მონაწილეობას. სემინარს ფიფას კატეგორიის მქონე მსაჯები ჩაატარებენ. ვფიქრობ, ეს სერიოზულ წინსვლას მოგვიტანს. ასევე გვინდა მწვრთნელების გაგზავნა მოსკოვში, სადაც რუსეთის ფეხბურთის კავშირში გაივლიან მზადებას.

**— თუ არის პერსპექტივა, რომ აფხაზეთის ნაკრებმა რუსეთის ჩემპიონატში ითამაშოს?**

— დღესვე შეგვიძლია განაცხადის შეტანა რუსეთის ჩემპიონატის მეორე ლიგაში, მაგრამ ჯერ მთავარია, ფინანსურად მოვმაგრდეთ. უკვე დავიწყეთ ნაკრებისთვის ფეხბურთელების შერჩევა, მაგრამ აქაც მწვრთნელების პრობლემა გვაქვს. ისინი მალე უნდა მოვამზადოთ და ლიცენზიები ავაღებინოთ.

**— 2008 წელს აფხაზეთის ფეხბურთს 100 წელი შეუსრულდა. სხვათა შორის, ინტერნეტ-საიტებზე დაიწერა, რომ ეს თარიღი საქართველოშიც აღნიშნეს...**

— მართალია, ასეც მოხდა. თან საქართველომ ამ თარიღის აღნიშვნა დაგვასწრო და ამით თავისთვის ქულების ჩაწერა მოინდომა. ქართველები იმდენადაც კი გათავხედდნენ, რომ ამ „ზეიმზე“ რუსეთის ფეხბურთის კავშირის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ლეგენდარული აფხაზი ფეხბურთელი ნიკიტა სიმონიანი მიიწვიეს. თუმცა სიმონიანმა ამ „შოუში“ მონაწილეობის მიღება იუარა...

აქვე ვიტყვი, რომ აფხაზეთი მეშვიდე სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელმაც ასეთი თარიღი აღნიშნა.

**— როგორც ფედერაციის პრეზიდენტი, ამჟამად რითი ხართ დაკავებული?**

— პირველ რიგში, ფედერაციის საქმიანობის მოწესრიგებით. უამრავი საქმე გვაქვს. სხვათა შორის, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად ავირჩიეთ აზრიკ ცვეიბა — ცნობილი და ყველასთვის პატივსაცემი კაცი. სწორედ ის დაიცავს ჩვენს ინტერესებს რუსეთში. ასევე ჩვენი რუსი კოლეგების დახმარებით, რესპუბლიკური სტადიონის გვერდით ვაპირებთ დიდი კომპლექსის აშენებას — ორი მოედნით და სასტუმროთი, რათა ზამთარში შეკრებაზე ჩამოსულ რუსულ კლუბებს ვუმასპინძლოთ. მოლაპარაკებები მიდის ასეთივე კომპლექსების ტყვარჩელში და გაგრაში აშენებაზეც. ცოტა ხნის წინ კი სახელმწიფომ ოფისისთვის შენობა გადმოგვცა.

**— რა დონეზეა ბავშვთა ფეხბურთი?**

— ჯერჯერობით არცთუ მაღალზე. ამისთვის საჭიროა, კლუბებმა იყოლიონ სპორტსკოლები. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება ბავშვს პერსპექტივა, პროფესიონალი ფეხბურთელი გახდეს. ახლა განათლების სამინისტროსთან გვაქვს მოლაპარაკება, რათა ბავშვები ადრეული ასაკიდანვე მივაჩვიოთ ფეხბურთზე სიარულს.

**— ცნობილია, რომ მოზარდთა ტურნირებზე რამდენჯერმე მოხდა უსიამოვნო ფაქტი — ფეხბურთელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯებს. რას აპირებთ ამის აღმოსაფხვრელად?**

— პირველ რიგში, არ დავთანხმდი ფეხბურთელებზე დისკვალიფიკაციის მოხსნის საკითხს. ადრე მიღებული გადაწყვეტილება არც კი გადამიხედავს. მკაცრად გავაფრთხილე ყველა კლუბის ხელმძღვანელი, რომ ასეთი შემთხვევებისთვის უმკაცრეს ზომებს მივიღებდი. ასე რომ, წესრიგზე პასუხისმგებელი ვარ. გარდა ამისა, საგანმანათლებლო მხარეზეც ვიზრუნებთ — ყველას უნდა ავუხსნათ, რომ ასეთი საქციელი ძვირად დაუჯდებათ.

**— ზემოთ ფინანსურ უზრუნველყოფაზე თქვით. რამდენი სჭირდება კლუბს ჩემპიონატში სამონაწილეოდ?**

— ჩემპიონატის ჩატარება ფედერაციას მილიონი რუბლი უჯდება. კლუბმა სამონაწილეოდ 30 ათასი რუბლი უნდა შემოიტანოს, პლუს 3 ათასი რუბლი საწევრო. სხვათა შორის, ფედერაციის წევრობა ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. მათთვის საწევრო გადასახადი 500 რუბლია წელიწადში. ჩვენ უკვე ათასობით წევრი გვყავს. გარდა ამისა, საქველმოქმედო შემოსავლების იმედიც გვაქვს. და მაინც, სახელმწიფოს დახმარების გარეშე ვერაფერს გავაკეთებდით — ქვეყნის პრეზიდენტი ბაღაფში და პრემიერ-მინისტრი ანქვაბი ყოველთვის მზად არიან ჩვენთან შესახვედრად. საერთო ენის გამონახვა არ გვიჭირს.



ასე გამოიყურება გაგრის სტადიონის შესასვლელი დღეს

# ახრიკ ცვეიბა: ჩვენს სამშობლოებს მხოლოდ მეგობრობა გადაარჩენს!

**ახრიკ ცვეიბა ის კაცია, 80-იანი წლების მიწურულს თბილისის „დინამოს“ იმედად რომ ითვლებოდა, შემდეგ კი ოთხ სხვადასხვა ნაკრებში ითამაშა — სსრკ, დსთ, უკრაინა და რუსეთი. განსაკუთრებით კარგი სეზონები ახრიკს ვალერი ლობანოვსკის კიევის„ დინამოში“ ჰქონდა. ცვეიბამ ტრავმის გამო გამოტოვა მუნდიალ-1990, თუმც 1992 წლის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. 42 წლის ცვეიბა კარგა ხანია, საფეხბურთო აგენტად მუშაობს და რამდენიმე ქართველი მოთამაშის კლუბში მოწყობაშიც მიუძღვის წვლილი, ამასწინათ კი აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად დანიშნეს. სხვათა შორის, გუდაუთაში დაბადებული ოთხნაკრებგამოცვლილი კაცი ამჟამადაც კარგ ფორმაში ყოფილა და ხშირად აგორებს ბურთს. რუსული „ნტვ პლუს ფუტბოლის“ ჩვენთვის კარგად ნაცნობი კომენტატორები, ალექსეი ანდრონოვი და ალექსანდრ შმურნოვი ცვეიბას ესაუბრნენ. ომი და მეგობრობა აფხაზებსა და ქართველებს შორის, აფხაზური ფეხბურთის იმედები — ინტერვიუში ამასაც წავიკითხავთ...**




1991 წელი. ახრიკ ცვეიბა (მარცხნივ) საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშისას

**— თქვენი აზრით, რა შეიცვალა მსოფლიო ფეხბურთში ბოლო 10-15 წელიწადში?**

— სისწრაფე, ტექნიკა, სათამაშო აზროვნება. ამის გამო თამაშები მიმზიდველობის კუთხითაც შეიცვალა.

**— როგორ უყურებთ იმ ფაქტს, რომ, ფაქტობრივად, აღარ არსებობს ლიბერო? არადა, ეს საკვანძო პოზიცია იყო გუნდში ჯერ კიდევ 90-იან წლებში...**

— მე სწორედ ლიბეროდ ვთამაშობდი. ჩემი დავალება პარტნიორების თამაშის გათვლა და მათი „ცოდვების“ გამოსწორება იყო. ახლა ყველა გუნდის დაცვა ხაზზე თამაშობს. ეს ტაქტიკა უფრო ეფექტურია, რადგან მცველები ნაკლებად იღლებიან და დაზღვევაც სინქრონული ხდება. პლუს ხელოვნური თამაშგარის ფაქტორი: ლიბეროს გარეშე ეს უფრო იოლი გასაკეთებელია.

**— 2005 წელს ცსკა-მ უეფას თასი სამმცველიანი სქემით მოიგო. როგორ ფიქრობთ, ეს გაზაევის ახირება იყო, რომელზეც საბოლოოდ მაინც უარი თქვა?**

— ვალერი გეორგიევიჩს ორი საყრდენი ნახევარმცველი ჰყავდა ძირითადში. ერთი ცენტრალური მცველი ლიბერო იყო, ხოლო ორი საყრდენიდან ერთ-ერთი, მაგალითად, ელვირ რახიმიჩი, მის წინ იდგა და, ფაქტობრივად, ისიც მცველი გამოდიოდა. სამმცველიანი სქემით უფრო აქტიურად შეიძლება შეტევა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ გადავიდა გაზაევი ისევ ოთხმცველიან სისტემაზე, ვფიქრობ, მან უბრალოდ, გუნდური არსენალი გააფართოვა. საერთოდ, დღეს ერთი ამორჩეული სქემა საკმარისი არ არის. თანამედროვე ფეხბურთში გუნდები მოედანზე რომ გადიან, ის მონახაზი უნდა აირჩიონ, რომელიც კონკრეტულად იმდღევანდელ მეტოქესთან აწყობთ.

**— თვითონ მცველებს რომელი სქემით ურჩევნიათ თამაში?**

— ოთხით, რადგან ამ დროს ნაკლებად უწევთ სირბილი და შეცდომის ალბათობაც მცირდება.

**— 90-იანების შუაში სამი წელი ითამაშეთ იაპონურ კლუბში. იაპონია სწორედ მაშინ ცდილობდა მსოფლიოს ჩემპიონატის თანამასპინძლობას, რასაც მიაღწია კიდეც. გვაინტერესებს, რა ხდებოდა ამ დროს იაპონურ ფეხბურთში?**

— როცა პირველად შემომთავაზეს იქ წასვლა, სერიოზულად არ მივიღე. 1994 წელს იაპონიის ჩემპიონატზე არაფერი ვიცოდით, რადგან ის იზოლირებული იყო ევროპისგან. ბოლოს მაინც დავთანხმდი, რადგან ჩემი კიეველი თანაგუნდელი ოლეგ პროტასოვიც მიიწვიეს, ხოლო მანამდე მინსკელ სერგეი ალეინიკოვსაც დაუძახეს. იაპონიაში ისეთ დიდ ფეხბურთელებთან მომიწია თამაში, რომლებზეც მხოლოდ წიგნებში ვკითხულობდი. მაგალითად, რიველინო, რომელიც იაპონიაში მწვრთნელად ჩავიდა, ან ზიკო, ვინაც „კაშიმა ანთლერსის“ მოთამაშე-მწვრთნელი იყო. ლოთარ მათეუსი, დრაგან სტოიკოვიჩი, სალვატორე სკილაჩი, ჟორჟინიო... დიდხანს შემიძლია გავაგრძელო ცნობილი მოთამაშეების ჩამოთვლა... იაპონიის ფეხბურთის ფედერაცია ცდილობდა, ქვეყანაში აეწია ფეხბურთის პოპულარობა და ასეთი ვარსკვლავების გვერდით ადგილობრივებმა მართლაც ბევრი ისწავლეს. მართალია, იქ წასული ყველა ვარსკვლავი კარიერის დასალიერზე იყო, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ისინი პროფესიონალები არიან და 35 წლის ასაკშიც შეეძლოთ მაღალი კლასით თამაში. იაპონიის ჩემპიონატში თამაში დასვენება როდი იყო. საერთოდ კარგი გუნდები იყვნენ და კონკურენციაც მაღალი ჰქონდათ.

**— იაპონიაში ცხოვრებას, მათ სამზარეულოს როგორ შეეგუეთ?**

— ვინც იაპონიაში არ ყოფილა, ბევრს ჰგონია, რომ იქ მხოლოდ მშრალ საჭმელს მიირთმევენ. არადა, იქ ბევრი ევროპული და ამერიკული რესტორანია, სადაც ჩვენთვის ნაცნობი კერძები იყო. სუპერმარკეტშიც ყველაფრის ყიდვა შეიძლებოდა. იცით, თითოეულ ლეგიონერს გვეკითხებოდნენ, რისი ჭამა გვინდოდა, ანუ შეკვეთა ჩვენი იყო. იაპონური სამზარეულო გავსინჯე, მაგრამ მხოლოდ გავსინჯე — შეყვარება ვერ შევძელი.

**— როგორ ახსნიდით იაპონიის ნაკრების წარმატებულ თამაშს მუნდიალ-2002-ზე?**

— იაპონიის და კორეის წარმატებაში მთავარი როლი ძლიერმა მწვრთნელებმა ითამაშეს. გუს ჰიდინკის მუშაობა უფრო ნაყოფიერი გამოდგა და ყველამ ნახა, კორეამ აჯობა მაშინ იაპონიას.

**— მწვრთნელის როლზე ვთქვათ: რომელმა სპეციალისტმა ითამაშა ყველაზე დიდი როლი თქვენს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში?**

— ყველა მწვრთნელმა თავისი წილი სარგებელი მომცა. მაგალითად, თბილისის „დინამოში“ ტექნიკურად უფრო დამხვეწეს, იქ ექვსი წლის განმავლობაში დავით ყიფიანთან, ნოდარ ახალკაცთან და კახი ასათიანთან ვიმუშავე. მერე გადავედი კიევში, ლობანოვსკისთან, უნიკალური ადამიანი იყო. ლობანოვსკის წასვლის შემდეგ კიევის „დინამოს“ პუზაჩი წვრთნიდა, მერე კი გაზაევთანაც მიმიყვანა ბედმა. ისინი ყველანი მარტო ბრწყინვალე აღმზრდელები, ტაქტიკოსები და ფსიქოლოგები კი არ იყვნენ, აზრიანი და შესანიშნავად მოსაუბრეებიც გახლდნენ.

**— უკრაინის ნაკრებში მხოლოდ ერთხელ ითამაშეთ, ისიც უნგრეთთან არაოფიციალურ მატჩში...**

— ევრო-92-ის შემდეგ უკრაინა უკვე ეროვნულ ჩემპიონატს ატარებდა, მე კიევის „დინამოში“ ვთამაშობდი და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრებში თამაში შემომთავაზა. იმ დროს საზღვარგარეთ ვაპირებდი წასვლას. დსთ-ის ნაკრები აღარ არსებობდა, ამიტომაც თითოეული ფეხბურთელი ირჩევდა, რომელი ქვეყნის სახელით ეთამაშა. უკრაინის მთავარ გუნდში ერთი მატჩი ჩავატარე, მერე კი რუსეთის ჩემპიონატში, „კამაზ“-ში გადავედი. რუსეთიდან უფრო იოლი იყო უცხოურ გუნდში წასვლა, ვიდრე უკრაინიდან. ამ პერიოდში რუსეთის ნაკრებიდან მომივიდა მოწვევა და ფიფადანაც არ მქონია პრობლემა — იმიტომ, რომ უკრაინის ნაკრებში მხოლოდ არაოფიციალური შეხვედრა მქონდა ჩატარებული.

**— როგორი დამოკიდებულება გაქვთ იმასთან, რაც ხდება რუსეთს, აფხაზეთსა და საქართველოს შორის?**

— აფხაზეთში დაბადებული ვარ, საქართველოში ექვსი წელი ვითამაშე, სრულყოფილად ვიცი ქართული ენა და ჩემი ახალგაზრდობა სწორედ საქართველოში გავატარე. ამ ომში ახლო მეგობრები დამეღუპნენ, რომლებთანაც ერთად ჯერ კიდევ სოხუმის „დინამოში“ ვთამაშობდი. ომი სიკვდილის გარეშე არ არსებობს, ხოლო როდესაც მეზობლები ომობენ, ეს უფრო საშიში და მტკივნეულია...

...აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად დამნიშნეს და მიზნად ქვეყანაში ფეხბურთის აღორძინებას ვისახავ. 20 წელი ჩიხში ვიყავით, ძალიან დავიღალეთ და ახლა აღზევება, გამოცოცხლება უნდა დავიწყოთ. ჩვენს ქვეყანას უჭირს, თუმც, ვფიქრობ, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლად გამოცხადების შემდეგ რაღაც შეიცვლება, ბოლოს და ბოლოს, ხალხი ფულს ჩადებს პერსპექტივისთვის. ამჟამად ბევრი არც გვჭირდება, თუნდაც ხელოვნური მინდვრები გააკეთონ ბავშვებისთვის. საბჭოეთის დროს ხომ აფხაზეთი ტალანტებით ქუხდა. ლესელიძის ბაზით კიევის „დინამო“, თბილისის „დინამო“, „ზენიტი“ და სხვები სარგებლობდნენ, პლუს, ვეტერანთა ტურნირები ტარდებოდა. ამიტომაც, ვფიქრობ, აღორძინების დრო მოვიდა. ამ ბაზაზე ორი ხელოვნურსაფარიანი და ორიც ბუნებრივმინდვრიანი მოედანი უნდა გავაკეთოთ. იქით სასტუმრო უნდა ავაშენოთ, თუნდაც სამვარსკვლავიანი — იმის იმედად, რომ რუსეთის პირველი დივიზიონის თუ არა, ქვედა ლიგის გუნდები მაინც ჩამოვლენ. ადგილიც ხელსაყრელია: ადლერის აეროპორტიდან ბაზამდე სულ 13 კილომეტრია, ზღვისპირაა და ეკოლოგიურად სუფთა რაიონია.

**— საქართველოში ნაცნობები გყავთ და ისინი როგორ უყურებენ თქვენს გეგმებს?**

— ყველას კარგად ვიცნობ, კავშირი მაქვს და უფრო ხშირად მოსკოვში ვხვდები მათ. მიძნელდება ამაზე ლაპარაკი და მათთაც უძნელდებათ — რაც უნდა იყოს, აფხაზეთზე ლაპარაკისას უნებურად მაინც ვიხსენებთ ომს. და მაინც, ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს, ვსაუბრობთ, ურთიერთობას ვინარჩუნებთ. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ადამიანური კავშირები და მეგობრობა გადაარჩენს ჩვენს სამშობლოებს




მიხეილ ყაველაშვილი



ნაზიმ სულეიმანოვი

# სად ალანია-95 და სად დინამო-81?!

## ყაველაშვილი სათადარიგოთა სკამზე სულეიმანოვის ცრემლებმა დატოვაო

**ვლადიკავკაზის** „ალანია-ში" ახლა რომ წავიდეს ქართველი ფეხბურთელი, გასაკვირი იქნება, თუმც ეს კლუბი 90-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენიანებს დიდად აფასებდა და იყო პერიოდი, ძირითადი შემადგენლობის თითქმის ნახევარი ქართველებით იყო დაკომპლექტებული.

1995 წელს „ალანიამ" რუსეთის ჩემპიონატში „სპარტაკის" ჰეგემონია შეწყვიტა და ჩემპიონი გახდა, თანაც, საკმაოდ ეშხიანი თამაშით.

გეხსომებათ, ჩრდილოეთ ოსეთის კლუბს ვალერი გაზაევი წვრთნიდა, ხოლო ქართველთაგან მურთაზ შელია, მიხეილ ყაველაშვილი და ზაზა რევიშვილი თამაშობდნენ. ასევე მათთან ერთად იყვნენ თბილისის „დინამოში" ნათამაშევი სხვა ფეხბურთელებიც — ზაურ ხაპოვი, ომარ თეთრაძე, ინალ ჯიოევი, ბახვა თედეევი.

და აი, ზოგიერთი საინტერესო ამბავი იმდროინდელი „ალანიადან", რაც ქართველებს ეხებოდათ.

რუსეთის ჩემპიონობა რომ მოიპოვეს, კლუბის პრეზიდენტმა ახსარბეკ გალაზოვმა ყველა ფეხბურთელს ახალ-ახალი „მერსედესი" აჩუქა, ხოლო სამ მოთამაშეს (ვერ გეტყვით, ისინი რა პრინციპით გამოყვეს) თედეევს, ჯიოევს და აზერბაიჯანელ ნაზიმ სულეიმანოვს „ოსეთის დიდების" მედლები გადასცეს.

სწორედ სულეიმანოვზე აქვს აწყობილი აზერბაიჯანულ ვებვერდს ალანიური ჩანახატი, სადაც ერთი გახმაურებული ისტორიაც წერია, რომელიც, შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს: იმავე 1995 წელს, როცა „ალანია" ჯერ კიდევ არ იყო ჩემპიონი, უეფას თასზე „ლივერპულს" შეხვდა. ვლადიკავკაზში სტივ მაკმანამან-ჯეიმი რედნაპის გოლებით ინგლისელებმა 2:1 მოიგეს, ხოლო საპასუხო მატჩში, „ენფილდზე" გაზაევმა გუნდის საუკეთესო თავდამსხმელი ყაველაშვილი არ ათამაშა.

მიზეზი ისაა, რომ სულემანოვს თვალებიდან ცრემლები წასკდომია, ბევრი დრო აღარ დამრჩენია „ალანიაში" და „ლივერპულთან" თამაშის შანსს ნუ მომისპობთო. გაზაევისთვის უთხოვია, მენდეო და მასაც დაუჯერებია. „ენფილდზე" მატჩი 0:0 დასრულდა.

ერთიც, აზერბაიჯანული ვებგვერდი „ალანიას" მაშინდელ წარმატებას თბილისის „დინამოს" 1981-ში თასების თასის მოგებას ადარებს (?).

**ილია ნანობაშვილი**

# ბოლესლავმა განუგრავა ოფიციალურად გაუშვა



**ქართველი** ნახევარმცველი, 21 წლის გიორგი განუგრავა ჩეხური „მლადა ბოლესლავიდან" საბოლოოდ წამოვიდა.

„განუგრავას ჩვენთან დადებული ხელშეკრულება დაუმთავრდა" — განუცხადა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს სპორტულმა დირექტორმა ზდენეკ კუდელამ.

განუგრავა „ბოლესლავში" შარშან გადავიდა „ზესტაფონიდან", მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა და სარეზერვო გუნდში თამაშობდა.

ახლა მას ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს.

**კახა შალამბერიძე**

# გრიგალავამ გურულთან წააგო

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა რუსულმა „მოსკვამ" ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა — უზბეკურ „ბუნიოდკორთან" 0:0 და უკრაინულ „კარპატისთან" 2:3.

პირველ მატჩში გრიგალავა მინდორზე 69-ე წუთზე გამოჩნდა.

მეორე თამაშში კი „მოსკვა" 2:0-ს უგებდა სანდრო გურულის „კარპატის", თუმცა უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და 2:3 დამარცხდა.

გრიგალავამ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, გურული კი 58-ე წუთზე შეცვალეს.

**კახა შალამბერიძე**

# მუჯირის იტალიური დუბლი

**იტალიურ** შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა" საკონტროლო მატჩი გამართა იტალიური „რომას" ახალგაზრდულ გუნდთან და 5:0 იმარჯვა.

დავით მუჯირმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 63-ე წუთზე შეცვალეს.

21 თებერვალს კი „ლოკომოტივი" „ჩელანოს" დაუპირისპირდა და 7:0 გადაუგრაპინა.

მუჯირმა 68 წუთი ითამაშა და დუბლით გამოირჩა.

**კახა შალამბერიძე**



## ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

# ლოგიკურიც და რთულიც

**1/4 ფინალი**

22 თებერვალი

სპორტის დეპარტამენტი 1:0 პეპსი

სეუ 2:1 ვისოლი

იბერია ბ/ჯ 2:1 ალგორითმი-1

სარბიელი 2:1 ოლიმპიური ვარსკვლავი

**1/2 ფინალი**

1 მარტი, 10 საათიდან

სპორტის დეპარტამენტი — სეუ

იბერია ბ/ჯ — სარბიელი

**ფინალი**

8 მარტი, 12:00

**მეოთხედფინალში** მოულოდნელობები არ მომხდარა — ნახევარფინალში ის ოთხი გუნდი გავიდა, რომლებმაც ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილები დაიკავეს.

თუმცა იმას ვერ ვიტყვით, ფავორიტებმა იოლად მოიგესო.

„სარბიელმა" „ოლიმპიური ვარსკვლავი" მიხეილ ჯიშკარიანის და იური გაბისკირიას გოლებით დაამარცხა. „პეპსის" ერთადერთი გოლი მიხეილ მაზიაშვილმა გაუტანა, სეუ-მ კი „ვისოლის" მეკარის შეცდომებით ისარგებლა.

გუშინ დაბადების დღე ჰქონდა იბერიელ არჩილ არველაძეს, ვინაც 36 წლის გახდა და იანვრის საუკეთესო მოთამაშის პრიზიც მიიღო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურისგან. შეგახსენებთ, რომ ნოემბერ-დეკემბერში საუკეთესო გახდა არველაძის თანაგუნდელი გოჩა ჯამარაული. პირველი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი კი სეუ-ელმა დავით გოგოლაძემ მიიღო (26 გოლი).

გუშინვე სეუ-ს და „ვისოლის" მოთამაშეებმა დევნილ ბავშვებს ბურთები და ფორმები აჩუქეს. ასეთი აქციები მომავალშიც გაგრძელდება...

**კოტე კეკელია**

# ტატანაშვილი და გადამწყვეტი გოლები



**ჩეხური** „პლზენის" ფორვარდი დიმიტრი ტატანაშვილი ტესტ-მატჩებში გოლების გატანას „არ ეშვება". თანაც, სულ გადამწყვეტი ბურთები გააქვს — უკვე მესამე შემთხვევაა ზამთრის შესვენებაზე, „პლზენმა" მისი გატანილით რომ იმარჯვა.

ამჯერად „ტატანა" ჩეხური „ბოჰემიანსის" რისხვა აღმოჩნდა. ჩვენიანი მეორე ტაიმში, 1:1-ზე შეიყვანეს მინდორზე და 68-ე წუთზე შეაგდო: საჯარიმოში არეულობა შეიქმნა და ჩვენიანმა ნახევარბრუნით დაახლოებით 12-14 მეტრიდან დაარტყა მიზანში.

იმედია, ამ გოლებს გაითვალისწინებს „პლზენის" თავკაცი და ტატანაშვილს ძირითად შემადგენლობაში დააყენებს.

**ილია ნანობაშვილი**

## კვირის ქრონიკა

### სპარტაკს ჯანო არ ეყო

**იტალიაში** მიმდინარე ტურნირ VIAREGGIO CUP-ის მერვედფინალში მოსკოვის „სპარტაკის" ახალგაზრდული გუნდი „რეჯინას" შეხვდა და 1:2 დამარცხდა.

სპარტაკელთა ერთადერთი გოლი ჯანო ანანიძემ შეაგდო, თუმცა მისმა გუნდმა უპირატესობა ველარ შეინარჩუნა და...

ქართველი თავდამსხმელი 72-ე წუთზე შეცვალეს...

### ანჟიმ ხიმკით დაასრულა

**რუსეთის** პირველდივიზიონელმა მახაჩყალის „ანჟიმ" თურქული შეკრება „ხიმკისთან" 1:0 გამარჯვებით დაასრულა.

ქართველი ლეგიონერებიდან სრულად ითამაშეს გოჩა ხოჯავამ და გიორგი ნავალოვსკიმ, კახა ალადაშვილი მე-60 წუთზე შეცვალეს, ოთარ მარცვალაძემ და სანდრო იაშვილმა კი მეორე ტაიმში ითამაშეს.

„ხიმკის" წინააღმდეგ არ გამოჩენილან რევაზ ჯიქია, ზურაბ არზიანი და ედიკ საჯაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„სარბიელი“ აგრძელებს თბილისის საფეხბურთო სკოლებში არსებული მდგომარეობის გაცნობას. ამჯერად საფეხბურთო სკოლა „ვეფხვებს“ ვესტუმრეთ. სამწუხაროდ, როგორც სკოლების უმრავლესობას, არც „ვეფხვებს“ აქვს ბალახისსაფარიანი მოედანი. 1993-95 წლებში დაბადებულ მოზარდთა მწვრთნელ თენგიზ დოლიძესთან საუბარი სწორედ მოედნის პრობლემით დავიწყეთ...


ნუგზარ სვანიძის ფოტო

# დღესაც ძალიან ბევრი ტალანტი მოდის, მაგრამ...

— სამწუხაროდ, ბალახისსაფარიანი მოედანი არ გვაქვს, ეს ხელოვნურიც ვერ აკმაყოფილებს ნორმებს.

— მომავალში თუ იგეგმება ამ მხრივ რამე სიახლე?

— 2010 წლამდე მოგვცა თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ ლიცენზია და თუ მაღალი ხარისხის ხელოვნურსაფარიანი მოედანი არ გვექნება, ლიცენზია ჩამოგვერთმევა. სკოლის ხელმძღვანელობა უკვე მუშაობს ამ საკითხზე და ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება.

— სკოლაში რამდენი ბავშვი ირიცხება?

— 150-200-მდე მოზარდია ჩვენთან. ერთი ბავშვი 40 ლარს იხდის.

— სკოლას აქვს საშხაპეები და გასახდელები?

— ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ კარგი მდგომარეობაა, ამანაც განაპირობა ლიცენზიის გაგრძელება. ასევე სპორტული დარბაზიც ჩვენს სკოლას ეკუთვნის, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ზამთარში დიდი ყინვების დროს იქ ვატარებთ წვრთნებს. ამ დარბაზში საქართველოს რაგბის ნაკრებიც ხშირად ვარჯიშობს ხოლმე.

— მწვრთნელის რა ლიცენზიას ფლობთ?

— B ლიცენზია ავიღე შარშან.

— უცხოეთში მწვრთნელთა სემინარზე თუ ყოფილხართ?

— სომხეთში ვიყავი ერთკვირიან სემინარზე და საკმაოდ საინტერესოც იყო.

— სემინარის ხარჯების დაფარვაში სკოლა გეხმარებათ?

— ახლა არის ვარიანტი, რომ უკრაინაში წავიდე და, როგორც მითხრეს, თანხის ნაწილს სკოლა აიღებს თავის თავზე.

— თქვენი სკოლის ძირითადი მიზანი რა არის?

— რაც შეიძლება, მეტი კარგი ფეხბურთელი გავუზარდოთ ჩვენს ქვეყანას. „ვეფხვები“ შეიძლება თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ საბაზო სკოლადაც ჩაითვალოს. ჭაბუკთა ლიგაში ჩვენი გუნდი ვიტელთა სახელით გამოდის. ვეტერინართა ხელმძღვანელები მგზავრობის ხარჯებს გვინაზღაურებენ და სხვა რამეებშიც გვეხმარებიან. ჩვენი სკოლიდან რამდენიმე ფეხბურთელი უკვე აიყვანეს და ისინი ჯერ ფარმკლუბში გამოდიან.

— ვიტელთა მწვრთნელი ნესტორ მუმლაძე ახდენს სელექციას?

— არა, ბავშვები ჩვენი რეკომენდაციით მიჰყავთ.

— თქვენი სკოლა ელიტლიგაში მონაწილეობს. რას იტყვით ტურნირის ორგანიზაციულ საკითხებზე?

— პროგრესი ჩანს, თუმც გაცილებით უკეთესადაც შეიძლება ჩატარება.

— რით ხართ უკმაყოფილო?

— მსაჯობის მხრივ მაინც დასალაგებელია სიტუაცია და ამ საკითხს სერიოზულად უნდა მოუდგნენ.

— ბავშვთა ფეხბურთის უმთავრესი პრობლემა რა არის?

— ეს ისეთი სფეროა, რომელსაც ძალიან დიდი ყურადღება სჭირდება. თუ ყველამ არ იზრუნა მდგომარეობის გამოსწორებაზე, წინ ვერ წავალთ. ამის გარეშე ვერც კარგი ეროვნული ნაკრები გვეყოლება და ვერც ჩემპიონატის დონე ამაღლდება.

— როგორ ატყობთ, ნიჭიერი თაობა მოდის?

— საქართველო ნიჭიერი ბავშვების ნაკლებობას არასოდეს განიცდიდა და დღესაც ძალიან ბევრი ტალანტი მოდის. მთავარია, მათ ხელშეწყობა ჰქონდეთ. დღეს, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი პრობლემაა, თუნდაც კვების მხრივ. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

— უცხოელ მწვრთნელთა უმრავლესობა ქართველებს სათამაშო დისციპლინას გვიწუნებს. ამას ფეხბურთელი როდის უნდა სწავლობდეს?

— მწვრთნელმა ბავშვობიდან თუ არ დაუთმო ამას დიდი ყურადღება, ის პროფესიულ კლუბში ველარ ისწავლის. თავიდანვე უნდა შეეჩვიოს სათამაშო დისციპლინის დაცვას და შემდეგ აღარ გაუჭირდება.

**ნუკრი ლოლაძე**


ნუგზარ სვანიძის ფოტო

# როსტოვმა მჟავანაძე დაიტოვა

**რუსული** „როსტოვი“ ამჯერად თურქეთში გაემგზავრა შეკრებაზე და თან კახა მჟავანაძეც იახლა.

როსტოველები თურქეთში რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველის „როსტოვში“ დარჩენა წინა, ისრაელურ შეკრებაზე გადაწყდა და მალე კახა კონტრაქტსაც გააფორმებს.

შეგახსენებთ, რომ აქამდე მჟავანაძე ოდესის „ჩერნომორეცში“ თამაშობდა.

**ბახა შალამბერიძე**


კახა მჟავანაძე (№28)

# ლევან გვაზავამ ჩეჩნებს 22 უთხრა

**ვლადივოსტოკის** „ლუჩ-ენერგიადან“ გროზნოს „ტერეკში“ გადასული ქართველი ნახევარმცველი ლევან გვაზავა ახალ გუნდშიც 22-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

„ტერეკმა“ უკვე შეიტანა განაცხადი რუსეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგაში, თუმცა შუა მარტამდე კიდევ შეუძლია ფეხბურთელების დამატება.

შეგახსენებთ, რომ გვაზავა წარმოშობით ხობელია, თუმცა რუსეთის მოქალაქეობა აქვს და რატომღაც დღემდე ჭიანურდება საქართველოს ნაკრებში მისი გამოძახების საკითხი, არადა, გასული სეზონის მიხედვით რუსულ პრემიერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

**ოთარ მხეიძე**

# ქალი-გოლი ყაზახეთში

## გაბელიამ ტრაბზონსფორში შადობა და მატვეევა დატოვა

**სადღეისოდ** ყველაზე ცნობილი ქართველი ქალი-ფეხბურთელი, გულნარა გაბელია ყაზახურ „ალმა ატი“-ში გადავიდა.

თურქული „ტრაბზონსფორის“ ყოფილი ლიდერი (8 თამაშში 22 გოლი) თებერვლის ბოლოს შეუერთდება ახალ გუნდს.

„ტრაბზონსფორიდან“ წამოსვლის შემდეგ გულნარამ დროებით ბათუმის „დინამოში“ ითამაშა და საქართველოს ჩემპიონიც გახდა.

ბათუმელებმა ჯერ თბილისის „დინამოს“ მოუგეს 3:0, მერე „გურია“ და „სამეგრელო“ დაამარცხეს და ფინალში ხაშურის „ივერიას“ დაამარცხეს ფარ-ხმალი — 2:0.

ამ მატჩებში გაბელიამ 11 გოლი გაიტანა.

მერე რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო და გულნარამაც მშობლიური სენაკი ველარ დატოვა. ახლა კი ყველაფერი მზადაა და ყაზახები ქართველ ფეხბურთელს ანთალიურ შეკრებაზე ელიან.

ორიოდ სიტყვით გეტყვით, რომ „ალმა“ ყაზახეთის ბოლო სამი წლის ჩემპიონია და ევროპის ტოპ-15 გუნდს შორის ითვლება.

რაც შეეხება „ტრაბზონსფორს“, რომელმაც გაბელიას ძველი პირობები შესთავაზა და ამიტომაც ვერ გაუგრძელა ხელშეკრულება, ორი ჩვენიანი ჰყავს — მეკარე ქრისტინე შადობა და თავდამსხმელი თათა მატვეევა, ვინც ყველაზე ბოლოს მივიდა ამ გუნდში.

**ბახა შალამბერიძე**



გულნარა გაბელია
30.06.1985
თავდამსხმელი
სიმაღლე: 160 სმ; წონა: 58 კგ
2006 წლის საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამოსთან“ ერთად — 5 მატჩი, 9 გოლი
2007-08 წელი — 8 მატჩი და 22 გოლი „ტრაბზონსფორში“
2008 წლის საქართველოს ჩემპიონი ბათუმის „დინამოსთან“ ერთად — 4 მატჩი, 11 გოლი

ძალოსნობა



# არსენ კასაბიევი მიდის!
## ტრავმა, მუქარა თუ რაღაც სხვა?

**საქართველოს** ძალოსანთა ნაკრების ლიდერი არსენ კასაბიევი სპორტს ჩამოშორდა. ყოველ შემთხვევაში, ის ჩვენი ნაკრების ღირსებას აღარ დაიცავს. კასაბიევის გადაწყვეტილება მტკიცეა და ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ არსენი ნაკრებს დაუბრუნდეს. მიზეზად კი მხრის ტრავმა სახელდება, რომელიც კასაბიევს დიდი ხანია აწუხებს და მას ამის გამო პეკინის ოლიმპიადის გამოტოვებაც ემუქრებოდა. თუმცა მაშინ ძალოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვანო გრიქუროვის და თავად არსენის ერთობლივი გადაწყვეტილებით, სპორტსმენი ოლიმპიადაზე მაინც გამოვიდა. იქ კი, როგორც გახსოვთ, ძალიან ცოტა დააკლდა მედლის მოპოვებამდე და საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

კასაბიევი უნიჭიერეს სპორტსმენად ითვლება და მისგან ლონდონის ოლიმპიადაზე ბევრს ელოდნენ. მის მიერ გადადგმული ნაბიჯის მიზეზად კულუარებში კასაბიევის ოჯახზე მუქარაც დასახელდა, რომელიც დღესაც ცხინვალში ცხოვრობს.

თავად არსენი პოლონეთშია, უნივერსიტეტში სწავლობს და იქვე ცხოვრობს.

დასანანია, თუ ასეთი ტალანტის მქონე ძალოსანი დაიკარგა. მასში უდიდესი შრომაა ჩადებული და როგორც ვთქვით, ლონდონში მისგან მხოლოდ მედალს ელოდნენ.

და მაინც, ბოლო დროს საქართველოში განვითარებული მოვლენების მერე ძნელია ეჭვი არ გაგიჩნდეს, რომ არსენის კარიერის დამთავრების მიზეზი მხოლოდ ტრავმაა და არა, ვთქვათ, იგივე მუქარა, რაზეც მოგახსენეთ.

ამ საკითხთან დაკავშირებით სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურმა ეს თქვა: „ჩვენი ინფორმაციით, რომელიც გადამოწმებულია საქართველოს ძალოსნობის ფედერაციაში, არსენ კასაბიევი სპორტულ სარბიელს ერთი წლით ჩამოშორდება. ამის მიზეზი მძიმე ტრავმაა, რის გამოც კასაბიევი უარს ამბობს, როგორც საქართველოს შიდა, ასევე საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლაზე. აქედან გამომდინარე, კასაბიევს შეუჩერდება ის დაფინანსება, რომელსაც ის სახელმწიფოსგან იღებდა. ერთი წლის შემდეგ კი ვითარების შესაბამისად ვიმოქმედებთ".

ძალოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რამაზ გურგენიძემ ეს გვითხრა: „ჩემი ინფორმაციით მან ტრავმის გამო თქვა უარი. არ ვიცი, მომავალში რას იზამს. კასაბიევი ახლა პოლონეთში ცხოვრობს, იქ უნივერსიტეტშიც ჩააბარა. მას სხვა მხრივაც ჰქონდა პრობლემები. მის ოჯახს ცხინვალში ემუქრებოდნენ. არსენი ცხინვალში ვერ ჩავა, ის მოღალატედ ჰყავთ გამოცხადებული".

ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა კი ასეთი კომენტარი გააკეთა: „ძალიან სამწუხარო ფაქტია და ქართული სპორტისთვის ცუდი იქნება, თუ ასეთი ნიჭიერი სპორტსმენი კარიერას ტრავმის გამო აღარ გააგრძელებს. თუმცა, ჩვენ მაინც ვიტოვებთ იმედს, რომ არსენი ისევ დაუბრუნდება ფიცარნაგს.

ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, რომ არსენი მოქალაქეობის შეცვლას აპირებს. არც ის ვიცით, ემუქრებოდნენ თუ არა მის ოჯახს ცხინვალში".

როგორც გავიგეთ, კასაბიევი საკლუბო კარიერას გააგრძელებს...

**ნიკა ძოწაძე**

ჭადრაკი

# მაია ძველ ტიტულს თასით შეეჭიდება



**მაია ჩიბურდანიძე** პირველი ქართველი მოჭადრაკეა, რომელიც მსოფლიოს თასის გრან პრის ტურნირზე ითამაშებს. ქალთა შორის ამ დონის ტურნირი აქამდე არ ჩატარებულა, კაცებში კი ჩვენი მოჭადრაკეები არ გამოსულან.

ტურნირი ექვსი ეტაპისგან შედგება. აქედან ორი წლეულს, დანარჩენი ოთხი კი 2010 წელს ჩატარდება. პირველი ეტაპი 5 მარტს დაიწყება და ორი კვირა გასტანს, მასპინძლობას კი თურქული სტამბოლი გასწევს. მეორე ეტაპს სექტემბერში ჩინეთი უმასპინძლებს.

მსოფლიოს თასის გათამაშებაში 18 მოჭადრაკე მოსინჯავს ძალებს. თითოეულ ეტაპზე კი 12 სპორტსმენი გამოვა და მაქსიმუმ ოთხ ეტაპზე თამაშის უფლებას მისცემენ.

მსოფლიოს თასის გამარჯვებული ოთხ ეტაპზე მოგროვილი ქულებით გაირკვევა და 2011 წელს მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეეძლება.

მსოფლიოს თასის მომგები მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკს შეხვდება. მაია კი, შეგახსენებთ, მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონია.

**ნიკა ძოწაძე**

ჭიდაობა

# დიღომში ქართულად იჭიდავებენ

**დიღომში** მდებარე 169-ე საშუალო სკოლაში ქართული ჭიდაობის სექცია გაიხსნა. ინიციატივა ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ უშანგი ყურაშვილს ეკუთვნის. მისი თქმით, მსგავსი სკოლები მომავალში რეგიონებშიც გაიხსნება, რაც ამ სახეობის განვითარებას შეუწყობს ხელს. სკოლაში ორი საჭიდაო ხალიჩა დაიგო. ბავშვებს კი 8 წლის ასაკიდან იღებენ. სკოლის გახსნას ბევრი ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენი დაესწრო. ითქვა, რომ ქართული ჭიდაობა ძიუდოს და სამბოს ნიჭიერი სპორტსმენებით დიდი ხანია ამარაგებს და მსგავსი სექციების გახსნა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ნიჭიერი ბიჭების გამოჩენას.

ტანვარჯიში

# ტანმოვარჯიშეებს დარბაზი გადასცეს

**ტანვარჯიშის** ფედერაციას სანაპიროს 8 ნომერში მდებარე შენობა გადაეცა, რომელიც 1952 წლის ოლიმპიური ჩემპიონის მედეა ჯუღელის სახელობისა იქნება. ცენტრს სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და თანამედროვე სტანდარტების ორი დარბაზი აქვს. იქ ახლა 400-მდე სპორტსმენი ვარჯიშობს, რომლებსაც 21 მწვრთნელი ავარჯიშებთ.

ცხენოსნობა

# დელისზე ისევ ასპარეზობენ...

**შარშან,** ოქტომბრის ბოლოს, ბაქოში ჩატარებული „კავკასიის თასის" შემდეგ დაირღვა უკვე ტრადიციული საკონკურო შეჯიბრებების განრიგი: სეზონის ბოლო შეჯიბრი დაბრკოლებათა გადალახვაში გიორგობას იმართებოდა ხოლმე, მაგრამ აზერბაიჯანში წარმატებული გამოსვლის შემდეგ თბილისის ჟოკეი-კლუბმა ბედაურები აღარ დატვირთა (ეს გასაგებია) და ვერც წლევანდელი საცხენოსნო წელი დაიწყეს ისე, როგორც მიჩვეულები ვიყავით — საშობაო ტურნირით!

თუმცა თბილისელ ცხენოსნებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და ამიერიდან ყოველ სამ კვირაში გვპირდებიან შეჯიბრის გამართვას. ვნახოთ! ეს ჩვენს ცხენებსაც სჭირდებათ, მხედრებსაც (ძველებსაც და ახლებსაც) და იმედია, საცხენოსნო სპორტის დღევანდელი სატკივარიც უფრო მკვეთრად გამოჩნდება...



გიორგი სამხარაძე

გასულ პარასკევს დელისის ყოფილი იპოდრომის დახურულ მანეჟში ერთ დღეს 3 საკონკურო შეჯიბრი ვიხილეთ. პირველში (სიმაღლე — 100 სმ) გაიმარჯვა გიორგი დათუნაშვილმა (ცხენი „ზარზმა"). მეორეზე გავიდა გიორგი ქობლიანიძე („გვვა"). მესამე კი ზაზა ჩიტრეკაშვილი („ალი") იყო.

მეორე კონკური უფრო საინტერესო გამოდგა: 10 მხედრიდან ოთხმა სუფთად გაიარა იგივე 8-დაბრკოლებიანი მარშრუტი (110 სმ). დამატებით ხტომებში ვანო ნორაკიძემ თავისი უკვე ნაცადი „ეროსით" კვლავ უჯარიმოდ და უსწრაფესად (21 წმ) გადალახა 6 ბარიერი, მეორე იყო ჩიტრეკაშვილი (2 წამით ჩამორჩა), ირაკლი გელაშვილმა („ელემაქსი") კი უჯარიმოდ ველარ გაიარა და მესამეზე დარჩა.

ტურნირის ყველაზე ასაკოვანი მხედარი კახაბერ კიკიანი უმრწემესი ასაკის ულაყზე (მე-5 წელში გადამდგარ „ბასილეთზე") იჯდა. დამატებითშიც ბოლო ბარიერამდე სუფთად მიდიოდა, მაგრამ აქ ცხენი გაუჩერდა... ცხადია, ისეთი დონის სპორტსმენისთვის, როგორიც კიკიანია, ჩამოვარდნა ძალზე მწარეა, მაგრამ სამაგიეროდ, სასიამოვნო იყო, მართალია, მცირერიცხოვანი, მაგრამ ცხენოსნობაში კარგად ჩახედული მაყურებლის რეაქცია: მან სწორედ შეაფასა მხედრის ერთგულება თავისი პროფესიისა და ქართული ცხენოსნობისადმი.

მესამე კონკურში (125 სმ) აღსანიშნავია ცხენოსანთა ესკადრონის მხედრის ირაკლი მარკოზაშვილის მესამე ადგილი. ირაკლი ამ 10 წლის წინ პერსპექტიული ჭაბუკი მხედარი იყო. 2000 წელს იგი ერევანში „კავკასიის თასის" პირველ ასპარეზობაზე საქართველოს ნაკრების წევრიც იყო, მაგრამ შემდეგ უცხენოდ დარჩა, თუმც მხედრული საქმიანობა მაინც განაგრძო ცხენოსანთა ესკადრონში და უკვე, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ასპარეზზეც ვიხილეთ.

რაც შეეხება ამ კონკურის გამარჯვებულს, მთელი ტურნირი ნამდვილად დაამშვენა გიორგი სამხარაძის („ელპერილი") და ნორაკიძის („დარი") ორთაბრძოლამ. მათ ორივემ სუფთად გაიარეს ძირითადი მარშრუტი და დამატებით ხტომებში (135 სმ) სამხარაძის ტექნიკური და გააზრებული უჯარიმო გამოსვლის შემდეგ ნორაკიძემ პირველივე დაბრკოლება დაანგრია.

**ნოდარ ებრალიძე**

წყალბურთი



ბოლო დროს ქართული წყალბურთის მიმართ მიდგომა შეიცვალა. ნაკრებს არც უკრაინის ღია პირველობაზე უჭირს გამგზავრება უსახსრობის გამო და არც ვარჯიშის პრობლემაა. თუმცა, სტანდარტული აუზის უქონლობა ჯერაც მწვავედ დგას, ოღონდ ესეც დროებითია. ზაფხულში წყალბურთელებს კეთილმოწყობილი აუზი ექნებათ, რომელიც ორთაჭალაში მდებარეობს და მისი რემონტი მიმდინარეობს. ოლიმპიურ კომიტეტში სათამაშო სახეობებიდან ყველაზე მეტად სწორედ წყალბურთელების რომ ეიმედებათ და ლონდონში მათ მოხვედრაზე ფიქრობენ, ეს ძველი ამბავია. ძველია ისიც, რომ ამ საქმეში რევაზ ჩომახიძის დახმარებაც სურთ და თითქოს ყველაფერი მალე უნდა გარკვეულიყო. ჩომახიძე ნაკრებში უნდა ჩამოსულიყო და ბიჭები ევარჯიშებინა. თუმცა ეს საკითხი ჯერაც გაურკვეველია. რევაზ ჩომახიძეს მოსკოვში შევეხმიანეთ და ამ ამბის გარდა საკლუბო საკითხებზეც ველაპარაკეთ...

# რატომ ვერ ჩამოდის ჩომახიძე საქართველოში?

## მიზეზი: კონტრაქტი და...

— რუსეთის თასი მოვიგეთ. ჩემპიონობასაც ვუმიზნებთ, თუმცა ახლა მეორე ადგილზე ვართ. „ვოლგოგრადი", რომელიც ჩვენი უმთავრესი კონკურენტია, ოქროს მედლისთვის ბრძოლაში ბურთების უკეთესი მაჩვენებლით გვჯობნის. მაგრამ ეს არაფერია, ყველაფერი მაისში, პლეი ოფში გაირკვევა.

**— „შტურმში" ცვლილებები ხომ არ ყოფილა?**

— ჯერჯერობით არა. იგივე შემადგენლობით ვთამაშობთ. ცვლილებებს მაისში ველით.

**— ჩემპიონთა ლიგაში როგორ მიდის თქვენი საქმეები?**

— სამწუხაროდ, ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ „შტურმი" ჯგუფიდან გავიდეს. ორი თამაში დაგვრჩა ჩასატარებელი, აქედან ერთი გასვლაზე „დუბროვნიკთან". გაგვიჭირდება სტუმრად გამარჯვება. იმის ალბათობა, რომ მომდევნო ეტაპზე გავალთ, დაახლოებით 20 პროცენტია.

**— არადა, ადრე გვითხარი, ჩემპიონთა ლიგაში ოთხეულში მოხვედრას ვგეგმავთო...**

— კი, ასე იყო. მართლა კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ კენჭისყრაში არ გაგვიმართლა. ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. ჩვენი ორი კონკურენტი ბოლო წლებში სულ ფინალში თამაშობს. ამიტომ გვიჭირს ჯგუფიდან გასვლა.

**— ნაკრებში შენ მუშაობასთან დაკავშირებით რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

— არაფერი. იგივე სიტუაცია.

**— ანუ, მაინც „შტურმთან" მოქმედი კონტრაქტია ხელისშემშლელი მიზეზი?**

— კი, ეგ არის, თუმცა სხვა მიზეზებიც არსებობს, რაზეც ახლა ლაპარაკი არ მინდა...

**— თბილისში ზაფხულში ჩამოხვალ?**

— აუცილებლად ჩამოვალ. მანამდე კი აპრილში, ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები აქვს მალტაში და იქაც ჩავალ.

**— ნაკრებს რჩევებით დაეხმარები თუ უბრალოდ გაინტერესებს როგორ ითამაშებს?**

— არ ვიცი, რა სტატუსი მექნება. შეიძლება დავეხმარო. მე ვაპირებ ჩასვლას. საქმეში მინდა ბიჭების ნახვა. მალტაში გამგზავრების პრობლემა არ მაქვს.

ლევან მაისურაძე

# წყალბურთელები ერთ აუზში ჩახტნენ

**ქართული** წყალბურთის განვითარებაზე ვეტერანი წყალბურთელებიც იზრუნებენ. საქართველოს წყალბურთის ეროვნულ ასოციაციას ზაალ ჩაჩავა უხელმძღვანელებს, გენერალური მდივანი კი მურთაზ გულედანი იქნება. ასოციაციაში გაწევრიანება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ასოციაციის პრეზენტაციას კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრი ნიკა რურუა დაესწრო. პრეზენტაციაზე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილიც იყვნენ.

ითქვა, რომ ასოციაციის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული წყალბურთის განვითარებისთვის.

წყალბურთი ბოლო დროს პრიორიტეტულ სახეობად იქცა და სათამაშო სახეობებიდან ყველაზე მეტად წყალბურთის ნაკრების ეიმედებათ. გია ნაცვლიშვილი ადრევე დაგვპირდა, ყველაფერს ვილონებთ, ლონდონის ოლიმპიადაზე რომ მოხვდნენ ჩვენი წყალბურთელებიო.

ოლიმპიზმი

# რუსებს საქართველო მთლიანად მოუნდათ

**რუსეთის** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლეონიდ ტიაგაჩევმა სასაცილო რამ თქვა. 2014 წელს სოჭში გასამართი ზამთრის ოლიმპიადის ღირსეულად ჩატარებისთვის აფხაზეთის და საქართველოს ყველა რესურსი უნდა იქნას გამოყენებულიო.

აფხაზეთს რუსები თავის ნებაზე რომ ატრიალებენ და არც რესურსების გამოყენება გაუჭირდებათ, სამწუხაროდ, ნაცნობი ამბავია. აი, საქართველოს დანარჩენი რესურსების გამოყენებას როგორ აპირებს ტიაგაჩევი, ეს კი საინტერესოა.

სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის პოზიცია ცნობილია: სოჭის ოლიმპიადა სხვაგან უნდა იქნას გადატანილი, რადგან უსაფრთხოების გარანტიები არ არსებობს და გამორიცხული არ არის, შესაძლო პროვოკაციები საქართველოს დაბრალდეს.

ჩოგბურთი

# ბასილაშვილმა ბადე ნახა

**ნიკოლოზ ბასილაშვილმა** ხორვატიის ქალაქ ზაგრებში 10 ათას დოლარიან ტურნირზე ითამაშა და საკმაოდ კარგადაც: ქართველი მეჩოგნე ტურნირში საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაება და სამი მეტოქე მოინელა.

ძირითად ბადეში ხორვატი ვედრან სილეგოვიჩი სამ სეტში დაჩაგრა 4:6 7:5 6:3 და მერვედფინალში გავიდა, სადაც სლოვაკ ლუკაშ ლაცკოს ეთამაშა, რომელიც მეხუთე ნომრად იყო განთესილი. ბასილაშვილმა პირველი სეტი 1:6 წააგო, მეორეში 1:4 მარცხდებოდა და ტრავმის გამო მატჩის გაგრძელებაზე უარი თქვა.

# ლაზარემ კარტახენა ვერ აიღო

**ესპანურ** კარტახენაში 10 ათას დოლარიან საჩოგბურთო ტურნირზე ლაზარე კუხალაშვილმა ითამაშა. 18 წლის ქართველმა მეჩოგნემ მხოლოდ ერთი მატჩის ჩატარება მოახერხა და ტურნირს დაემშვიდობა.

ლაზარე პირდაპირ ძირითად ბადეში იყო დაშვებული. მისი მეტოქე კი კვალიფიკაციის ერთ-ერთი გამარჯვებული სტეფანო ვალენტინი გახლდათ. ჩვენებურმა 4:6 5:7 წააგო.

# მანანა შაფაქიძემ პირველთან წააგო

**ქართველმა** ჩოგბურთელმა მანანა შაფაქიძემ პორტუგალიის ქალაქ პორტიმაოში საკვალიფიკაციო ბადეში სამი გამარჯვება მოიპოვა და მერე წააგო. ძირითად ბადეში მისი მეტოქე პირველ ნომრად განთესილი რუსი ნინა ბრატჩიკოვა იყო და 2:6 4:6 დამარცხდა.

ტურნირზე, რომელსაც 10 ათასი დოლარი საპრიზო ფონდი ჰქონდა, შაფაქიძემ წყვილებშიც ითამაშა უკრაინელ პილნიკთან ერთად. ამათ პოლონელ კოსინსკასა და ებრაელ შლომოს დუეტთან 2:6 4:6 დათმეს.

# საქართველოს ბელა-რუსმა აჯობა

**საქართველოს** 14-წლამდელ ჩოგბურთელთა ნაკრებმა 2009 წლის ევროპის ზამთრის თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია. ანა გოგვაძემ, ბარბარე ერისთავმა და თამარ ჭალაგანიძემ სამი მატჩიდან ერთის მოგება მოახერხეს.

ჩვენები მინსკში რუსეთის, ბელარუსის, სლოვაკეთის, საბერძნეთის, დანიის, პოლონეთის და ლიტვის ნაკრებებთან ერთად იყვნენ ჯგუფში. ფინალურ ეტაპზე ორი საუკეთესო გადიოდა.

მეოთხედფინალში საბერძნეთის ნაკრების 2:1 დამარცხების შემდეგ, ქართველმა გოგონებმა რუსებთან 0:3, მესამე ადგილისთვის მატჩში კი 1:2 დათმო სლოვაკეთის ნაკრებთან და მეოთხე ადგილს დასჯერდა. ფინალურ ეტაპზე ბელარუსი და რუსეთი ითამაშებენ.

მძლეოსნობა

# ქევხიშვილმა მსოფლიოს გაარტყა



სპორტის დეპარტამენტის ფოტო

**მარიამ ქევხიშვილმა** მიჯრით მეოთხე საუნივერსიტეტო ჩემპიონატი მოიგო. ქართველმა მძლეოსანმა ამჯერად აიოვას შტატის საუნივერსიტეტო პირველობაზე აჯობა ყველას. 23 წლის ქევხიშვილი 44 სპორტსმენს შორის საუკეთესო იყო. მან ბირთვი 17 მეტრსა და 35 სანტიმეტრზე ჰკრა და პირველი ადგილი დაიკავა.

ქართველ მძლეოსანს ამ შედეგმა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის საშუალება მისცა, რომელსაც 14-24 აგვისტოს გერმანია უმასპინძლებს. სალიცენზიო ნორმატივი 17.20 მეტრი იყო, თუმცა მარიამმა აუცილებელზე 15 სანტიმეტრით მეტზე ჰკრა ბირთვი.

27-28 თებერვალს მარიამი კიდევ ერთ საუნივერსიტეტო პირველობაზე გამოვა. მარტში კი ამერიკის ნაციონალურ ჩემპიონატზე პირველად ჰკრავს ბირთვს.



ნუგზარ სუხიშვილის ფოტო

# რუსეთთან: აქამდე რა იყო... უარესი იქნება

## კაჭარავა შეცდომებს ხედავს და მოგებებზე ფიქრობს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ერთა თასის ორი მატჩი ჩაატარა და ლეგიონერებიც საკუთარ გუნდებს დაუბრუნდნენ. თუ გერმანიასთან ყველაფერი ლოგიკურად განვითარდა და ჩვენებმა სამი ქულა იოლად აიღეს, პორტუგალიასთან შეხვედრაზე იგივეს, ცხადია, ვერ ვიტყვით. მოგებას ვინ ჩივის, „ლობუშებს" ქულა ბოლო წამებზე ძლივს გამოვგლიჯეთ. ეს თამაში „ლელოებს" გაკვეთილად უნდა გამოადგეთ. ერთა თასის მოგების გარდა ხომ, გამარჯვებას სხვა მხრივაც აქვს განსაკუთრებული ფასი — ახალ ზელანდიაში გასამართი 2011 წლის მსოფლიოს თასის საგზურისთვის ყველა თავგამოდებით იბრძვის... ლეგიონერები ვახსენეთ და გეტყვით, რომ რუსულ „ენისეიში" მოთამაშე რატი ურუშაძე და დავით კაჭარავა ჯერაც აქ არიან. ცივ რუსეთში სეზონის განახლებამდე საქართველოში ვარჯიშობენ. **დავით კაჭარავას** ორივე საერთათასო მატჩი შევაფასებინეთ და სამომავლო გეგმებზეც ვკითხეთ...

— გერმანიასთან ნორმალურად ვითამაშეთ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსაჯმა ხუთი ლელო არ ჩაგვითვალა და ნაკრებს დიდი ხანია ერთად არ გვეთამაშა. მოედანიც ატალახებული იყო. ქართველებს კი წვიმაში თამაში გვიჭირს.

**— ამდენი ლელო რატომ არ ჩაგითვალეს. მსაჯი მიზეზად რას ასახელებდა?**

— ცუდი ამინდი იყო და, ვერ ვხედავო. მეხუთე მსაჯი კი, რომელიც ვიდეოკონტროლს აწარმოებს, ერთა თასზე არ არის.

**— გერმანელებმა თავიდან ცოტა გვანერვიულეს...**

— ჩვენ ვუტევდით, მაგრამ უცბათ ერთ-ერთმა ბურთს ფეხი ამოარტყა, გამოიქცნენ და ლელო დაგვიდეს. ისე უნდა ვთქვა, რომ კარგი ლელო გამოუვიდათ. ისედაც გულმოდგინედ თამაშობდნენ. დებიუტანტის კვალობაზე კარგი ნაკრები ჰყავთ. ამათ უფრო შეუძლიათ მომატება ვიდრე ჩეხეთს. ჩეხები რამდენი ხანია იყვნენ მაღლა ამოსულები, მაგრამ ვერ გაიზარდნენ.

**— პორტუგალიასთან თამაშზე გადავიდეთ, ბეწვზე გადავურჩით წაგებას. რა იყო ამის მიზეზი?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ ჯარიმებს არ ვარტყამდით, თორემ, ალბათ, მოვიგებდით. მწვრთნელისგან დავალებული გვქონდა, რომ ჯარიმები არ უნდა დაგვერტყა და ლელოზე გვეთამაშა. ლელოს გატანა კი გაგვიჭირდა. პორტუგალია კარგად იდგა დაცვაში. თან ჩვენთან ჩამოსვლამდე რუსეთთან წააგეს და კიდევ ერთი მარცხი ცუდ მდგომარეობაში ჩააგდებდათ. ხასიათიც გამოიჩინეს, ძალიან მონდომებულები იყვნენ.

**— პორტუგალიელები ჩვენ ნახევარზე 27-ე წუთამდე ფაქტობრივად არც გადმოსულან. თამაში მათ ნახევარზე მიდიოდა. ისე ჩანდა, რომ მოპოვებულ უპირატესობას უკანა ხაზი ვერ იყენებდა. რატომ?**

— გადამწყვეტ მომენტებში კარგად ვერ ვთამაშობდით, თუმცა ეს მარტო უკანა ხაზის ბრალი არ იყო. ბურთი შერკინებიდან დროზე უნდა გამოვიდეს. შეტევას სწორი მიმართულება უნდა მიეცეს. მოკლედ, ბევრი ნიუანსია და იმედი მაქვს, რომ დავლაგდებით. იგივე გვითხრა ტიმ ლეინმაც. ჯარიმებს არც მომავალ მატჩებში დაგვარტყმევინებს და ლელოების გატანას მოგვთხოვს.

**— ლეინმა ისიც თქვა, პორტუგალიას ორი ლელო ვაჩუქეთო...**

— შეცდომები დავუშვით. პირველ ლელოზე ჩვენმა 15 და 14 ნომრებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს. ესეც შეუთამაშებლობის ბრალია. არა უშავს, დავლაგდებით.

**— შენ ლელოზე რას იტყვი?**

— ირაკლი მაჩხანელმა კარგად ითამაშა. ბურთი ზუსტად ჩამიკიდა და მეც გავიტანე.

**— ბოლო წლებში პორტუგალიას კი ვუგებთ, მაგრამ ჩვენთვის მაინც უხერხულ მეტოქედ ითვლება...**

— თავისი სტილი აქვთ. მოძრავი გუნდია. მართალია, ბოლო დროს სულ ვჯობდით, მაგრამ ისე არ ყოფილა, იოლად მოგვეგოს. სულ ბრძოლაში ვამარცხებთ. ისინი და ესპანელები ერთ სტილში თამაშობენ.

**— მომავალ მატჩებზე რას იტყვი. რუსეთთან დაპირისპირება ჩვეულებრივი თამაში არასდროს ყოფილა. მით უმეტეს, ახლა სერიოზული ბრძოლა მოგიწევთ...**

— იოლი თამაში აღარ იქნება. ერთი, შეიძლება გერმანიაზე თქვა, მოვუგებთო, დანარჩენ შეხვედრებში მაგარი ჯახი გვექნება. ხუთ ნაკრებს შორის საერთო დონე საგრძნობლად გათანაბრდა. ისე აღარ არის, ფავორიტებად რუმინეთი და საქართველო რომ ითვლებოდნენ. რუსეთთან კი, რა თქმა უნდა, რთული მატჩი იქნება. ბოლოს დროს მომხდარმა მოვლენებმა კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. ჩვენ ყველა თამაშში მოსაგებად ვიბრძოლებთ.

**— გუნდზეც გკითხავ. რუსეთში ჯერ არ მიდიხარ?**

— რუსეთის ჩემპიონატში შესვენებაა. მე და რატი ურუშაძე ახლა აქ ვვარჯიშობთ და „ენისეის" მოგვიანებით შევუერთდებით. ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელმა ჯონა ნამუმ სპეციალური პროგრამა მოგვცა და ამის მიხედვით ვემზადებით. თან ახლა თვითონაც თბილისშია. რუსები არც გვთხოვენ ჩასვლას, ურჩევნიათ აქ ვივარჯიშოთ. იქ ცივა და პირობები არ არის, მარტო დარბაზში თუ მოემზადები. უფლებას გვაძლევენ, სანამ სანაკრებო მატჩების პერიოდია, საქართველოში ვიყოთ.

**ლევან მაისურაძე**

# ლობუშებმა ქულა აქაც წაგვართვეს

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიოს რეიტინგში მე-14 ადგილი დაკარგა. „ლელოები" ბოლო დროს ამ პოზიციას გაუშინაურდნენ და საკმაოდ დიდ ხანსაც იყვნენ მოკალათებულნი, მაგრამ ერთა თასზე პორტუგალიასთან ნათამაშები 20:20-ს მერე რეიტინგში ერთი ქულა დაკარგეს და კანადას ადგილი ოფლის გამოუსვლელად ერგო. ჩვენებს 68.48 ქულით მე-15 ადგილი უკავიათ და ზურგში რუმინელების სუნთქვას გრძნობენ. „მუხის ფოთლებმა" გერმანიის სტუმრად წაქცევის შემდეგ იაპონია ჩააჩოჩეს და მე-16 ადგილზე გამაგრდნენ.

ცვლილება მოხდა ზედა ათეულშიც. რომში იტალიის წაქცევით ირლანდიელებმა იხეირეს, ინგლისს მეექვსე ადგილი წაართვეს, ოღონდ ამ საქმეში უელსიც დაეხმარათ, ვინაც „ვარდები" წააქცია. საწყისი სამეული კი წარბშეუხრელად ბობოლებს — ახალ ზელანდიას, სამხრეთ აფრიკას და ავსტრალიას უჭირავთ.

| | | |
|---|---|---|
| 1. | ახალი ზელანდია | 92.68 |
| 2. | სამხრეთ აფრიკა | 89.45 |
| 3. | ავსტრალია | 85.86 |
| 4. | უელსი | 82.51 |
| 5. | არგენტინა | 81.56 |
| 6. | ირლანდია | 80.49 |
| 7. | ინგლისი | 80.37 |
| 8. | საფრანგეთი | 79.10 |
| 9. | შოტლანდია | 76.47 |
| 10. | ფიჯი | 75.24 |
| 11. | იტალია | 73.28 |
| 12. | სამოა | 72.57 |
| 13. | ტონგა | 70.05 |
| 14. | კანადა | 69.12 |
| 15. | **საქართველო** | 68.48 |
| 16. | რუმინეთი | 68.17 |
| 17. | იაპონია | 68.05 |
| 18. | რუსეთი | 65.32 |
| 19. | აშშ | 63.55 |
| 20. | ურუგვაი | 62.78 |
| 21. | ესპანეთი | 60.48 |
| 22. | ს. კორეა | 59.02 |
| 23. | პორტუგალია | 58.88 |
| 24. | ჩილე | 56.84 |
| 25. | ნამიბია | 56.82 |
| 26. | გერმანია | 56.42 |

# ტრადიცია: ერთა თასამდე საფრანგეთში შევივლით

**საქართველოს** ნაკრების ავსტრალიელმა თავკაცმა ტიმ ლეინმა ესპანეთთან გასამართი ერთა თასის მატჩისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. ტიმ ლეინი ფრანგულ შეკრებაზე 24 მორაგბეს ავარჯიშებს და საესპანეთო შემადგენლობასაც მათგან შეარჩევს.

„ლელოები" 21-26 თებერვალს „კანის" ბაზაზე მოემზადებიან და იქიდან მიაშურებენ ესპანეთს. მატჩი 28 თებერვალს, მადრიდში „უნივერსიტარიოს" სტადიონზე ჩატარდება. პორტუგალიასთან თამაშის მსგავსად, ესპანეთთანაც ფრანგები გვიმსაჯებენ. თამაშს ფრანკ მასიელო, ბრუნო ბესო, ერიკ ბრიკე კამპენი და მიშელ არპაიანჟი განსჯიან.

აქვე ვთქვათ, რომ ჩვენებმა გერმანიასთან მატჩის წინაც საფრანგეთში გაიარეს შეკრება კლუბ „მასის" ბაზაზე. ტიმ ლეინს მაშინაც 24 მორაგბე ჰყავდა.

შემადგენლობაში ორი სიახლეა. ავსტრალიელმა „ლელოს" მოთამაშე ალექსანდრე თოდუა და აჟენელი ანტონ ფეიქრიშვილი გამოიძახა. არ იქნებიან დავით ზირაქაშვილი და ირაკლი გიორგაძე. „ზირაქას" ამბავი გეცოდინებათ, მან გერმანიასთან ლელოს გატანისას ტრავმა მიიღო და უქმობს.

ლეინს ნაკრების მომზადებაში ჩვეულებრივ დაეხმარებიან ჯონა ნამუ, რომელიც ფიზმომზადების მწვრთნელია და დაცვის გაძლიერებაზე ზრუნავს. ასევე, შერკინების მწვრთნელი ავსტრალიელი დემიენ ქამინსი. ქამინსი ნაკრებს საფრანგეთში გერმანიასთან მატჩის სამზადისის დროს შეუერთდა. მასთან თანამშრომლობა 22 მარტს რუსეთთან გასამართ თამაშამდე გაგრძელდება. თუ ისე მოხდა, რომ რაგბის კავშირი მისი მუშაობით კმაყოფილი დარჩა, მაშინ თანამშრომლობაც გახანგრძლივდება.



გია ლაბაძისთვის ესპანეთთან მატჩი 50-ე სანაკრებო იქნება

ესპანეთთან კი ნაკრებს იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის. პირინელეები ჩვენთვის უხერხულ მეტოქედ ითვლებიან.

ესეც არ იყოს, „ლელოებს" პორტუგალიასთან ფრის მერე წაბორძიკების უფლება აღარ აქვთ. ესპანეთში აუცილებლად უნდა მოვიგოთ!..

**ლევან მაისურაძე**

*საქართველოს ნაკრები: შველიძე, ხინჩაგაშვილი, გუბრიაშვილი, ა. გიორგაძე, ნატრიაშვილი, ზედგინიძე, დათუნაშვილი, ურჩავა, გორგოძე, ურუშაძე, ჩხაიძე, ბასილაია, ლაბაძე, აბუსერიძე (კაპ), სამხარაძე, მალაღურაძე, თოდუა, ფეიქრიშვილი, ზიბზიბაძე, ჩხიკვაძე, კაჭარავა, ბარკალაია, შკინინი, მაჩხანელი*

ავტორბოლა


# Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი





# ლაუდას აღსარება

## ქალმა საჭე გადამახვევინა

**22 თებერვალს** ლეგენდარული ავსტრიელი ავტომრბოლი ნიკი ლაუდა 60 წლის ხდება. ფორმულა ერთის სამგზის ჩემპიონმა სიბერეში ცალი ფეხის შედგმის ჟამს ერთგვარი აღსარება თქვა — ინტერვიუში აღიარა, მთელი ცხოვრება ეგოისტი ვიყავიო.

როგორც თავად ამბობს, ეგოიზმისგან განკურნა ცოლმა, ბირგიტ ვეტცინგერმა, რომელიც მასზე არც მეტი არც ნაკლები, 30 წლით უმცროსია, ანუ 30 წლისა გახლავთ. ლეგენდარულმა ავტომრბოლმა ბირგიტი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ცაში გაიცნო, როცა საკუთარი ავიაკომპანიის თვითმფრინავით მგზავრობდა, მისი მომავალი მეუღლე კი თვითმფრინავზე სტიუარდესად მუშაობდა. გოგონამ ის ფაქტობრივად სიკვდილსაც კი გადაარჩინა, როცა საკუთარი თირკმელი გადაუნერგა.

„წარსულში რომ ვიმზირები, მზად ვარ ვაღიარო, რომ წესიერი ეგოისტი ვიყავი. მაგრამ როდესაც ჩემს ცხოვრებაში ბირგიტი გაჩნდა, ყველაფერი შეიცვალა — ამბობს ლაუდა — ის სრულებით არ მგავს, მის ხელში სულ სხვა ადამიანად ვიქეცი. გადავუხვიე იმ გზიდან, რომელზეც ასეთი ეგოიზმით და სიჯიუტით ვმართავდი ჩემს ავტოს."

უშუალოდ საქმეზე ლაუდას ბევრი არ უსაუბრია. არცთუ დიდი ხნის წინ ის „იაგუარს" მენეჯერობდა, ბოლო დროს კი „ნიკი ლაუდად" მუშაობს და რჩევებს და პროგნოზებს არიგებს, თუმც დამდეგ სეზონზე არაფერი უთქვამს. გავუგოთ, ვინძლო ძალიანაა დაკავებული ახალგაზრდა ცოლით.

რაგბი

## ზე-14 2009

20-21 თებერვალი

**სტორმერზი 27:24 რედზი**
**ვარათაზი 11:7 ჩიფსი**
**ჰარიკეინზი 22:17 ჰაილენდერსი**
**ფორსი 16:10 ჩიტაზი**
**ბრამბიზი 18:16 კრუზეიდერსი**
**ბულზი 59:26 ბლუზი**
***შარქსი — ლაიონზი (32-ე გვერდი)***

# აჟიოტაჟი ქიტუს გამო




**მეორე** ტურის ცენტრალური მატჩი ავსტრალიის დედაქალაქმა კანბერამ უმასპინძლა — „ბრამბიზი" მოქმედ ჩემპიონ „კრუზეიდერსს" მასპინძლობდა და სასწაულ ბრძოლაში ბოლო წუთებზე წაგლიჯა გამარჯვება. მასპინძელთა ბედად ყველაფერი კარგად დამთავრდა, ჩემპიონი იძლია. ოზთა ნაკრების მცველმა მარკ ჯერარდმა თაქისიანთა 11-ფაზიანი შეტევა ლელოთი დაასრულა, 16:16 გაათანაბრა, კაპიტანმა სტირლინგ მორტლოკმა კი გარდასახვით გამარჯვება მოუტანა „ბრამბიზს", რომელიც მეორე ჯერზეც ბოლო წუთზე იგებს.

შედეგიანად დაიწყო ახალი სეზონი შარშანდელმა ფინალისტმა „ვარათაზმაც". კანბერელთა მსგავსად სიდნეელთა ანგარიშზეც ორ თამაშში ორი გამარჯვებაა, თუმც მეორე პირველივით ლამაზი ვერ გამოდგა.

სიდნეელები პარასკევს შინ დაუხვდნენ ახალზელანდიურ „ჩიფსს" და მწირქულიან, თითოლელოიან თამაშში მოიპოვეს გამარჯვებულის სარგო ოთხი ქულა, ბონუსი კი აღარ შეხვდათ. ის კი არა თავიდან 5:7 აგებდნენ და მჭლე საჯარიმო-არეკნითლა დაწინაურდნენ. ჰამილტონელი „ბელადები" მატჩის ბოლოს ბევრს უტევდნენ სიდნეელ „ყვავილებს" და ლელო რომ გაეტანათ, მერე წაეშინათ თავში ხელი ვუს, პალუს, ტუკირის და მათ თანამობურთალებს.

თუმცალა, როგორც გამარჯვებულთა თავკაცმა კრის ჰიკიმ ნამატჩევს შენიშნა — ცუდად მოგება მაინც ჯობია ცუდად წაგებას.

პარასკევსვე მოიგო კიდევ ერთმა ავსტრალიურმა გუნდმა პერთის „ფორსმა", ვისაც სამხრეთაფრიკულ „ჩიტაზსთან" წაადგა საკუთარი სტადიონი და ქვეყნის ნაკრების სასიქადულო დამრტყმელი მეტ ქიტუ.

ამ თამაშშიც ორივე მხრიდან თითო ლელო დაიდო და თამაშის საჭე სათავისოდ შეატრიალა ქიტუმ, ვინაც ოთხი დარტყმა გაუტანა აფრიკელებს. მასპინძლებს მეტოქემაც „წააშველა" ხელი. სტუმრებმა — თითქოს საკუთარი თავის მტრები იყვნენო — უამრავი შანსი ვერ გამოიყენეს, ორჯერ უეჭველი ლელო ვერ გაიტანეს, საჯარიმოებიც ააცილეს და ორმა მოთამაშემ მსაჯს თავიც გაასინბინებინა.

„პერთის" მაშველი ქიტუ ალბათ მომავალი წლიდან გაშორდება ახლანდელ გუნდს და მიაშურებს გაცილებით ამბიციურ „ბრამბიზს", რომელიც ორგზის ჩემპიონიც გახლავთ და პერსპექტივაც უფრო ნათელი აქვს.

ღირსეულად ირაგბა მეოთხე ოზურმა გუნდმა, ბრისბეინის „რედზმაც", თუმცალა კეიპტაუნში „სტორმერზისგან" მაინც იძლია. ოზებმა ლამ ბურთაობაში ოთხი ლელო ხომ გაიტანეს და თუ წააგეს, ისიც მხოლოდ 3 ქულით, რაც ცხრილში კიდევ ერთ ბონუს-ქულად ჩაეწერათ.

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბულზი (პრეტორია, სამხრეთ აფრიკა) | 2 | 2 | 0 | 0 | +46 | 2 | 10 |
| ვარათაზი (სიდნეი, ავსტრალია) | 2 | 2 | 0 | 0 | +8 | 1 | 9 |
| ბრამბიზი (კანბერა, ავსტრალია) | 2 | 2 | 0 | 0 | +4 | 1 | 9 |
| ბლუზი (ოკლენდი, ახალი ზელანდია) | 2 | 1 | 0 | 1 | -27 | 2 | 6 |
| ლაიონზი (იოჰანესბურგი, სამხრეთ აფრიკა) | 1 | 1 | 0 | 0 | +6 | 1 | 5 |
| კრუზეიდერსი (კრაისტჩერჩი, ახალი ზელანდია) | 2 | 1 | 0 | 1 | +4 | 1 | 5 |
| ჰარიკეინზი (ველინგტონი, ახალი ზელანდია) | 2 | 1 | 0 | 1 | +1 | 1 | 5 |
| ფორსი (პერთი, ავსტრალია) | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 5 |
| სტორმერზი (კეიპტაუნი, სამხრეთ აფრიკა) | 2 | 1 | 0 | 1 | -2 | 1 | 5 |
| შარქსი (დურბანი, სამხრეთ აფრიკა) | 1 | 1 | 0 | 0 | +5 | 0 | 4 |
| ჰაილენდერსი (ოთაგო, ახალი ზელანდია) | 2 | 0 | 2 | 0 | -7 | 3 | 3 |
| ჩიფსი (ჰამილტონი, ახალი ზელანდია) | 2 | 0 | 0 | 2 | -10 | 2 | 2 |
| ჩიტაზი (ბლუმფონტეინი, სამხრეთ აფრიკა) | 2 | 0 | 0 | 2 | -12 | 2 | 2 |
| რედზი (ბრისბეინი, ავსტრალია) | 2 | 0 | 0 | 2 | -16 | 2 | 2 |

**ვანო კობიაშვილი**

# HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

**23 თებერვალი**

1894 ჰაროლდ ჰორდერი (ავსტრალია, ლიგის რაგბი)
1914 თეო მიდელკამპი (ჰოლანდია, ველორბოლა)
1965 ჰელენა სუკოვა (ჩეხოსლოვაკია, ჩოგბურთი)
1977 კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი, ბარის თხილამურობა)
1981 გარეტ ბერი (ინგლისი, ფეხბურთი)
1983 მირკო ბერგამასკო (იტალია, რაგბი)
1983 მიდო (ეგვიპტე, ფეხბურთი)

**24 თებერვალი**

1874 ჰონუს ვაგნერი (აშშ, ბეისბოლი)
1940 დენის ლოუ (შოტლანდია, ფეხბურთი)
1955 ალან პროსტი (საფრანგეთი, ავტორბოლა)
1973 ალექსეი კოვალიოვი (რუსეთი, ჰოკეი)
1973 იორდან იოვჩევი (ბულგარეთი, ტანვარჯიში)
1976 ბრედლი მაკგიი (ავსტრალია, ველორბოლა)
1977 ფლოიდ მეივეზერი (აშშ, კრივი)
1981 ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, ჩოგბურთი)
1981 იან დე ვილიერსი (სამხრეთ აფრიკა, რაგბი)

**25 თებერვალი**

1918 ბობი რიგზი (აშშ, ჩოგბურთი)
1932 ტონი ბრუქსი (ბრიტანეთი, ავტორბოლა)
1950 ფრანცისკო ოჩოა (ესპანეთი, მთის თხილამურობა)
1951 დონ ქუარი (იამაიკა, მძლეოსნობა)
1952 ჯოი დანლოპი (ჩრდილოეთ ირლანდია, მოტორბოლა)
1962 ბირგიტ ფიშერი (აღმოსავლეთ გერმანია, ნიჩბოსნობა)
1973 ჟერარ მერსერონი (საფრანგეთი, რაგბი)
1981 ჯი-სუნ პარკი (სამხრეთ კორეა, ფეხბურთი)
1983 ედუარდო და სილვა (ხორვატია, ფეხბურთი)

**26 თებერვალი**

1973 ოლე გუნარ სოლსკიაერი (ნორვეგია, ფეხბურთი)
1973 ჯენი ტომპსონი (აშშ, ცურვა)
1974 სებასტიან ლოები (საფრანგეთი, ავტორბოლა)
1977 შეინ უილიამსი (უელსი, რაგბი)
1978 ნათან შარპი (ავსტრალია, რაგბი)
1984 ემანუელ ადებაიორი (ტოგო, ფეხბურთი)

**27 თებერვალი**

1904 ანდრე ლედუკი (საფრანგეთი, ველორბოლა)
1929 ჯალმა სნტოსი (ბრაზილია, ფეხბურთი)
1958 ნააზ ბოთა (სამხრეთ აფრიკა, რაგბი)
1961 ჯეიმს ვორთი (აშშ, კალათბურთი)
1969 გარეტ ლიულინი (უელსი, რაგბი)
1973 მარკ ტეილორი (უელსი, რაგბი)
1983 დევინ ჰარისი (აშშ, კალათბურთი)

**28 თებერვალი**

1931 დინ სმიტი (აშშ, კალათბურთი, მწვრთნელი)
1942 დინო ძოფი (იტალია, ფეხბურთი)
1944 ზეპ მაიერი (გერმანია, ფეხბურთი)
1956 ადრიან დენტლი (აშშ, კალათბურთი)
1964 ჟამშლიდინ აბდუჯაფაროვი (უზბეკეთი, ველორბოლა)
1966 პაოლო ფუტრე (პორტუგალია, ფეხბურთი)
1970 ნურედინ მორსელი (ალჟირი, მძლეოსნობა)
1973 ერიკ ლინდროსი (კანადა, ჰოკეი)
1978 ბენიამინ რაიხი (ავსტრია, მთის თხილამურობა)
1979 ივო კარლოვიჩი (ხორვატია, ჩოგბურთი)
1980 ტაიშონ პრინსი (აშშ, კალათბურთი)
1985 ელენა იანკოვიჩი (სერბეთი, ჩოგბურთი)

**1 მარტი**

1943 აკინორი ნაკაიამა (იაპონია, ტანვარჯიში)
1943 ხოსე ანხელ ირიბარი (ესპანეთი, ფეხბურთი)
1952 მარტინ ონილი (ჩრდილოეთ ირლანდია, ფეხბურთი)
1963 რონ ფრენსისი (კანადა, ჰოკეი)
1967 არონ ვინტერი (ჰოლანდია, ფეხბურთი)
1971 ტაილერ ჰემილტონი (აშშ, ველორბოლა)
1973 კრის ვებერი (აშშ, კალათბურთი)
1983 დანიელ კარვალიო (ბრაზილია, ფეხბურთი)




## მაკგრეიდი საბოლოოდ დაიმტვრა

**დასრულდა** ტრეისი მაკგრეიდის ტანჯვა. „ჰიუსტონის" 29 წლის ვარსკვლავი მთელი სეზონი წვალობდა, მუხლის ტრავმამ ორი ათეული თამაში გამოატოვებინა, მაგრამ ეგრეც ვერ მოკეთდა და ყველაფერი ოპერაციით დასრულდა. „ყველაფერი აქეთ მიდიოდა. არაერთმა ექიმმა გამსინჯა და ყველამ ერთი რამ დაასკვნა, ოპერაციის გარეშე ვერ გამოვძვრებოდი. იმედი მაქვს, მუხლი სრულად მომიშუშდება და შემდეგ სეზონში მაინც დავითვირთები ასი პროცენტით" — ამბობს მაკგრეიდი.

ორგზის სეზონის ბომბარდირი ბოლო დროს ხშირად ტრავმიანობს, 2005 წლიდან მოყოლებული ყოველ სეზონში ტოვებს 10-30 თამაშს, ახლა კი რეგულარული ჩემპიონატი 35 თამაშზე დაასრულა საშუალოდ 15,6 ქულით, რაც მისთვის ბოლო 9 სეზონში უარესი მაჩვენებელია.

მის გარეშე „ჰიუსტონს" მაინც აქვს წარმატების გარკვეული შანსი, ჰყავს ვარსკვლავები — იაო მინი, რონ არტესტი, ლუის სკოლა, შეინ ბეტიე და თუ ესენი მაინც გადაურჩნენ ტრავმების ეპიდემიას, ტეხასელები ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად დარჩებიან.

## სტუდემაიერიც ტოვებს სეზონს

**ეს** ერთი კვირა ემოციებით გადატვირთული გამოდგა ამარე სტუდემაიერისთვის: ჯერ ოლ სტარი, შემდეგ „კლიპერსლან" ორთამაშიანი მისტერია. 208-სანტიმეტრიან მეფარეს „ფინიქსი" სხვაგან გაცვლასაც კი უპირებდა. საბოლოოდ სტუდემაიერი კი რჩება, მაგრამ... მთელი დარჩენილი სეზონის გამოტოვება უწევს.

ამარეს „კლიპერსთან" მეორე შეხვედრაში მეტოქის ხელი მოხვდა თვალში. თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მოთამაშემ ჩვეულებრივ ჩაამთავრა შეხვედრა, 42 ქულაც დააგროვა, მაგრამ თვალი სტკიოდა. როგორც მალე გაირკვა, საოპერაციოც კი ჰქონია.

ოპერაციამ წარმატებით კი ჩაიარა, მაგრამ ამარე მიმდინარე სეზონში ველარაფრით დაეხმარება თავის გუნდს. რეგულარული ჩემპიონატი 8 კვირაში მთავრდება, მერე კი პლეი ოფია, რომელშიც „ფინიქსი" შეიძლება საერთოდ ვერ გავიდეს ასეთი კაცის გამოკლების შემდეგ. ამარეს საშუალო 21 ქულა და 8 მოხსნა ძალიან დააკლდებათ არიზონელებს.



**ALL STAR 2009** ფინიქსი. 15 თებერვალი

**დასავლეთი 146:119 აღმოსავლეთი**

**დასავლეთი:** პოლი (14 ქულა, 14 პასი), ბრაიანტი (27), სტუდემაიერი (19), დანკანი (6), მინი (2); ონილი (17), გასოლი (14), პარკერი (14), როი (14), ნოვიცკი (8), ვესტი (6), ბილაფსი (5)

*მწვრთნელი: ფილ ჯექსონი (ლეიკერსი)*

**აღმოსავლეთი:** აივერსონი (2), ვეიდი (18), ჯეიმსი (20), გარნეტი (12), ჰოვარდი (13); პირსი (18), უილიამსი (12), ლუისი (8), ალენი (8), ჰარისი (5), გრეინჯერი (2), ჯონსონი

*მწვრთნელი: მაიკ ბრაუნი (კლივლენდი)*

# დევმა გედის იმღერა?
## კობი და შაკი დაძმობილდნენ

**შაკილ ონილი** ალბათ კიდევ ერთ-ორი წელი ითამაშებს ნბა-ში, მაგრამ გასულ კვირას ფინიქსში გამართული ყველა ვარსკვლავის მატჩი ძალიან გავდა მის გაცილებას და გასაგებია, რატომაც. დევშაკი მობერდა, ძველებურად ველარ ლეწავს ფარებს, რამდენიმე დღეში 37 წლის ხდება. იქნებ ეს მისი უკანასკნელი ოლ სტარი იყო? წლეულს მისი საშუალო მონაგარია მხოლოდ 17 ქულა და 9 მოხსნა და შეიძლება ითქვას, შაკილონილობის გამო უხმეს ვარსკვლავებში — მიდი ბოლოჯერ გაერთე და ილლაბუცეო.

და შაკმა ბენეფისი მოიწყო. დატკბა შოუს ყოველი წუთით. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 11 წუთი ითამაშა, მან ცხრა სროლიდან რვა ჩააგდო, 17 ქულა მოაგროვა და მატჩის მვპ-ს წოდება გაიყო კობი ბრაიანტთან ერთად.

შაკი და კობი!

რამდენი ხანია, ამ ორ კოლორიტულ ვარსკვლავს მხარდამხარ არ უთამაშია. მთელი ხუთი წელია. 2004 წელს „დეტროიტთან" რომ წააგეს ის ავადსახსენებელი ფინალი, მას მერე გაიყო მათი გზები. ოდესღაც ისინი „ლეიკერსში" ერთად იგებდნენ პლეი ოფებს, წაგების მერე კი ჯერ ერთმანეთისკენ გაიშვირეს თითი, მერე კი ზურგებიც მიუშვირეს. ორივეს თავისი ოფოფები ყავს, კობი ქვეშქვეშაა, შაკი როყიო. ასე განსაჯეთ, ჰოროსკოპითაც კი არ ეწყობიან ერთმანეთს. ერთ-ერთი უნდა წასულიყო, და წავიდა შაკი... როგორც უფრო ასაკოვანი და შესაძლებლობებამოწურული, ჯეელი კობი კი დატოვეს...

ამ ოლ სტარისთვის ვარსკვლავები რომ შეირჩა და დასავლეთის რჩეულ 12 კაცში შაკიც მოხვდა, „ლეიკერსის" მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა კობის შაყირი დაუწყო, შაკთან ერთად გათამაშებ და აბა ვნახოთ, ერთმანეთს ცხვირებს როგორ აუბზუებთო — დიდ ფილს დასავლელ ვარსკვლავთა მწვრთნობა ერგო, როგორც ამ კონფერენციის საუკეთესო გუნდის თავკაცს.

მაგრამ შაკსა და კობის ერთმანეთის შულლით მტერი არ გაუხარებიათ. ათი წლის უნახავი ძმაბიჭებივით გადაევიენ ერთმანეთს და ორი საათი საუკეთესო მეგობრებად იქცნენ. ეს შოუ მათი იყო და ორივე გუნდის თითქმის ყველა მოთამაშე გზას უთმობდა შერიგებულებს. მხოლოდ გულღრძო ამარე სტუდემაიერმა სცადა თავისი ეგოს დაკმაყოფილება და ისეთი ჟინით ითამაშა, გეგონება ჩემპიონობისთვის იბრძვისო. ბოლო სამი წელია, ამარე 18 ქულაზე ნაკლებს არ აგროვებს, ალბათ ძალიანაც უნდა ოლ სტარის უძვირფასესის წოდება რომ შეხვდეს, თანაც ამ თამაშში ხომ ის შაკთან ერთად მასპინძელიც გახლათ, როგორც „ფინიქს სანზის" წევრი, მაგრამ ცდამ ისევ ამაოდ ჩაუარა. უძვირფასესებად ისინი დასახელდნენ, ვისი უძვირფასესობაც ყველას სურდა.

ისე, კობისაც და შაკსაც მესამედ შეხვდათ ეს სიმბოლური პრიზი. ბრაიანტი 2002 და 07 წლებშიც გამხდარა მვპ, შაკი კი 2000 და 04 წლებში გამოარჩიეს. ამათ გარდა სამგზის უძვირფასესები გამხდარან ახლო წარსულში მაიკლ ჯორდანი და შორეულ წარსულში ოსკარ რობერტსონი. რეკორდსმენი კი გახლავთ ოთხგზის მვპ ბობ პეტიტი.

„ძველი, კეთილი დრო გამახსენდა — ამბობდა გულაჩუყებული შაკი ნამატჩევს — განსაკუთრებით იმ ეპიზოდში, როცა კობის ბლოკი დავუყენე და ფართან მარტო დავტოვე. მართალი რომ გითხრათ, ძალიან მენატრება ის ძველი დრო."

კობიმ კიდე სულ სხვა რამეები ილაპარაკა — კარგი დრო გავატარეთ, მაგრამ სენტიმენტებისგან ატირებას ნუ მომთხოვთო, და მისთანები...

ახლა ოლ სტარის უარესი მოთამაშეც ვახსენოთ. ასეთი პრიზი რომ არსებობდეს, უკონკურენციო კანდიდატი იქნებოდა ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელი ჯო ჯონსონი. „ატლანტას" ლიდერი ზედიზედ მესამედ მოხვდა ვარსკვლავებში და ყველაზე უარესად ახლა ითამაშა: ოთხიდან ოთხი სროლა ააცილა, ხუთჯერ ბურთი დაკარგა და ორივე გუნდის 24 ვარსკვლავიდან ერთდერთმა დატოვა მოედანი უქულოდ.

საზოგადოდ, ვარსკვლავთა ეს წვეულება მაინც შარშანდელზე ნაკლებ მხიარული გამოვიდა. აღმოსავლელი მფრინავები ლებრონ ჯეიმსი, დუაიტ ჰოვარდი და დუეინ ვეიდი ქულებს კი იხვეჭდნენ, მაგრამ ერთმანეთში „ჩატენვების კონკურსი" აღარ გაუმართავთ და ეს ძალიან დააკლდა შოუს. ამ ტიპის თამაშებს სპორტული ინტრიგა ისედაც აკლია ხოლმე, ახლა კი საერთოდ პირველ მეოთხედში ამოიწურა, როცა დასავლეთი ბრაიანტის უსტაბაშობით ერთხელ და საბოლოოდ დაწინაურდა და მეორე ტაიმში უკანმოუხედავად გაიქცა.

**ირაკლი ფირაშვილი**










ლეგენდარულ ბოსტონელ ბილ რასელს 12 თებერვალს 75 წელი შეუსრულდა და ოლ სტარზე ახალმა ბოსტონელებმა იუბილე, აი, ასეთი ტორტით მიულოცეს

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჰოვარდი: ეკალიც და ვარდიც

## კვირიდან კვირამდე

17 თებერვალი

ვაშინგტონი 111:103 მინესოტა
ინდიანა 100:89 ფილადელფია
ორლანდო 107:102 შარლოტი
ნიუ იორკი 112:107 სან ანტონიო
დეტროიტი 86:92 მილუოკი
ოკლაჰომა 98:100 ნიუ ორლეანი
ჰიუსტონი 114:88 ნიუ ჯერსი
ფინიქსი 140:100 კლიპერსი
იუტა 117:99 მემფისი
ლეიკერსი 96:83 ატლანტა

18 თებერვალი

ტორონტო 76:93 კლივლენდი
ფილადელფია 89:101 დენვერი
შარლოტი 103:94 ინდიანა
მაიამი 104:114 მინესოტა
მილუოკი 104:113 ჩიკაგო
ნიუ ორლეანი 117:85 ორლანდო
დალასი 113:98 ნიუ ჯერსი
პორტლენდი 94:90 მემფისი
საკრამენტო 100:105 ატლანტა
გოლდენ სტეიტი 121:129 ლეიკერსი
კლიპერსი 119:142 ფინიქსი

19 თებერვალი

დეტროიტი 79:83 სან ანტონიო
იუტა 90:85 ბოსტონი

20 თებერვალი

შარლოტი 80:92 ორლანდო
ნიუ იორკი 127:97 ტორონტო
მემფისი 106:115 საკრამენტო
ჰიუსტონი 93:86 დალასი
ნიუ ჯერსი 96:107 ვაშინგტონი
მინესოტა 105:112 ინდიანა
ჩიკაგო 116:99 დენვერი
მილუოკი 103:111 კლივლენდი
ფინიქსი 140:118 ოკლაჰომა
პორტლენდი 108:98 ატლანტა
ლეიკერსი 115:111 ნიუ ორლეანი

21 თებერვალი

მაიამი 97:91 ფილადელფია
ვაშინგტონი 67:98 სან ანტონიო
იუტა 102:88 ნიუ ორლეანი
დალასი 116:95 საკრამენტო
გ. სტეიტი 133:120 ოკლაჰომა

### ლიგის ლიდერები

#### ქულა

| | | |
|---|---|---|
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 20.02 | 55 |
| კევინ დურანტი (ოკლაჰომა) | 17.02 | 47 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 17.02 | 45 |
| ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 18.02 | 42 |
| ლეანდრო ბარბოსა (ფინიქსი) | 20.02 | 41 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 20.02 | 39 |
| დევიდ ვესტი (ნიუ ორლეანი) | 17.02 | 37 |
| დუეინ უეიდი (მაიამი) | 18.02 | 37 |
| ბენ გორდონი (ჩიკაგო) | 20.02 | 37 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 18.02 | 36 |
| რენდი ფოი (მინესოტა) | 20.02 | 36 |
| კევინ დურანტი (ოკლაჰომა) | 20.02 | 35 |
| ჯეისონ რიჩარდსონი (ფინიქსი) | 20.02 | 34 |
| ალ ტორნტონი (კლიპერსი) | 18.02 | 33 |
| კევინ მარტინი (საკრამენტო) | 20.02 | 33 |
| ნეიტ რობინსონი (ნიუ იორკი) | 17.02 | 32 |
| რიჩარდ ჯეფერსონი (მილუოკი) | 18.02 | 32 |
| კევინ მარტინი (საკრამენტო) | 18.02 | 32 |
| უილ ჩანდლერი (ნიუ იორკი) | 20.02 | 32 |
| კირკ ჰაინრიხი (ჩიკაგო) | 18.02 | 31 |
| ალენ აივერსონი (დეტროიტი) | 19.02 | 31 |
| რაშუალ ბატლერი (ნ. ორლეანი) | 20.02 | 31 |
| ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | 17.02 | 30 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 18.02 | 30 |
| სებასტიან ტელფაირი (მინესოტა) | 18.02 | 30 |

#### მოხსნა

| | | |
|---|---|---|
| ლამარ ოდომი (ლეიკერსი) | 17.02 | 20 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 17.02 | 19 |
| ალ ჰორფორდი (ატლანტა) | 18.02 | 18 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 19.02 | 18 |
| ლამარ ოდომი (ლეიკერსი) | 20.02 | 17 |
| ტროი მერფი (ინდიანა) | 18.02 | 16 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 20.02 | 16 |
| დევიდ ვესტი (ნიუ ორლეანი) | 20.02 | 16 |

#### პასი

| | | |
|---|---|---|
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 20.02 | 16 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 17.02 | 15 |
| დუეინ უეიდი (მაიამი) | 18.02 | 12 |
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 18.02 | 12 |

#### ჩაჭრა

| | | |
|---|---|---|
| ლეანდრო ბარბოსა (ფინიქსი) | 20.02 | 6 |
| ლეანდრო ბარბოსა (ფინიქსი) | 17.02 | 5 |
| ჯარედ დადლი (ფინიქსი) | 17.02 | 5 |
| მარიო ვესტი (ატლანტა) | 17.02 | 5 |

#### დაფარება

| | | |
|---|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 17.02 | 8 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 20.02 | 6 |



ორლანდოელი დუაიტ ჰავარდი ვერც შარლოტელმა ემეკა ოკაფორმა შეაჩერა

### კვირის გამორჩეული მატჩები

17 თებერვალი

**ორლანდო 107:02 შარლოტი**

ძირითადი დრო 95:95

**ორლანდო:** ჰოვარდი (45 ქულა, 19 მოხსნა, 8 დაფარება), ლუისი (17), თურქოღლუ (13)

**შარლოტი:** ფელტონი (22 ქულა, 10 მოხსნა), დიაუ (14), ოკაფორი (14)

„ორლანდოს" ზედ ოლ სტარის წინ მთელი სეზონით დაემტვრა გამთამაშებელი ჯამერ ნელსონი და ახლა „შარლოტის" მაგვარ გუნდებთანაც ჯაფა ადგას. ამ ჯერზე გაუძლო და მოიგო. გუნდი იხსნა სათადარიგო მსროლელმა ჯეიჯეი რედიკმა, ვინაც მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე 8 წამით ადრე სამქულიანით 95:95 გაათანაბრა და ბრძოლის ოვერტაიმში გადაიტანით გადაარჩინა თავისი გუნდი.

მაგრამ შეხვედრის გმირი სულ სხვა გახდა. ფლორიდელთა ვარსკვლავმა ცენტრმა დუაიტ ჰოვარდმა ოლ სტარზე შაკილ ონილს ჭიის გახარებაში ხელი არ შეუშალა და ჩრდილში დგომა არჩია, მაგრამ „შარლოტი" არ დაინდო და საშინელი ოდენობით უკეთა ქულა-მოხსნა-დაფარებები, რითაც ყველას აჩვენა, ვინაა დღეს უძლიერესი ცენტრი. ჰოვარდმა 45 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა და ამასთან გაიმეორა სწორედ შაკის კუთვნილი საკლუბო რეკორდი — ზედიზედ 18 ორმაგი დუბლი.

17 თებერვალი

**ნიუ იორკი 112:107 სან ანტონიო**

*ძირითადი დრო 102:102*

**ნიუ იორკი:** რობინსონი (32), ჩანდლერი (17), დუჰონი (17)

**სან ანტონიო:** დანკანი (26 ქულა, 15 მოხსნა), მეისონი (20), პარკერი (14)

„ნიუ ორკის" გამთამაშებელ ნეიტ რობინსონ ოქროს ხანა უდგას. 165-სანტიმეტრიანმა ჯუჯამ ერთი კვირის წინ ფინიქსში ჩატენვების კონკურსი ხომ მოიგო, თანაც როგორ! შარჩანდელ გამარჯვებულ დუაიტ ჰოვერს გადაახტადა ასე ჩატენა. მაგრამ რობინსონი განა მხოლოდ ცარიელ ფართან მარტო მყოფია მაგარი. არანაკლებ მძლავრად თამაშობს და ზედიზედ მესამე თამაშში ასცდა 30-ქულიან ნიშნულს. ამ ჯერზე ის თავის გუნდს ოთხგზის ჩემპიონი „სან ანტონიოს" ოვერტაიმში ძლევაში დაეხმარა.

„სან ანტონიოს" აკლდა ტრავმის გამო ორი კვირით გამოთიშული მანუ ჯნობილი. ხოლო ორი ვარსკვლავიდან ერთ-ერთმა ტონი პარკერმა თამაში ჩააფლავა და 20 სროლიდან 15 გააცუდა. მას დიდწილად სწორედ ნეიტ რობინსონი მეურვეობდა. მეორე ვარსკვლავ ტიმ დანკანის სოლიდურმა ორმაგმა დუბლმა კი „ნიუ იორკი" ვერ გატეხა.

17 თებერვალი

**ოკლაჰომა 98:100 ნიუ ორლეანი**

**ოკლაჰომა:** დურანტი (47), გრინი (24), ვესტი (12)

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (37), პოლი (21), ბატლერი (12)

ამ გუნდებიდან ერთი ლიდერთა შორისაა, მეორე კი უიმედო აუტსაიდერი, მაგრამ თამაში მაინც დაძაბული გამოვიდა. „ოკლაჰომას" 20 წლის ლიდერმა კევინ დურანტმა კიდევ ერთხელ სცადა, დაემტკიცებინა, რომ ოლ სტარში დასავლეთის 12 ვარსკვლავს შორის ყოფნას იმსახურებდა, „ნიუ ორლეანთან" 47 ქულა დააგროვა და ერთი თვის წინ დამყარებული პირადი რეკორდი ერთით გააუმჯობესა.

თუმც მის გუნდს მაინც არ შერჩა მოგება. „ნიუ ორლეანის" ოლსტარელმა ფორვარდმა დევიდ ვესტმა 37 ქულა გაჩარხა, მაგრამ მასზე და დურანტზე მეტი ქება ერგო „ნიუ ორლეანის" გამთამაშებელ კრის პოლს, რომელმაც 21 ქულა, 8 პასი და 3 ჩაჭრა ხომ მოიხვეჭა და თან მატჩის დამთავრებამდე 2 წამით ადრე ჩაგდებულით მოაგებინა სტუმრებს.

პოლი ნამატჩევს ცოტა შეჩქვიფებულიყო — არ მეგონა, ნერვები თუ მეყოფოდა და ამ დარბაზში ბოლო წამზე გადამწყვეტი ბურთის ჩაგდებას შევძლებდიო. საქმე ისაა, რომ პოლი 2005 წელს ამ ქალაქში იწყებდა კარიერას. მაშინაც „ნიუ ორლეან ჰორნეთსში" ირიცხებოდა, მაგრამ ეს გუნდი შინაურ მატჩებს ოკლაჰომაში, ზუსტად ამ დარბაზში მართავდა, რაკილა ქარიშხალ „კატრინასგან" წალეკილ ნიუ ორლეანში არ დაედგომებოდა.

17 თებერვალი

**ფინიქსი 140:100 კლიპერსი**

18 თებერვალი

**კლიპერსი 119:142 ფინიქსი**

20 თებერვალი

**ფინიქსი 140:118 ოკლაჰომა**

„ფინიქს სანზმა" „ლოს ანჯელეს კლიპერსი" ორ დღეში ორჯერ გაანადგურა და ამ ორი მატჩის ჯამში 282 ქულა დაატეხა. ფინიქსელები ახალმა თავკაცმა გაახელა ასე. ახლახანს მოხსნილი ტერი პორტერის ადგილი ენვინ ჯენთრიმ დაიკავა, რომელიც ადრე „კლიპერსს" წვრთნიდა და 2003 იქიდან გაგდება ძალლის ნაკბენივით ახსოვდა. „ფინიქსის" ბომბარდირმა ამარე სტუდემაიერმა ორი მატჩის ჯამში 62 ქულა გააკეთა, ბებერმა შაკილ ონილმა კი ამის ნახევარი შეაჯამა.

„ფინიქსი" ისე დაეჩვია 140 ქულის კეთებას, რომ ორი დღის შემდეგ „ოკლაჰომასთანაც" ზუსტად ამდენი გამოაცხო.

**ირაკლი ფირაშვილი**

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 44 | 12 | 78,6 |
| ფილადელფია | 27 | 27 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 24 | 32 | 42,9 |
| ნიუ იორკი | 23 | 31 | 42,6 |
| ტორონტო | 21 | 36 | 36,8 |
| **ცენტრალური** | | | |
| კლივლენდი | 42 | 11 | 79,2 |
| დეტროიტი | 27 | 26 | 50,9 |
| მილუოკი | 27 | 31 | 46,6 |
| ჩიკაგო | 25 | 30 | 45,5 |
| ინდიანა | 23 | 34 | 40,4 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 40 | 14 | 74,1 |
| ატლანტა | 32 | 23 | 58,2 |
| მაიამი | 29 | 25 | 53,7 |
| შარლოტი | 22 | 33 | 40,0 |
| ვაშინგტონი | 13 | 43 | 23,2 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 37 | 17 | 68,5 |
| ჰიუსტონი | 34 | 21 | 61,8 |
| დალასი | 33 | 22 | 60,0 |
| ნიუ ორლეანი | 32 | 22 | 59,3 |
| მემფისი | 15 | 40 | 27,3 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დენვერი | 37 | 18 | 67,3 |
| პორტლენდი | 34 | 20 | 63,0 |
| იუტა | 33 | 23 | 58,9 |
| მინესოტა | 18 | 36 | 33,3 |
| ოკლაჰომა | 13 | 43 | 23,2 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 45 | 10 | 81,8 |
| ფინიქსი | 31 | 23 | 57,4 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 36 | 35,7 |
| კლიპერსი | 13 | 42 | 23,6 |
| საკრამენტო | 12 | 45 | 21,1 |

# სატრანსფერო მიდი-მოდი



ბრედ მილერი

**18 თებერვალს** ნბა-ში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, ხოლო მანამდე არაერთი გაცვლა მოხდა. დაახლოებით ათეულმა საშუალო დონის მოთამაშემ შეიცვალა გუნდი, მსხვილი გაცვლები კი ყველა ჩაიშალა.

ყველაზე ცნობილი ხალხი „საკრამენტომ" და „ჩიკაგომ" გაცვალეს. პირველმა მიიღო ორი ფორვარდი — დრიუ გუდენი და ანრეს ნოჩიონი, ხოლო გაილო ცენტრი ბრედ მილერი და ფორვარდი ჯონ სალმონსი. „ჩიკაგომ" აშკარად უფრო იხეირა, რაკი ბრედ მილერისთანა ცენტრი ლიგაში სულ ათიოდე თუ მოითვლება და მან წესით შესამჩნევად უნდა გააძლიეროს პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლი „ხარები".

„საკრამენტომ" კიდევ ერთი გაცვლა მოაგვარა, „ბოსტონიდან" წამოიყვანა ნბა-ს ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული მოთამაშე, 40 წელს მიტანებული სემ კასელი, სანაცვლოდ კი მომავალი დრაფტის მეორე წრის არჩევანი გაილო.

იგეგმებოდა ხმაურიანი გაცვლა „ნიუ ორლეანსა" და „ოკლაჰომას" შორის. ეს უკანასკნელი თმობდა ძირითად ცენტრ ტაისონ ჩანდლერს ორი მეფარის — კრის უილკოქსის და ჯო სმიტის სანაცვლოდ. გარიგება ფაქტობრივად უკვე შემდგარი იყო, ჩანდლერს ჩემოდანი ჩალაგებული ჰქონდა, მაგრამ გაჩარხული საქმე სულ ბოლო წამს ჩაიშალა.

მნიშვნელოვანი შევსება მიიღო „ორლანდომ", რომელსაც ცოტა ხნის წინ ვარსკვლავი გამთამაშებელი ჯამერ ნელსონი დაემტვრა. ამიერიდან გუნდის შეტევებს უდისპეჩერებს რაფერ ელსტონი, რომელიც „მეჯიქმა" „ჰიუსტონ როკეტსსგან", შეიძლება ითქვას, ჩალის ფასად შეიძინა.




# სკოლიმოვსკა ვარჯიშში დაიღუპა

**სპორტში** ბოლო დროს გახშირებულ სიკვდილიანობაზე ბევრს საუბრობენ, ეს თემა, სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი მოქმედი სპორტსმენი დაიღუპა უშუალოდ სპორტულ მოედანზე. პოლონელი ოლიმპიური ჩემპიონი, უროს მტყორცნელი ქალი კამილა სკოლიმოვსკა პოლონეთის მძლეოსნობის ნაკრებს პორტუგალიურ ფაროში საწვრთნელ შეკრებზე ახლდა. ვარჯიშის დროს ის მოულოდნელად გულშეღონებული დაეცა. სასწრაფოდ ჰოსპიტალში გააქანეს, მაგრამ გზაში დალია სული. მხოლოდ 26 წლისა გახლდათ, ჯან-ღონით სავსე ვეებერთელა ქალი.

სკოლიმოვსკა 18 წლისაც არ იყო, როცა 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადაზე ქალთა შორის უროს ტყორცნაში ჩემპიონი გახდა. მაშინ ეს სახეობა პირველად დაუშვეს ოლიმპიურ პროგრამაში და პოლონელი გოგონა ისტორიაში პირველ ჩემპიონად შევიდა. მას კიდევ არაერთი გამარჯვება მოუპოვებია და ალბათ მომავალშიც მოიპოვებდა, რომ არა...

# დეფარმა დიბაბა დააქვეითა

**თანამედროვეობის** ერთ-ერთ უძლიერეს სტაიერ ქალს, ეთიოპიელ მესერეტ დეფარს აშკარად ჩაუვარდა 2008 წელი თავის ოლიმპიადასთან ერთად. პეკინში მას 5 და 10-კილომეტრიან დისტანციებზე გაასწრო თანამემამულე ტირუნეშ დიბაბამ. ამ ორი შავტუხა გოგონას მეტოქეობა ჯერაც გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ერთმანეთს ხშირად ემალებიან და ერთ ტურნირზე ძალზე იშვიათად, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გამოდიან.

დეფარი გასულ კვირას სტოკჰოლმში გახლდათ. ის აქტიურად მონაწილეობს დარბაზებში გამართულ ტურნირებში და ზამთრის სეზონში ცდილობს შარშან დაკარგულის ანაზღაურებას. რაღაც გამოსდის კიდეც.

სტოკჰოლმში დეფარმა დიბაბას ერთი მსოფლიო რეკორდი მოუხსნა — 5 კილომეტრი 14 წუთსა და 27,42 წამში დაფარა და 3 წამზე მეტით გააუმჯობესა ძველი რეკორდი, რომელიც დიბაბას შარშანწინ ბოსტონში დაემყარებინა. ცხადია, საუბარია დარბაზების რეკორდზე, რომლებიც როგორც წესი, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებიან ღია სტადიონების, ანუ ნამდვილ რეკორდებს. „ღია რეკორდიც" დიბაბასია — 14 წუთი და 11,15 წამი. აქ დეფარი ექს-რეკორდსმენია თავისი 14.16,63 შედეგით.

თუმცა დეფარი მაინც კმაყოფილობდა — სეზონი კარგად დავიწყე და ვნახოთ, როგორ გავაგრძელებო.



# ფორმულა სპონსორს კარგავს

**ფორმულა ერთს** მომავალი წლიდან აღარ უსპონსორებს მსხვილი ჰოლანდიური სადაზღვევო კომპანია „აიენჯი". ეს კომპანია დიდძალ თანხებს აბანდებდა ამ სპორტში, კერძოდ: გახლდათ „რენოს" მთავარი სპონსორი, აგრეთვე ასპონსორებდა რამდენიმე გრან პრის (ავსტრალიის, ბელგიის, უნგრეთის და თურქეთისას) და აგრეთვე არაერთ ათეულ მილიონს იხდიდა ტრასებზე სარეკლამო ბანერების განთავსებაში.

„მცირე ხნის წინ გავაფრთხილეთ ჩვენი კომპანიონები, რომ ხარჯების შემცირებას ვაპირებდით. ახლა კი ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ „რენოსთან" სამწლიანი კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ, ანუ 2009 წლის ბოლოს ახალ ხელშეკრულებას აღარ დავდებთ და ზოგადად ფორმულა ერთთან თანამშრომლობასაც დავამთავრებთ, რადგან კომპანია აპირებს, შეამციროს ხარჯების 40 პროცენტი" — ამ ფირმის წარმომადგენლისგან აი ასეთი მწარე ცნობის მოსმენა უწევთ ფორმულა ერთში დასაქმებულ იმ ხალხს, რომლებიც მსხვილი სპონსორის დაფინანსებით საზრდოობენ.

და ამ დროს ბერნი ეკლსტოუნი იტყვის, გლობალური ეკონომიკური კრიზისი არ შეგვხებიაო? ფორმულა ერთის ბებერი შეფის ასეთი მჭახე განცხადებები ღიითიდლე ემსგავსება ცუდად შენიღბულ ბლეფს.



# მეგობრობა გზად და ხიდად

## ვონმა რეიხს გზა დაუთმო?

გასულ კვირას საფრანგეთის სამთო კურორტ ვალ დიზერში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი მთის თხილამურობაში. შემდეგ ჩემპიონატს 2011 წელს უმასპინძლებს ალპების სულ სხვა ფერდზე შეფენილი გერმანული გარმიშ პარტენკირხენი.

ვალ დიზერში მედლების ბოლო ორი კომპლექტი ჩვეულებრივ სლალომში გათამაშდა. ეს სახეობა ძალზე სპეციფიურია, ყველაზე „ზანტია", მაგრამ ტექნიკურ სრიალს მოითხოვს.

| ქალები. სლალომი | | კაცები. სლალომი | |
|---|---|---|---|
| 1 მარია რეიხი (გერმანია) | 1.51,80 | 1 მანფრედ პრანგერი (ავსტრია) | 1.44,17 |
| 2 შარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) | 1.52,57 | 2 ჟულიენ ლიზერო (საფრანგეთი) | 1.44,48 |
| 3 ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 1.52,89 | 3 მაიკლ იანიკი (კანადა) | 1.45,70 |

**ბოლოს** და ბოლოს, თავისას მიაღწია გერმანელმა მარია რეიხმა, ვისაც მანამდე მხოლოდ წარუმატებლობები ხვდებოდა: ყველა სახეობაში ხელი მოეცარა, სწრაფდაშვების ვარჯიშზე საერთოდ დაეცა და მცირედ იტკინა იდაყვი. ახლა სალომშიც რომ არაფერი გამოსვლოდა, მთელი ჩემპიონატი ჩაუფლავდებოდა, არადა, გოგო გადასარევ ფორმაშია.




მარია რეიხი

რეიხი უნივერსალ მოთხილამურედ ითვლება, ყველა სახეობაში რიგიანად გამოდის, მაგრამ სლალომში განსაკუთრებით ყოჩაღია — წლევანდელ მსოფლიოს თასზე ოთხი ეტაპი აქვს მოგებული და სადღეისოდ საუკეთესო მოსლალომედაც ითვლება. ხალხს ის უკვირს, 181 სანტიმეტრი სიმაღლის გოგონა როგორ ახერხებს ასეთ კოორდინაციას და ტექნიკურ სრიალსო.

24 წლის გერმანელს თავიდან სლალომშიც არ დაუჯდა კოჭი ალჩუზე. შეჯიბრი ორ ცდად იმართება და დროები ჯამდება. მას კი დილის პირველმა ცდამ მხოლოდ მეექვსე ადგილი არგუნა. მაგრამ მებრძოლი გოგონა ბედს არ შეეგუა, თავი ხელში აიყვანა და საღამოს სრულად „ამოიღო" დანაკარგი.

რეიხს ცოტა გაუმართლა კიდეც, რაკი პირველი ცდის შემდეგ პირველ-მეორე ადგილოსნები — იტალიელი მანუელა მოელგი და ამერიკელი ლინდსი ვონი მეორე სრიალისას მოცურდნენ და ბრძოლას გამოეთიშნენ. ისე, ვონი და რეიხი მეგობრები არიან. ბოლო დროს ერთთავად ვონი იგებს და ერთ-ერთი მორიგი გამარჯვებისას წამოსცდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგაგებინებო. კუდრაჭა ამერიკელს ვალ დიზერში უკვე ორი ოქროს მედალი მოერეწა — სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში და ვინ იცის, ახლა კეთილმეგობრული გრძნობით გამსჭვალული შეგნებულად გადავიდა ტრასიდან?

ნასრიალევს ვონი ცოტა კეკლუცობდა — უბედნიერესი ვიქნებოდი, მარიასთან ერთად რომ ვმდგარიყავი პოდიუმზეო.

ქალთა სლალომში რეიხის ზურგსუკან მედლები გაინაწილეს ჩეხმა შარკა ზაჰრობსკამ და ფინელმა ტანია პოუტიაინენმა. ზაჰრობსკას წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოეგო ეს სახეობა. პოუტიაინენმა კი ვალ დიზერში მეორე მედალი დაიკიდა — რამდენიმე დღით ადრე გიგანტურ სლალომშიც ბრინჯაო მოიპოვა.

ჩემპიონატი კაცთა სლალომით დასრულდა. აქ იმარჯვა 31 წლის ავსტრიელმა მანფრედ პრანგერმა, ვისაც საკუთარ ოსტატობასთან ერთად იღბალიც მიეშველა. პრანგერი პირველი ცდის შემდეგ ლიდერობდა და მეორე ცდაზე ბოლოს უწევდა გამოსვლა. გაუმართლა და, რჩეული ათეულიდან ერთბაშად ექვსმა კონკურენტმა დაუშვა შეცდომა. ამათ შორის იყვნენ ბენიამინ რაიხი და მასპინძელ ფრანგთა ფავორიტი ჟან-ბაპტის გრანჟი.

პრანგერს ისღა დარჩენოდა, მშვიდად მიეღწია ფინიშამდე და საჩემპიონო ოქროც კისერზე ეკიდა. ავსტრიელმა შეასრულა პროგრამა-მინიმუმი, შიშნარევი სიფრთხილით ისრიალა და მეორე ცდაზე მხოლოდ მეშვიდე დრო აჩვენა. ბედად, მან თხილამური შემოატარა 591-მეტრიანი ტრასის 64-ვე დროშას და ფინიშზე ჩასულმა მშვიდად ამოისუნთქა.

**ვანო კობიაშვილი**

| მედლები | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 2 | 3 | 1 | 6 |
| ავსტრია | 2 | 1 | 2 | 5 |
| აშშ | 2 | 0 | 1 | 3 |
| გერმანია | 2 | 0 | 0 | 2 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 2 |
| კანადა | 1 | 0 | 1 | 2 |
| საფრანგეთი | 0 | 3 | 0 | 3 |
| იტალია | 0 | 1 | 1 | 2 |
| სლოვენია | 0 | 1 | 0 | 1 |
| ჩეხეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| ფინეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| ხორვატია | 0 | 0 | 1 | 1 |




მანფრედ პრანგერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსები ყველას წინააღმდეგ

## ბიორნდალენმა ქეგლი ოთხჯერაც გაამართლა

**კორეულ** პიონგჩანგში ბიატლონისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა, რომლის ტრიუმფატორადაც, რა გასაკვირია, ნორვეგიელი ოლე ეინარ ბიორნდალენი იქცა — დიადი სპორტსმენი, ვისაც სამშობლოში სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი.



ოღონდ ისიც არის, რომ ჩემპიონატს უსკანდალოდ არ ჩაუვლია და ამ სკანდალს „რუსები ბიორნდალენის წინააღმდეგ" შეგვიძლია დავარქვათ.

რუსეთის დელეგაციას პრეტენზია 10 კმ-ზე გამოდევნებისას გაუჩნდა და თვლიან, რომ ბიორნდალენი დისკვალიფიკაციას იმსახურებდა. ამ შემთხვევაში კი ჩემპიონობა რუს მაქსიმ ჩუდოვს ერგებოდა.

არგუმენტი? მოგახსენებთ:

რუსები ბიატლონის საერთაშორისო ფედერაციის დებულების 5.5 პარაგრაფს იშველიებენ, სადაც წერია: „ტრაექტორიიდან ნებისმიერი გადახვევა ან ტრასაზე არასწორი მიმართულებით მოძრაობა, რაც დისტანციის უფრო სწრაფად გავლის საშუალებას იძლევა, სპორტსმენის დისკვალიფიკაციით ისჯება."

შეჯიბრისას აღნიშნული პუნქტი თორმეტმა სპორტსმენმა დაარღვია — მათ შორის, ოლე ენარ ბიორნდალენმა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა დარღვევა შენიშნეს და ბიორნდალენს თავდაპირველად ასეთი სასჯელი გამოუწერეს — ერთი საჯარიმო წუთი, რამაც დიადი ნორვეგიელი მესამე ადგილზე გადაისროლა. ჩუდოვმა კი მილოცვების მიღება დაიწყო.

შეჯიბრის დასრულებიდან სამი საათის მერე კი ფედერაციამ გადაწყვეტილება შეცვალა, ბიორნდალენს საჯარიმო წუთი მოუხსნა და მსოფლიოს ჩემპიონადაც გამოაცხადა. საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვეტილების მიღებისას ასეთი ოფიციალური კომენტარიც გააკეთა: წესის დამრღვევებს რაიმე უპირატესობა არ მიუღიათო. ეს არგუმენტი აქ ნაჩვენები სქემითაც დასტურდება, სადაც თვალნათლივ ჩანს, რომ ბიორნდალენმა ტრასას კი გადაუხვია, მაგრამ მანძილი არ მოუჭრია. მაგრამ ასევე ლოგიკურია რუსების პრეტენზიაც, რომლებიც კვლავაც დებულებას იშველიებენ. ნახსენები პუნქტის გარდა რუსებმა სხვა პუნქტიც ამოქექეს. კერძოდ, 5.3 პარაგრაფისა, სადაც წერია, რომ 1-წუთიანი ჯარიმა ორ შემთხვევაშია განსაზღვრული: როცა ბიატლონისტი უკან მომავალს გზას არ უთმობს და როცა ფეირ პლეის პრინციპებს არღვევს.

რუსები ამტკიცებენ, რომ ტრასის მოჭრა 5.5 პარაგრაფის დარღვევაა და ერთწუთიანი ჯარიმაც მეტისმეტად ლმობიერი სასჯელია, მით უმეტეს, რომ ის ერთწუთიანი ჯარიმაც მოუხსნეს ნორვეგიელსო.

რუსთა პროტესტს კი საპირისპირო პროტესტი მოჰყვა, რომელსაც ავსტრიის, საფრანგეთის, გერმანიის, ნორვეგიის, პოლონეთის, სლოვენიის, უკრაინის და შეერთებული შტატების დელეგაციები აწერენ ხელს. ამათი პროტესტის შინაარსი ის არის, რომ ტრასის საზღვრები მკაფიოდ გამიჯნული არ არის და შეცდომებიც აქედან გამომდინარე დაუშვეს სპორტსმენებმაო.

სწორედ საპირისპირო პროტესტმა აიძულა ორგანიზატორები თავდაპირველი გადაწყვეტილება ბიორნდალენის სასარგებლოდ შეეცვალათ.

ეს რაც შეეხება გამოდევნებას, ინდივიდუალურ რბოლაში კი თავად ბიორნდალენმა აღიარა, გამიმართლაო: „ნაღდად არ ველოდი, ჩემპიონი თუ გავხდებოდი, რადგან სამი სროლა ავაცილე, ეს კი ძალიან ბევრია."

სხვათა შორის, ამქვეყნად ყველაფრის მომგებ ბიორნდალენს ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონატი აქამდე არასდროს მოეგო. კიდევ ერთი ოქრო ნორვეგიელმა სპრინტში მოიგო, ბოლო კი — ესტაფეტაში.

ქალთა ტრიუმფატორი გახდა გერმანელი კატი ვილჰელმი, ვინაც პიონგჩანგში ორი ოქროს მედალი მოიგო და ჯამში მსოფლიოს ჩემპიონის ხუთი ოქრო მოუგროვდა.

ბიორნდალენის დარად, ინდივიდუალურ რბოლაში არც კატი გამხდარა აქამდე მსოფლიოს ჩემპიონი.

ხოლო პოდიუმზე ამ გოგომ ერთხელაც დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობამ, მერამდენეც უნდა იყოს, მობეზრება არ იცის — პოდიუმზე ცრემლად დაიღვარა. მერე კი თქვა, კორეაში ერთი ოქროს იმედით ჩამოვედი და უკვე ორი მოვიგეო.

ჩემპიონატის კიდევ ერთი ტრიუმფატორი კი რუსი ოლგა ზაიცევა გახდა, ვინაც ორი ოქრო და ორიც ბრინჯაო მოიგო.

**გიორგი დარჯანია**




**ოლე ეინარ ბიორნდალენი:** ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სამგზის ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონი; ერთი ოლიმპიური ბრინჯაო; მსოფლიოს 14-გზის ჩემპიონი; მსოფლიოს ათგზის ვიცე-ჩემპიონი; მსოფლიოს 9-გზის ბრინჯაოსმედალოსანი; მსოფლიოს თასის 76 ეტაპის მომგები; მსოფლიოს თასის ხუთგზის გამარჯვებული და ხუთგზის მეორეადგილოსანი

**ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი.**
**პიონგჩანგი. სამხრეთ კორეა. 14-22 თებერვალი**

| | | | |
|---|---|---|---|
| | **ქალები. სპრინტი 7,5 კმ** | | |
| 1 | კატი ვილჰელმი | გერმანია | 21:11,1 (0 საჯარიმო) |
| 2 | სიმონა ჰაუსვალდი | გერმანია | +9,9 წამი (0 საჯარიმო) |
| 3 | ოლგა ზაიცევა | რუსეთი | +27,1 წამი (0 საჯარიმო) |
| | **კაცები. სპრინტი 10 კმ** | | |
| 1 | ოლე ეინარ ბიორნდალენი | ნორვეგია | 24:16,5 (2 საჯარიმო) |
| 2 | ლარს ბერგერი | ნორვეგია | +1,2 წამი (2 საჯარიმო) |
| 3 | ჰალვარდ ჰანევოლდი | ნორვეგია | +12,5 წამი (0 საჯარიმო) |
| | **ქალები. გამოდევნება 10 კმ** | | |
| 1 | ჰელენა იუნსონი | შვედეთი | 34:12,3 (2 საჯარიმო) |
| 2 | კატი ვილჰელმი | გერმანია | +18,3 წამი (6 საჯარიმო) |
| 3 | ოლგა ზაიცევა | რუსეთი | +24,1 წამი (6 საჯარიმო) |
| | **კაცები. გამოდევნება 12,5 კმ** | | |
| 1 | ოლე ენარ ბირნდალენი | ნორვეგია | 31:46,7 (4 საჯარიმო) |
| 2 | მაქსიმ ჩუდოვი | რუსეთი | +41,7 წამი (3 საჯარიმო) |
| 3 | ალექსანდრ უსი | ნორვეგია | +52,8 წამი (3 საჯარიმო) |
| | **კაცები. ინდივიდუალური 20 კმ** | | |
| 1 | ოლე ენარ ბირნდალენი | ნორვეგია | 52:28,0 (3 საჯარიმო) |
| 2 | კრისტოფ შტეფანი | გერმანია | +14,1 წამი (1 საჯარიმო) |
| 3 | იაკობ ფაკი | ხორვატია | +17,1 წამი (1 საჯარიმო) |
| | **ქალები. ინდივიდუალური 15 კმ** | | |
| 1 | კატი ვილჰელმი | გერმანია | 44:03,1 (1 საჯარიმო) |
| 2 | ტეა გრეგორინი | სლოვენია | +39,5 წამი (1 საჯარიმო) |
| 3 | ტურა ბერგერი | ნორვეგია | +46,5 წამი (1 საჯარიმო) |
| | **შერეული ესტაფეტა** | | |
| 1 | საფრანგეთი | | 1:10.30,0 (0+6) |
| 2 | შვედეთი | | +6,2 წამი (0+3) |
| 3 | გერმანია | | +9,2 წამი (0+11) |
| | **კაცები. მასსტარტი. 15 კმ** | | |
| 1 | დომინიკ ლანდერტინგერი | ავსტრია | 36.01,0 (3 საჯარიმო) |
| 2 | კრისტოფ ზუმანი | ავსტრია | +8,9 წამი (3 საჯარიმო) |
| 3 | ივან ჩერეზოვი | რუსეთი | +13,9 წამი (2 საჯარიმო) |
| | **ქალები. ესტაფეტა. 4x6 კმ** | | |
| 1 | რუსეთი | | 1:13:12,9 (0+9) |
| 2 | გერმანია | | +1.15,1 წუთი (3+14) |
| 3 | საფრანგეთი | | +1.27,5 წუთი (1+13) |
| | **ქალები. მასსტარტი. 12,5 კმ** | | |
| 1 | ოლგა ზაიცევა | რუსეთი | 34:18,3 (2 საჯარიმო) |
| 2 | ანასტასია კუზმინა | სლოვაკეთი | +7,5 წამი (2 საჯარიმო) |
| 3 | ჰელენა იუნსონი | შვედეთი | +12,3 წამი (2 საჯარიმო) |
| | **კაცები. ესტაფეტა 4x7,5 კმ** | | |
| 1 | ნორვეგია | | 1:08.04,1 (2%9) |
| 2 | ავსტრია | | +12,6 წამი (0%7) |
| 3 | გერმანია | | +32,7 წამი (0%10) |



**კატი ვილჰელმი:** სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; სამგზის ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონი; ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი; ოთხგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი; ოთხგზის მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი; მსოფლიოს თასის 16 ეტაპის მომგები; მსოფლიოს თასის გამარჯვებული

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | უეფა. ჩემპიონთა ლიგა 24 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 1 | არსენალი-რომა | 1.95 | 3.30 | 4.00 | 1.22 | 1.31 | 1.80 |
| 23:45 | 2 | არსენალი-რომა 0:1 | 3.50 | 3.60 | 1.85 | | | |
| 23:45 | 3 | ატლეტიკო-პორტუ | 1.90 | 3.30 | 4.10 | 1.20 | 1.29 | 1.82 |
| 23:45 | 4 | ატლეტიკო-პორტუ 0:1 | 3.40 | 3.50 | 1.90 | | | |
| 23:45 | 5 | ინტერი-მანჩესტერი | 2.55 | 3.10 | 2.80 | 1.39 | 1.33 | 1.47 |
| 23:45 | 6 | ინტერი-მანჩესტერი 0:1 | 5.00 | 4.00 | 1.50 | | | |
| 23:45 | 7 | ლიონი-ბარსელონა | 3.90 | 3.30 | 1.95 | 1.78 | 1.29 | 1.22 |
| 23:45 | 8 | ლიონი-ბარსელონა 1:0 | 1.85 | 3.50 | 3.60 | | | |
| 23:45 | 9 | ჩელსი-იუვენტუსი | 1.90 | 3.30 | 4.20 | 1.20 | 1.30 | 1.84 |
| 23:45 | 10 | ჩელსი-იუვენტუსი 0:1 | 3.40 | 3.40 | 1.95 | | | |
| 23:45 | 11 | რეალი-ლივერპული | 2.25 | 3.20 | 3.20 | 1.32 | 1.32 | 1.60 |
| 23:45 | 12 | რეალი-ლივერპული 0:1 | 4.20 | 3.80 | 1.65 | | | |
| 23:45 | 13 | სპორტინგი-ბაიერნი | 2.80 | 3.20 | 2.50 | 1.49 | 1.32 | 1.40 |
| 23:45 | 14 | სპორტინგი-ბაიერნი 1:0 | 1.50 | 4.10 | 5.00 | | | |
| 23:45 | 15 | ვილიარეალი-პანათინაიკოსი | 1.60 | 3.70 | 6.00 | 1.11 | 1.26 | 2.28 |
| 23:45 | 16 | ვილიარეალი-პანათინაიკოსი 0:1 | 2.50 | 3.60 | 2.30 | | | |
| | | უეფა. უეფას თასი 26 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 17 | ვოლფსბურგი-პსჟ | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 23:00 | 18 | ვოლფსბურგი-პსჟ 0:1 | 3.50 | 3.50 | 1.70 | | | |
| 23:55 | 19 | დეპორტივო-ოლბორგი | 1.50 | 3.90 | 6.40 | 1.08 | 1.21 | 2.42 |
| 23:55 | 20 | დეპორტივო-ოლბორგი 0:1 | 2.05 | 3.50 | 2.50 | | | |
| 21:00 | 21 | მეტალისტი ხარკოვი -სამპდორია | 2.15 | 3.20 | 3.15 | 1.28 | 1.27 | 1.58 |
| 21:30 | 22 | მეტალისტი ხ. -სამპდორია 0:1 | 3.80 | 3.60 | 1.60 | | | |
| 21:00 | 23 | ცსკა-ასტონ ვილა | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 21:00 | 24 | ცსკა-ასტონ ვილა 0:1 | 3.50 | 3.50 | 1.70 | | | |
| 21:15 | 25 | სტანდარდი-ბრაგა | 1.85 | 3.40 | 3.90 | 1.19 | 1.25 | 1.81 |
| 21:15 | 26 | სტანდარდი-ბრაგა 0:1 | 3.20 | 3.40 | 1.80 | | | |
| 23:55 | 27 | ვალენსია-დინამო კ | 1.45 | 3.75 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.30 |
| 23:55 | 28 | ვალენსია-დინამო კ 0:1 | 2.05 | 3.50 | 2.55 | | | |
| 22:45 | 29 | მილანი-ვერდერი | 1.45 | 3.80 | 6.60 | 1.04 | 1.18 | 2.41 |
| 22:45 | 30 | მილანი-ვერდერი 0:1 | 2.05 | 3.50 | 2.55 | | | |
| 23:45 | 31 | შტუტგარტი-ზენიტი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 23:45 | 32 | შტუტგარტი-ზენიტი 0:1 | 3.50 | 3.50 | 1.70 | | | |
| 22:30 | 33 | გალათასარაი-ბორდო | 2.05 | 3.20 | 3.50 | 1.24 | 1.29 | 1.67 |
| 22:30 | 34 | გალათასარაი-ბორდო 0:1 | 3.60 | 3.50 | 1.65 | | | |
| 21:15 | 35 | ჰამბურგი-ნაიმეგენი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 21:15 | 36 | ჰამბურგი-ნაიმეგენი 0:1 | 1.80 | 3.60 | 2.90 | | | |
| 23:45 | 37 | სტ-ეტიენი-ოლიმპიაკოსი | 2.25 | 3.25 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.53 |
| 23:45 | 38 | სტ-ეტიენი-ოლიმპიაკოსი 0:1 | 4.20 | 3.55 | 1.55 | | | |
| 23:55 | 39 | ტოტენჰემი-შახტარი | 2.15 | 3.25 | 3.15 | 1.29 | 1.27 | 1.59 |
| 23:45 | 41 | სიტი-კოპენჰაგენი | 1.45 | 4.00 | 7.00 | 1.06 | 1.20 | 2.54 |
| 23:45 | 43 | აიაქსი-ფიორენტინა | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 45 | უდინეზე-ლეხი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 21:30 | 47 | ტვენტე-მარსელი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |

### 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | არსენალი-რომა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11003 | ატლეტიკო-პორტუ | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11005 | ინტერი-მანჩესტერი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11007 | ლიონი-ბარსელონა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11009 | ჩელსი-იუვენტუსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11011 | რეალი-ლივერპული | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11013 | სპორტინგი-ბაიერნი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11015 | ვილიარეალი-პანათინაიკოსი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11017 | ვოლფსბურგი-პსჟ | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11019 | დეპორტივო-ოლბორგი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11021 | მეტალისტი ხ. -სამპდორია | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11023 | ცსკა-ასტონ ვილა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11025 | სტანდარდი-ბრაგა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11027 | ვალენსია-დინამო კ | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11029 | მილანი-ვერდერი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11031 | შტუტგარტი-ზენიტი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11033 | გალათასარაი-ბორდო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11035 | ჰამბურგი-ნაიმეგენი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11037 | სტ-ეტიენი-ოლიმპიაკოსი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11039 | ტოტენჰემი-შახტარი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11041 | სიტი-კოპენჰაგენი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11043 | აიაქსი-ფიორენტინა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11045 | უდინეზე-ლეხი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11047 | ტვენტე-მარსელი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | არსენალი-რომა | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10003 | ატლეტიკო-პორტუ | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10005 | ინტერი-მანჩესტერი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10007 | ლიონი-ბარსელონა | 4.30 | 2.00 | 2.20 | 1.36 | 1.45 | 1.04 |
| 10009 | ჩელსი-იუვენტუსი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10011 | რეალი-ლივერპული | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10013 | სპორტინგი-ბაიერნი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10015 | ვილიარეალი-პანათინაიკოსი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10017 | ვოლფსბურგი-პსჟ | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10019 | დეპორტივო-ოლბორგი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10021 | მეტალისტი ხარკოვი -სამპდორია | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10023 | ცსკა-ასტონ ვილა | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10025 | სტანდარდი-ბრაგა | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10027 | ვალენსია-დინამო კ | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10029 | მილანი-ვერდერი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10031 | შტუტგარტი-ზენიტი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10033 | გალათასარაი-ბორდო | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10035 | ჰამბურგი-ნაიმეგენი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10037 | სტ-ეტიენი-ოლიმპიაკოსი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10039 | ტოტენჰემი-შახტარი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10041 | სიტი-კოპენჰაგენი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10043 | აიაქსი-ფიორენტინა | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10045 | უდინეზე-ლეხი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10047 | ტვენტე-მარსელი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13001 | არსენალი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ატლეტიკო-პორტუ | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ინტერი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ლიონი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ჩელსი-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | რეალი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13013 | სპორტინგი-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13015 | ვილიარეალი-პანათინაიკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13017 | ვოლფსბურგი-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 13019 | დეპორტივო-ოლბორგი | 1.90 | 1.70 |
| 13021 | მეტალისტი ხარკოვი -სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13023 | ცსკა-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13025 | სტანდარდი-ბრაგა | 1.70 | 1.90 |
| 13027 | ვალენსია-დინამო კ | 1.90 | 1.70 |
| 13029 | მილანი-ვერდერი | 1.70 | 1.90 |
| 13031 | შტუტგარტი-ზენიტი | 1.70 | 1.90 |
| 13033 | გალათასარაი-ბორდო | 1.95 | 1.60 |
| 13037 | სტ-ეტიენი-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13039 | ტოტენჰემი-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 13041 | სიტი-კოპენჰაგენი | 1.70 | 1.90 |
| 13043 | აიაქსი-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13045 | უდინეზე-ლეხი | 1.90 | 1.70 |
| 13047 | ტვენტე-მარსელი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | არსენალი-რომა | 1.70 | 2.20 |
| 14003 | ატლეტიკო-პორტუ | 1.70 | 2.20 |
| 14005 | ინტერი-მანჩესტერი | 1.90 | 1.90 |
| 14007 | ლიონი-ბარსელონა | 2.20 | 1.70 |
| 14009 | ჩელსი-იუვენტუსი | 1.70 | 2.20 |
| 14011 | რეალი-ლივერპული | 1.80 | 2.00 |
| 14013 | სპორტინგი-ბაიერნი | 1.95 | 1.85 |
| 14015 | ვილიარეალი-პანათინაიკოსი | 1.30 | 2.50 |
| 14017 | ვოლფსბურგი-პსჟ | 1.70 | 2.20 |
| 14019 | დეპორტივო-ოლბორგი | 1.30 | 2.50 |
| 14021 | მეტალისტი ხ. -სამპდორია | 1.75 | 2.10 |
| 14023 | ცსკა-ასტონ ვილა | 1.70 | 2.20 |
| 14025 | სტანდარდი-ბრაგა | 1.65 | 2.30 |
| 14027 | ვალენსია-დინამო კ | 1.20 | 2.60 |
| 14029 | მილანი-ვერდერი | 1.20 | 2.60 |
| 14031 | შტუტგარტი-ზენიტი | 1.70 | 2.20 |
| 14033 | გალათასარაი-ბორდო | 1.75 | 2.10 |
| 14035 | ჰამბურგი-ნაიმეგენი | 1.20 | 2.60 |
| 14037 | სტ-ეტიენი-ოლიმპიაკოსი | 1.80 | 2.00 |
| 14039 | ტოტენჰემი-შახტარი | 1.75 | 2.10 |
| 14041 | სიტი-კოპენჰაგენი | 1.20 | 2.60 |
| 14043 | აიაქსი-ფიორენტინა | 1.80 | 2.00 |
| 14045 | უდინეზე-ლეხი | 1.30 | 2.50 |
| 14047 | ტვენტე-მარსელი | 1.80 | 2.00 |

### პირველი ტაიმი ფრეს გარეშე

| | | | |
|---|---|---|---|
| 23001 | არსენალი-რომა | 1.16 | 2.10 |
| 23003 | ატლეტიკო-პორტუ | 1.15 | 2.15 |
| 23005 | ინტერი-მანჩესტერი | 1.51 | 1.46 |
| 23007 | ლიონი-ბარსელონა | 1.90 | 1.18 |
| 23009 | ჩელსი-იუვენტუსი | 1.15 | 2.15 |
| 23011 | რეალი-ლივერპული | 1.32 | 1.65 |
| 23013 | სპორტინგი-ბაიერნი | 1.55 | 1.37 |
| 23015 | ვილიარეალი-პანათინაიკოსი | 1.08 | 2.85 |
| 23017 | ვოლფსბურგი-პსჟ | 1.15 | 2.15 |
| 23019 | დეპორტივო-ოლბორგი | 1.03 | 3.00 |
| 23021 | მეტალისტი ხ. -სამპდორია | 1.27 | 1.75 |
| 23023 | ცსკა-ასტონ ვილა | 1.16 | 2.10 |
| 23025 | სტანდარდი-ბრაგა | 1.14 | 2.25 |
| 23027 | ვალენსია-დინამო კ | 1.01 | 3.30 |
| 23029 | მილანი-ვერდერი | 1.01 | 3.30 |
| 23031 | შტუტგარტი-ზენიტი | 1.16 | 2.10 |
| 23033 | გალათასარაი-ბორდო | 1.20 | 1.80 |
| 23035 | ჰამბურგი-ნაიმეგენი | 1.00 | 3.80 |
| 23037 | სტ-ეტიენი-ოლიმპიაკოსი | 1.32 | 1.65 |
| 23039 | ტოტენჰემი-შახტარი | 1.27 | 1.75 |
| 23041 | სიტი-კოპენჰაგენი | 1.01 | 3.30 |
| 23043 | აიაქსი-ფიორენტინა | 1.32 | 1.65 |
| 23045 | უდინეზე-ლეხი | 1.01 | 3.00 |
| 23047 | ტვენტე-მარსელი | 1.33 | 1.63 |

### ფრეს გარეშე(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | არსენალი-რომა | 1.38 | 2.65 |
| 16003 | ატლეტიკო-პორტუ | 1.34 | 2.80 |
| 16005 | ინტერი-მანჩესტერი | 1.80 | 1.85 |
| 16007 | ლიონი-ბარსელონა | 2.90 | 1.32 |
| 16009 | ჩელსი-იუვენტუსი | 1.34 | 2.80 |
| 16011 | რეალი-ლივერპული | 1.58 | 2.10 |
| 16013 | სპორტინგი-ბაიერნი | 1.95 | 1.65 |
| 16015 | ვილიარეალი-პანათინაიკოსი | 1.22 | 3.40 |
| 16017 | ვოლფსბურგი-პსჟ | 1.34 | 2.80 |
| 16019 | დეპორტივო-ოლბორგი | 1.14 | 4.70 |
| 16021 | მეტალისტი ხ. -სამპდორია | 1.52 | 2.20 |
| 16023 | ცსკა-ასტონ ვილა | 1.38 | 2.65 |
| 16025 | სტანდარდი-ბრაგა | 1.32 | 3.00 |
| 16027 | ვალენსია-დინამო კ | 1.12 | 4.60 |
| 16029 | მილანი-ვერდერი | 1.12 | 4.60 |
| 16031 | შტუტგარტი-ზენიტი | 1.38 | 2.65 |
| 16033 | გალათასარაი-ბორდო | 1.45 | 2.45 |
| 16035 | ჰამბურგი-ნაიმეგენი | 1.10 | 5.50 |
| 16037 | სტ-ეტიენი-ოლიმპიაკოსი | 1.58 | 2.10 |
| 16039 | ტოტენჰემი-შახტარი | 1.52 | 2.20 |
| 16041 | სიტი-კოპენჰაგენი | 1.12 | 4.60 |
| 16043 | აიაქსი-ფიორენტინა | 1.58 | 2.10 |
| 16045 | უდინეზე-ლეხი | 1.17 | 4.10 |
| 16047 | ტვენტე-მარსელი | 1.62 | 2.05 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# როცა ფეხბურთში არ გიმართლებს



ჯერმენ პენანტი კვლავაც „პორტსმუთში“ რჩება, რაკი მისმა მეპატრონე „ლივერპულმა“ იჯარით გაშვებული ფეხბურთელის დაბრუნება არ ისურვა — რაფაელ ბენიტესის გუნდის ნახევარდაცვაში ისედაც დიდი კონკურენციაა და თან, ხელფასიც დაიზოგება.

ამით თავად პენანტი რომ უკმაყოფილოა, ადრეც გვეწერა, ოღონდ მისი არგუმენტი ის არის, რომ ბენიტესი ინგლისელ ფეხბურთელებს არ სწყალობს, თორემ პენანტს დასაწუნი რა სჭირს...

თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ პენანტის საქმეები საძაგლად მიდის და მის ცხოვრებაში კარგი არაფერი ხდება: ფეხბურთში თუ არ უმართლებს, სიყვარულში...

ვალენტინობიდან მოყოლებული ფეხბურთელმა ინგლისელ მსახიობ და მოდელ ჯენიფერ მეტკალფთან შეხვედრა განაახლა.

ჯერმენმა და ჯენიფერმა ერთი წლის წინ იჩხუბეს და დაშორდნენ. ეტყობა, მართლა სერიოზული ჩხუბი გამოუვიდათ, რაკი ამ ერთ წელიწადში პენანტი კინაღამ დაქორწინდა სხვა მოდელ ემი გრუვზე.

ახლა კი ჯერმენ პენანტმა ჯენიფერს ისევ მიუკაკუნა და გული ხელახლა შესთავაზა.



# პირველი ქალი ფორმულა ერთში

2010 წლიდან ფორმულა ერთში შესაძლოა, ქალი პილოტი გამოჩნდეს.

26 წლის დანიკა პატრიკი ახლა ინდიკარის სერიაში გამოდის და ახალი ამერიკული საჯინიბოს, USF1-ის მომავალ პილოტად ითვლება.

„დანიკა დიდებული გოგოა და პრესაშიც ძალიან პოპულარულია — თქვა USF1-ის ტექნიკურმა დირექტორმა კენ ანდერსონმა — ვიცით, რომ ინდიანაპოლისის ავტოდრომის ბოსი ტონი ჯორჯი გაცოფდება, როცა დანიკას ინდიკარიდან წავიყვანთ, მაგრამ რა ვუყოთ. ჩვენ ეს გოგო გვჭირდება.“

USF1-ის ოფიციალური პრეზენტაცია ხვალ გაიმართება და მისი წლიური ბიუჯეტი დაახლებით 50 მილიონი ევრო იქნება. როგორც მოგახსენეთ, გუნდი ფორმულა ერთში გაისად ჩაებმება.



# ლამპარდები გაიყარნენ

**ფრენკ ლამპარდი** ცოლს გაეყარა. ამ უსიამოვნო ამბის ინიციატორი კი, არა „ჩელსის“ განთქმული ფეხბურთელი, არამედ მისი მეორე ნახევარი გახლდათ. ელენ რივზმა გადაწყვეტილება მას მერე მიიღო, რაც ფლორიდაში გატარებული შვებულების მერე შინ დაბრუნდა.

როგორც ამბობენ, გაყრაში ღალატი ან რაღაც მსგავსი ამბავი არ ურევია.

უშუალოდ პროცედურა კი მარტივი იქნება, რაკი ლამპარდს და რივზს ქორწინება ოფიციალურად არც ჰქონდათ გაფორმებული. შესაბამისად, ქონების გაყოფა უმტკივნეულოდ ჩაივლის.

ლამპარდს და რივზს ორი შვილი — ორი წლის ლუნა და ერთი წლის ისლა ჰყავთ. ცოლ-ქმარი კი 2001 წლიდან იყვნენ.

# ფუ, საზიზღარი ლონდონი

## არშავინამ ენას კბილი ვერ დააჭირა





ინგლისურ პრესაში არსენალელი ანდრეი არშავინის ცოლთან, იულიასთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, რამაც ინგლისელები ფრიად ალაშფოთა. თავად არშავინამ კი თქვა, მსგავსი არაფერი მითქვამსო, თუმცა თავად ინგლისელ ჟურნალისტთა მტკიცებით, ფეხბურთელის ცოლმა შეურაცხმყოფელი კომენტარები მართლა გააკეთა, ოღონდ ერთი წლის წინ.

მაინც რას ამბობს იულია არშავინა?

აი, რას: „ლონდონელები საერთოდ არ მომეწონა, ძალიან ბინძური და მოუწესრიგებელი ხალხია. არ მომეწონა ისიც, რომ ლონდონში უამრავი ემიგრანტია. ქალები საერთოდ არ ზრუნავენ ფიგურაზე და ჩაცმულობაზე. რამდენჯერ დამინახავს — ქალები ქუჩაში ჰამბურგერებს ჭამენ და ცხიმი ტანსაცმელზე ეწვეთებათ. კაცები კი დაჩაგრულები არიან. ცოლები აიძულებენ, სარეცხიც გარეცხონ, ბავშვებსაც მიხედონ და სადილებიც ამზადონ. ლონდონში სულ რამდენიმე დღე გავატარე და ერთი სული მქონდა, სახლში როდის დავბრუნდებოდი.“

აი, ეს თქვა იულია არშავინამ და ვინძლო, ახლა ძალდიანაც ნანობს — ინგლისური პრესა ხომ ასეთ შემთხვევებში დაუნდობელია. არშავინები კი სწორედ ლონდონში გადავიდნენ საცხოვრებლად.

# დიეგო ბაბუა



**19 თებერვალს** დიეგო მარადონა ბაბუა გახდა. ჯანინა მარადონას, ვინაც მადრიდის ატლეტიკოსა და არგენტინის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელის სერხიო აგუეროს ცოლია, პირველი შვილი შეეძინა. ბავშვს ბენჯამინი დაარქვეს.

ჯანინამ მადრიდში იმშობიარა და დიეგოც და ქმარიც იქ იყვნენ. აგუერო ამის გამო კლუბსაც დაეთხოვა და ვარჯიშში გააცდინა.

დედა და ბავშვი ძალიან კარგად არიანო, იუწყება „ატლეტიკოს“ ოფიციალური ვებგვერდი.



# არმსტრონგმა პედლები დაიბრუნა



კალიფორნიის შტატის პოლიციამ ლეგენდარულ ლენს არმსტრონგს მოპარული ველოსიპედი დაუბრუნა.

„ტურ დე ფრანსის“ შვიდგზის მომგებ სპორტსმენს „რაში“ ერთი კვირის წინ მოპარეს და ხურდაში მისი ასტანელი თანაგუნდელების, სლოვენიელი იანეც ბრაჯკოვიჩის, შვეიცარიელი სტივ მორაბიტოს და უკრაინელი იაროსლავ პოპოვიჩის ველოსიპედებიც გააყოლეს.

ორდღიანი უშედეგო ძებნის მერე არმსტრონგმა ჯილდოც დაუწესა მპოვნელს, რის მერეც 20 ათას ევროდ ღირებული ველოსიპედი გამოჩნდა. პოლიციას ის მავანმა საკრამენტოელმა მოქალაქემ ჩააბარა, ვიპოვეო.

იპოვა თუ მოპარული დააბრუნა ჯილდოს მისაღებად, ამას პოლიცია იკვლევს.

**კოტე კეკელია**

# რას არ გაიგებ კომენტატორისგან

ოლსენი სკამიდან წამოხტა. იცის რომ უნდა მოხსნან და ცდილობს, კარგად მაინც გამოიყურებოდეს.

ბრაზილიელების საჯარიმოში ბურთის ჩაწოდება უაზრობაა. იქ ჟუნიორ ბაიანო დგას — მეტრი და 90 სანტიმეტრია, თანაც მაღლა ხტება.

აი, ბურთი მიაქვს... საით? მარტო თვითონ იცის.

ეს ისეთი ეპიზოდია, როცა სიტყვების გარდა ვერაფერს იტყვი.

პასი საკუთარ მეკარეს — სწორია. მასლა დარჩა გოლი გასატანი.

ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვა ადამიანებით ვაჭრობის საუკეთესო ხერხი არაა.

კუთხური. აწვდის „დინამო". უკაცრავად, ეს აუტია და თან „დინამო" არ ჩააწვდის.

მეთხუთმეტე წუთი იწურება. უკვე ათი წუთია, რაც თამაშობენ.

ტოტალიზატორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული

კოდი — წყვილი — შედეგი — კოეფ-ტი — სისტ

— ხო ვტენიდი „აიაქსს" ქვითარში და რატო არ შემატენინე, ტო! ვან ბასტენის ორიანს ცვეტში ვგრძნობდი. იმენა, იქსდვის სუნი მცემდა. თან დილიდანვე იკვეთებოდა ხაშივით.

ეგ დენჰაგებს ვერ უგებს ჰოლანდიაში, თორე იტალიელები მაკარონივით აქვს გადალეჭილი. ამიტომ მეგონა „ფიორენტინასთან" უეჭველი დვოიკა და ეგრეც წამოვიდა.

— მე არ შეგატენინე, ძმაო? პირიქით, წიხლით ვტენიდი, არ გახსოვს? მერე შენ პადკატი გამიკეთე და ამომაგდებინე.

— რაღაცას ურევ, ტო! მე ხუთშაბათის პონტს გიყვები, შენ კიდე შაბათისას მეუბნები.

— შაბათს რაღა იყო, რო?

— „ბაიერნის" ერთიანს რო მეფიცებოდი „კიოლთან" არ გახსოვს? „თხებს" გაარღვევენო, კლინსმანი ტრენერიაო.

პროსტაამც, „ჰამბურგთან" ხო იყომარეს, მერე „ჰერტასთანაც" იჩალიჩეს, ეხლა კიდე აგე, თხებს ველარ უგებენ. თხას რო ვერ მოუგებ, „ბაიერნის" ტრენერად რა გინდა, ტო! კომბალი აიღე, წადი ცხვარში, თუ თხაში, თუ როგორც არი, რა!

— აბაა... ჩემი, რეებსა შვრება. ეს გვარდიოლაც რო ყომარბაზი გამოდგა? რა მალე ჩაითრიეს, აზრზე ხარ?

არადა, რა კარგი ბიჭი იყო ცვეტში... აფსუს... რა კარგად დაიწყო... რას ვიფიქრებდი, ესე მალე თუ შეუსახლდებოდნენ ეშმაკები.

მაინც მგონია, რომ ცოტა ხანს ქირით იცხოვრებენ და ისევ გამოსახლდებიან.

— რა ქნა ეგეთი, ტო?!

— მეტი რაღა უნდა ქნას, კლასნად იყომარა „ესპანიოლთან". თან იმენა შეასრულა. კეიტას დავალებული ჰქონდა, რო უნდა გაძევებულიყო და ათი კაცით რო წააგებ, ვინ იტყვის, რო ალალად არ წააგე? არადა, უეჭველი დაუწვა.

იასნია, რო ლაპორტას სცენარია.

„ესპანიოლმა" თასზე გაატარა, აქ კიდე „ბარსამ" მისცა.

თან, აზრზე ხარ? პირველი ტურის მერე „ბარსას" ხო არ წაეგო და იმენა ბოლო ადგილზე რო გუნდია, იმასთან იყომარა. ცვეტში რო არავინ ელოდა. ტონა ბილეთი დაიხეოდა შაბათს.

— ოთხშაბათს რას იზამს „ბარსა" „ლიონთან", ორიანში არ წამოვა?

— სად წამოვა, ვინ წამოვა, რას წამოვა. შენა გგონია, რო სატანები სამ დღეში დაანებებენ თავს? მაგ ამბავს სამი-ოთხი ტური მაინც უნდა.

— აბა რას ფიქრობ?

— ეხლა პალასა დაიჭირა და ორ სამ თამაშს კიდე გატეხავს, რო „ესპანიოლთან" წაგებამ ცვეტში არ იყვიროს. აი, ნახავ, „ლიონსაც" მისცემს და მერე სახლში გადაურბენს. კუში რო ექნება ერთი და მინუს ნოლერთი და არაფერს რო არ მოგაგებინებენ.

**ქუში ქოშმარია**

ჩემი წაგებული ბილეთი:

| | წყვილი | შედეგი | |
|---|---|---|---|
| 001 | ტუბიცე—ზულტე-ვარეგემი | შვიდი და მეტი | 0:6 |
| 002 | დეპორტივო ხალაპა—დეპორტივო პეტაპა | 1,5 და ნაკლები | 2:1 |

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, იურგენ კლინსმანი
მართლა კლინსმანია,
თუ გადაცმული მეცხვარე.

114140 *




პორტუგალიელმა მაჟერმა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ყველაზე მეტი — 54 გოლი გაიტანა, რაც საუკეთესო შედეგია. ლაპარაკი პლაჟის ფეხბურთზე გვაქვს. მაჟერმა 54 გოლი 2005-2008 წლების ჩემპიონატებზე გაიტანა.

# ანეკდოტები

— სად იშოვე, პატარავ, ეს ძვირიანი ბილეთი?
— მამამ იყიდა.
— მამა სადაა?
— სახლშია, ბილეთს ეძებს.

ჯოჯოხეთის ნაკრებმა სამოთხის ნაკრებს ფეხბურთის თამაში შესთავაზა.

— რა აზრი აქვს, საუკეთესო ფეხბურთელები ხომ ჩვენ გვყავს — უპასუხეს სამოთხიდან.

— სამაგიეროდ, ყველა მსაჯი ჩვენთანაა.

სპორტული ამბები:

90 წუთი არ აღმოჩნდა საკმარისი კოლუმბიის და იამაიკის ნაკრებთა მატჩისთვის და მსაჯი იძულებული გახდა, იმდენი დრო დაემატებინა, რამდენიც საკმარისი იქნებოდა, იამაიკელებს მთელი ბალახი რომ მოეწიათ, კოლუმბიელებს კი მოედნის ყველა თეთრი ხაზი შეეყნოსათ.

პესიმისტი:
— დღევანდელ ფინალს წავაგებთ.
ოპტიმისტი:
— დღევანდელ ფინალს ისინი მოიგებენ.

რომან აბრამოვიჩმა იტალიური „რომას" ყიდვა გადაწყვიტა.
— რატომ?
— სახელი მოეწონა ძალიან.

განცხადება გაზეთში:

მარტოხელა საფეხბურთო გუნდი გაიცნობს თავისი ოცნების ოლიგარქს.

— ძვირფასო, ხანდახან მეჩვენება, რომ ფეხბურთი ჩემზე მეტად გიყვარს.
— სამაგიეროდ, კალათბურთზე მეტად მიყვარხარ.

დიმა ობოლაძეს ჩვეულ სწრაფ ტემპში მიჰყავს მატჩის რეპორტაჟი.

შემტევი გუნდის მწვრთნელი უყვირის: ცოტა ნელა, ხომ ხედავ ფეხბურთელები ტემპს ველარ ჰყვებიან.

წარმოიდგინეთ, როგორი შიში ჭამა რუსეთის ნაკრებმა საქართველოსთან იმ მატჩისას, პროჟექტორები რომ ჩაქრა: გარშემო უკუნეთი სიბნელეა და ყოველ მხარეს ათასობით ქართველი...

რამდენიმე წუთში დაიწყება მატჩი ისრაელის და პალესტინის ნაკრებებს შორის. ფეხბურთელები უკვე ხურდებიან: პალესტინელები თავის დანაღმულ ნახევარზე, ებრაელები კი ტანკების ძრავებს ახურებენ.

## ჩემპიონთა ლიგა 2008-2009
### მერვედფინალი. პირველი მატჩები. ანონსი

# სტატისტიკა და შანსი ლიდერებისთვის
# ბოლო ათი დიდ მატჩამდე



18 თვის წინ „მანჩესტერის" და „ინტერის" მატჩისას მოედანზე სტრაკერიც ჩახტა

### არსენალი — რომა

წინა ორ სეზონში „რომა" მეოთხედფინალიდან „მანჩესტერმა" გააგდო, საერთოდ კი რომაელების ბოლო ხუთი სტუმრობა ინგლისში მარცხიანი გამოდგა.

ჩემპიონთა ლიგაში „არსენალის" საშინაო წაუგებელმა სერიამ 22 მატჩს უწია.

„რომა" და „არსენალი" ექვსი წლის წინაც შეხვდნენ ერთმანეთს ჯგუფურ ეტაპზე. ლონდონში თამაში 1:1 დასრულდა, იტალიაში კი ინგლისელებმა 3:1 მოიგეს.

იტალიელებთან 11 საშინაო მატჩიდან „მეთოფეებმა" ხუთში იმარჯვეს, ოთხჯერ დამარცხდნენ და ორჯერ მეტოქეს დაუზავდნენ.

| არსენალის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | რომას ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| 4:0 | კარდიფი ათ | ატალანტა | 3:0 |
| 0:0 | ვესტ ჰემი | რეჯინა | 2:2 |
| 1:0 | ბოლტონი | ნაპოლი | 0:3 |
| 3:1 | პლიმუთი ათ | ინტერი | 2:1 ით |
| 1:0 | პორტსმუთი | ტორინო | 0:1 |
| 1:1 | ლივერპული | კატანია | 3:2 |
| 1:0 | უიგანი | კიევო | 0:1 |
| 1:0 | დინამო (კ) ჩლ | კლუჟი | 1:3 ჩლ |
| 0:2 | ასტონ ვილა | ლეჩე | 0:3 |
| 3:0 | უიგანი ლთ | ბოლონია | 1:1 |

*ათ-ინგლისის ასოციაციის თასი; ლთ-ინგლისის ლიგის თასი; ით-იტალიის თასი*

### ინტერი — მანჩესტერი

1999 წელს მეოთხედფინალში დაეჯახნენ ერთმანეთს. მანჩესტერში მასპინძლებმა მოიგეს 2:0, საპასუხო მატჩი 1:1 დასრულდა.

იმ სეზონში „მანჩესტერმა" ჩემპიონთა თასი აღმართა.

ალექს ფერგიუსონის გუნდს ჩემპიონთა ლიგაში 19-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და „ინტერთან" ორივე შეხვედრას დაუმარცხებლად თუ გაივლის, რეკორდს მოხსნის.

„ინტერმა" ათჯერ უმასპინძლა ინგლისურ კლუბებს. ექვსი მოიგო, ორჯერ დაუზავდა და ამდენივე წააგო.

„მანჩესტერი" 15-ჯერ ეწვია აპენინებს და ათჯერ დამარცხებული გაბრუნდა. ორჯერ ფრე გააზერხა, დანარჩენი კი მოიგო.

| ინტერის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | მანჩესტერის ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| 2:1 | მილანი | ფულემი | 0:3 |
| 1:1 | ტორინო | დერბი | 1:4 ათ |
| 1:0 | სამპდორია | ვესტ ჰემი | 0:1 |
| 2:1 | რომა ით | ვესტ ბრომვიჩი | 0:5 |
| 3:1 | ჯენოა ით | ბოლტონი | 0:1 |
| 1:1 | კალიარი | დერბი | 1:0 ლთ |
| 4:2 | კიევო | საუთჰემპტონი | 0:3 ათ |
| 2:1 | ნაპოლი | სტოკი | 0:1 |
| 0:1 | პანათინაიკოსი ჩლ | ტოტენჰემი | 0:0 |
| 1:0 | იუვენტუსი | სიტი | 0:1 |

### ატლეტიკო — პორტუ

გუნდები ერთმანეთს ბაზრობათა თასზე (1963) შეხვედრიან. „ატლეტიკომ" შინ 2:1 მოიგო, სტუმრად კი მატჩი უგოლოდ დასრულდა. მადრიდულმა კლუბმა პორტუგალიელ მეტოქეებს სულ სამჯერ უმასპინძლა და სამჯერვე აჯობა.

„პორტუმ" ესპანეთში ბოლოს 2004 წელს „დეპორტივოსთან" იმარჯვა 1:0 და იმ სეზონში ჩემპიონთა თასიც დაისაკუთრა. სტუმრად პრიმერადივიზიონელებთან „პორტუს" თერთმეტიდან მხოლოდ ორჯერ მოუგია, ერთი ფრე გააზერხა და რვა წააგო.

| ატლეტიკოს ბოლო ათი საშინაო მატჩი | | პორტუს ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| 1:1 | ხეტაფე | სპორტინგი | 4:1 პლთ |
| 1:2 | ვალიადოლიდი | ბელენენსეში | 1:3 |
| 2:3 | ბილბაო | ბრაგა | 0:2 |
| 1:3 | ბარსელონა ეთ | ნასიონალი | 2:1 |
| 2:0 | ბეტისი | ნასიონალი | 2:4 პთ |
| 4:1 | რასინგი | ამადორა | 2:4 |
| 2:1 | პსვ ჩლ | სინფაეში | 1:4 პთ |
| 4:1 | დეპორტივო | სეტუბალი | 0:3 |
| 0:0 | ორიუელა ეთ | ფენერბაჰჩე | 1:2 ჩლ |
| 2:0 | მალიორკა | სპორტინგი | 1:1 პთ |

*ჩლ-ჩემპიონთა ლიგა; ეთ-ესპანეთის თასი; პთ-პორტუგალიის თასი; პლთ-პორტუგალიის ლიგის თასი*

### ლიონი — ბარსელონა

ამ გუნდების მწვრთნელებს — კლოდ პუელს და ხოსეპ გვარდიოლას ერთმანეთის წინააღმდეგ ფეხბურთელობის დროსაც უთამაშიათ. 1993 წელს გვარდიოლას „ბარსამ" ჩემპიონთა თასის ჯგუფურ ეტაპზე პუელის „მონაკო" ორჯერ დაამარცხა — შინ 2:0 და სტუმრად 1:0.

„ლიონს" „ბარსელონასთან" ოთხი მატჩიდან ერთიც არ მოუგია — ფრე და სამი წაგება. შინ ერთხელ 2:3 წააგო და მეორედ 2:2 ითამაშა.

„ბარსელონას" ექვსი სტუმრობა საფრანგეთში სამი გამარჯვებით, ერთი ფრით და ორი მარცხით დამთავრდა.

| ლიონის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | ბარსელონას ბოლო ათი მატჩი სტუმრად | |
|---|---|---|---|
| 3:1 | ლე ავრი | ბეტისი | 2:2 |
| 1:1 | სტ. ეტიენი | რასინგი | 1:2 |
| 1:0 | მარსელი სთ | ესპანიოლი | 0:0 ეთ |
| 1:1 | ლორიენი | ოსასუნა | 2:3 |
| 0:0 | მარსელი | ატლეტიკო | 1:3 ეთ |
| 2:3 | ბაიერნი ჩლ | ვილიარეალი | 1:2 |
| 0:0 | ვალანსიენი | სევილია | 0:3 |
| 2:1 | ბორდო | სპორტინგი | 2:5 ჩლ |
| 1:3 | მეცი სლთ | უელვა | 0:2 |
| 2:0 | სტიაუა ჩლ | მალაგა | 1:4 |

*სთ-საფრანგეთის თასი; სლთ—საფრანგეთის ლიგის თასი; ეთ-ესპანეთის თასი*

### ჩელსი — იუვენტუსი

ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსის" საშინაო წაუგებელმა სერიამ 15 მატჩს უწია და აქედან 12 ლონდონელებმა მოიგეს. ეს სერია გუს ჰიდინკმა უნდა გააგრძელოს, რომლის ევროდებიუტიც „იუვესთან" შედგება.

„იუვენტუსს" მეოთხედფინალში გასასვლელად სტუმრად უკეთ თამაში მართებს. ტურინელებმა ბოლო ექვს პლეიოფში სტუმრად ექვსივე მატჩი წააგეს.

| ჩელსის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | იუვენტუსის ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| 0:0 | ჰალი | პალერმო | |
| 2:0 | მიდლსბრო | კატანია | 1:2 |
| 3:1 | იფსვიჩი ათ | უდინეზე | 2:1 |
| 2:1 | სტოკი | ლაციო | 1:1 |
| 1:1 | საუთენდი ათ | ატალანტა | 1:3 |
| 2:0 | ვესტ ბრომვიჩი | ლეჩე | 1:2 |
| 1:1 | ვესტ ჰემი | ზენიტი | 0:0 ჩლ |
| 2:1 | კლუჟი ჩლ | ინტერი | 1:0 |
| 1:2 | არსენალი | კიევო | 0:2 |
| 0:0 | ნიუკასლი | რეალი | 0:2 ჩლ |

*ათ-ასოციაციის თასი; ჩლ-ჩემპიონთა ლიგა*

### რეალი — ლივერპული

28 წლის წინ ჩემპიონთა თასისი ფინალში „ლივერპულმა" „რეალს" 1:0 მოუგო და მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდი მუდმივად ევროთასებზეა, ერთმანეთს მეტჯერ არ შეხვედრიან.

პრემიერლიგელებთან „რეალის" საშინაო მონაგარი ასეთია — 9 მოგება, 4 ფრე და ერთი მარცხი.

„ლივერპული" კი ესპანეთს 12-ჯერ ესტუმრა: ექვსჯერ მოიგო, ოთხჯერ ფრე ითამაშა და ორიც წააგო.

| რეალის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | ლივერპულის ბოლო ათი მატჩი სტუმრად | |
|---|---|---|---|
| | ბეტისი | პორტსმუთი | 2:3 |
| 1:0 | რასინგი | ევერტონი | 1:0 ათ |
| 1:0 | დეპორტივო | უიგანი | 1:1 |
| 3:1 | ოსასუნა | სტოკი | 0:0 |
| 1:0 | ვილიარეალი | პრესტონი | 0:2 ათ |
| 1:0 | ვალენსია | ნიუკასლი | 1:5 |
| 3:0 | ზენიტი ჩლ | არსენალი | 1:1 |
| 1:0 | უელვა | პსვ | 1:3 ჩლ |
| 3:4 | სევილია | ბლექბერნი | 1:3 |
| 4:3 | რეალ ირუნა ეთ | ბოლტონი | 0:2 |

*ჩლ-ჩემპიონთა ლიგა; ეთ-ესპანეთის თასი; ათ-ასოციაციის თასი*

### ვილიარეალი — პანათინაიკოსი

„ვილიარეალი" ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩში არასოდეს დამარცხებულა — ხუთი მოგება და ხუთი ფრე.

ბერძნებს ევროთასებზე ორჯერ შეხვდნენ და ორჯერვე სძლიეს.

1999 წლიდან „პანათინაიკოსი" ცხრაჯერ იყო ესპანეთში და ამდენჯერვე წააგო.

აქვე ვთქვათ, რომ ამ ცხრაში ხუთ გოლზე მეტი ვერ გაიტანა და 23 გაუშვა.

| ვილიარეალის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | პანათინაიკოსის ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| | სპორტინგი | ირაკლისი | 0:0 |
| 2:1 | ნუმანსია | პანსერაიკოსი | 0:0 სთ |
| 1:1 | ოსასუნა | ლევადიაკოსი | 1:2 |
| 2:0 | მალიორკა | ერგოტელისი | 1:0 |
| 1:2 | ბარსელონა | პანთრაკიკოსი | 0:4 სთ |
| 3:3 | ხეტაფე | პანთრაკიკოსი | 1:3 |
| 0:0 | მანჩესტერი ჩლ | ოფი | 0:3 |
| 0:3 | ვალიადოლიდი | ქსანტი | 1:2 |
| 1:1 | ეხიდო ეთ | ინტერი | 0:1 ჩლ |
| 2:1 | ალმერია | ლარისა | 1:1 |

*ეთ-ესპანეთის თასი; სთ-საბერძნეთის თასი; ჩლ-ჩემპიონთა ლიგა*

### სპორტინგი — ბაიერნი

„სპორტინგს" ბუნდესლიგელებთან 14 მატჩში ერთხელაც არ მოუგია.

„ბაიერნი" პორტუგალიელებთან 20 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა — ჩემპიონთა თასის ფინალში (1987) „პორტუსთან".

2006-ში ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგის ერთ ჯგუფში მოხვედნენ. ლისაბონში სტუმრებმა იყოჩაღეს — 0:1, მიუნხენში კი თამაში უგოლოდ დასრულდა.

| სპორტინგის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | ბაიერნის ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| | ბენფიკა | ჰერტა | 2:1 |
| 2:3 | ბრაგა | ჰამბურგი | 1:0 |
| 4:1 | პორტუ პლთ | შტუტგარტი | 1:5 გთ |
| 5:1 | ფერეირა პლთ | შტუტგარტი | 2:2 |
| 2:0 | მარიტიმუ | ლიონი | 2:3 ჩლ |
| 0:0 | აკადემიკა | ლევერკუზენი | 0:2 |
| 3:0 | მარიტიმუ პლთ | გლადბახი | 2:2 |
| 2:0 | გიმარაეში | შალკე | 1:2 |
| 2:5 | ბარსელონა ჩლ | ფიორენტინა | 1:1 ჩლ |
| 0:1 | ლეიშოეში | აინტრახტი | 1:2 |

*პლთ-პორტუგალიის ლიგის თასი; გთ-გერმანიის თასი; ჩლ-ჩემპიონთა ლიგა*

## უეფას თასი 2008-09. 1/16 ფინალი. პირველი მატჩები

# დონეცკი ლონდონს ლეჭავს



დონეცკელი ევგენი სელეზნიოვის გოლი

## 13 ფაქტი უეფას თასის მატჩებიდან

— ავსტრიელი ფორვარდის მარკ არნაუტოვიჩის გოლმა მარსელში „ტვენტეს“ მოაგებინა და ევროთასებზე სტუმრად ამ გუნდის რვამატჩიანი მარცხიანი სერია შეწყდა.

— „აიაქსს“ 2002 წლიდან არ მოეგო იტალიური კლუბისთვის და „ფიორენტინასთან“ ნავსი გატეხა. ფლორენციელები პირველად დამარცხდნენ ჰოლანდიურ გუნდთან.

— „ტოტენჰემი“ პირველად დაუჯახა უკრაინულ კლუბს და „შახტართან“ მისი გაცნობა წაგებით დასრულდა. დონეცკელებს ლონდონელებთან თამაში არ უჭირთ. ადრე შინ „არსენალიც“ გაუნადგურებიათ 3:0.

— „ბრაგას“ ევროთასებზე ბელგიელი მეტოქე პირველად შეხვდა და „სტანდარდს“ თავი სამი გოლით დაამახსოვრა.

— „ოლბორგის“ შვედი მწვრთნელის მაგნუს პერსონის დებიუტი ახალ კლუბში საუცხოო გამოვიდა. დანიელებმა რევანში აიღეს „დეპორთან“ 16 წლის წინანდელი მარცხის გამო. მაშინ ლა კორუნიაში მასპინძლებმა 5:0 იმარჯვეს.

— „ბორდოს“ „გალათასარაი“ აქამდე ორჯერ ჰყავდა დამარცხებული, მაგრამ ზედიზედ მესამედ ველარ მოახერხა.

— „ნაიმეგენს“ აქამდე ბუნდესლიგელთან არ ეთამაშა და პირველ ცდაზე „ჰამბურგთან“ წააგო.

— „მეტალისტმა“ უეფას თასზე ზედიზედ მეხუთე მატჩში გოლი არ გაუშვა. მათგან ოთხი ხარკოველებმა მოიგეს.

— „სამპდორიას“ ევროთასებზე შინ მიჯრით 12 მატჩი არ წაეგო და ეს ამბავიც დასრულდა.

— „ვერდერმა“ „მილანთან“ ფრით იტალიურ კლუბებთან საშინაო წაუგებელ მატჩთა სერია თორმეტამდე გაზარდა.

— „ასტონ ვილას“ რუსებთან უჭირს. ადრე „სპარტაკთან“ ორ მატჩში ვერ მოიგო, ამჯერად კი ცსკა-საც ვერ სძლია.

— „ოლიმპიაკოსს“ საკუთარ სტადიონზე ცხრა ევრომატჩი არ წაეგო, მაგრამ „სენტ ეტიენმა“ მარცხის გემო გაახსენა. ბოლო შვიდში ოდენ ერთგოლგაშვებულ ბერძნებს, ფრანგებმა ერთბაშად სამი მიართვეს.

— უკვე ცხრა მატჩია, კიევის „დინამო“ ესპანურ კლუბს ვერ უგებს, თუმც დინამოელებმა ევროთასებზე ზედიზედ მეთერთმეტე საშინაო მატჩში გოლის გატანა შეძლეს.

### ბრაგა 3:0 სტანდარდი

1:0 რენტერია (17), 2:0 ანდრე ლეონი (27), 3:0 აგუიარი (84)
ბრაგა: ედუარდო, ჟოაო პერეირა, ანდრე ლეონი, ევალდო, პეიშოტო (ორლანდო 80), ფრეშე, ვალდინიო, აგუიარი, ოსორიო (სტელვიო 88), ზე მეიონგი (ლეიტე 70), რენტერია
მწვრთნელი: ჟორჟე ჟესუსი
სტანდარდი: არაგონი, კამოცატო, ონიევუ, მიკულიჩი, მანგალა (მულემო 64), დეფური (ნიკესი 11), დალმა, ვიცელი, იოვანოვიჩი (ბენტეკე 90), მბოკანი, დე კამარგო
მწვრთნელი: ლასლო ბოლონი
გაფრთხილება: ვალდინიო, პეიშოტო, ნიკესი, მბოკანი
მსაჯი: კაპიტანისი (კვიპროსი)
9406 მაყურებელი

### ოლბორგი 3:0 დეპორტივო

1:0, 2:0 დუე (53, 70), 3:0 იაკობსენი (90+3)
ოლბორგი: ზაზა, ბოგელუნდი, იაკობსენი, ბეშამპი, ვაილერი, იოჰანსონი, დუე (რისგაარდი 81), ენევოლდსენი, აუგუსტინსენი, შელტონი (კურტი 67), კაკა (კრისტენსენი 74)
მწვრთნელი: მაგნუს პერსონი
დეპორტივო: არანსუბია, ლოპო, ა. ლოპესი, ზე კასტრო, კაზმირსკი, სერხიო, ხუან როდრიგესი, ტომასი (ლაფიტა 77), ვალერონი (ვერდუ 67), ალვარესი, მისტა (ტორდესილასი 62)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: აუგსტინსენი, კაზმირსკი, ლოპო, არანსუბია, ალვარესი, იაკობსენი, ენევოლდსენი
მსაჯი: ივანოვი (რუსეთი)
7 987 მაყურებელი

### ნაიმეგენი 0:3 ჰამბურგი

0:1 ტროხოვსკი (41), 0:2 ალექს სილვა (45), 0:3 ოლიჩი (75)
ნაიმეგენი: ბაბოში, კოენდერსი, პოტუიზენი (კივუვუ 78), ზომერი, ელ აქჩაუვი, რადომსკი, სიბუმი, დავიდსი, შონი (კაბირი 46), ტივაზონკისა, ვან ბიუკერინგი (ჩიბამბა 70)
მწვრთნელი: მარიო ბინი
ჰამბურგი: როსტი, დემელი, გრავგაარდი (ბენჟამინი 62), მატიისენი, მ. იანსენი (თუნაი 86), ალექს სილვა, აოგო, იაროლიმი, ტროხოვსკი, ოლიჩი (პიტროიპა 80), პეტრიჩი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: რადომსკი, კოენდერსი
მსაჯი: ჩეფერინი (სლოვენია)
12 500 მაყურებელი

### პსჟ 2:0 ვოლფსბურგი

1:0, 2:0 პორეუ (80, 83)
პსჟ: აპულა, არმანი, სახო, ზ. კამარა, ტრაორე, როტენი, ჩენტომი, მაკონდა (სესენიონი 64), პანკრატი (მაბიალა 82), პორეუ, ლუინდულა (პარტუჩი 71)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
ვოლფსბურგი: ბენალიო, შიმუნეკი, ბარძალი, შაფერი, ჟოსუე, ჰასებე, რიტერი (კაიუბი 87), შინდცელორცი, გენტნერი, მისიმოვიჩი (ოკუბო 62), ძეკო (რიკარდო კოშტა 79)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ჟოსუე
მსაჯი: მოენი (ნორვეგია)
27 457 მაყურებელი

### სამპდორია 0:1 მეტალისტი

0:1 ოლეინიკი (45)
სამპდორია: კასტელაცი, სტანკევიჩიუსი, რაჯი, ლუკინი, პადალინო, დესენა (სამარკო 57), პალომბო, ფრანჩესკინი (პიერი 57), ციგლერი (მარლინიო 74), ბელუჩი, კასანო
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
მეტალისტი: გორიაინოვი, მაიდანა, ობრადოვიჩი, ბორდიანი, პაპა გუიე, ედმარი (განცარჟიკი 90), რიკუნი (ბერეზოვჩუკი 89), სლისური, ვალიაევი, ოლეინიკი, კოელიო (დევიჩი 78)
მწვრთნელი: მირონ მარკევიჩი
გაფრთხილება: სტანკევიჩიუსი, ბორდიანი, კოელიო, პაპა გუიე, ოლეინიკი, გორიაინოვი, ლუკინი
მსაჯი: ბალაი (რუმინეთი)
14 774 მაყურებელი

### ბორდო 0:0 გალათასარაი

ბორდო: რამე, ჟურიეტი, დოს სანტოსი, ს. დიავარა, პლასენტე, ა. დიარა, ვენდელი (მენეგაცო 74), გურკუფი, ჟუსიე, შამახი (გუფრანი 70), კავენაგი
მწვრთნელი: ლორან ბლანი
გალათასარაი: დე სანქტისი, ბარიში, მეირა, სერვეთი, ემრე აშიკი, არდა, აიჰანი, თოპალი, ლინკოლნი (გიუვენი 86), კიუელი (საბრი 64), ბაროში (ნონდა 46)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: დოს სანტოსი, ბაროში, პლასენტე, ემრე აშიკი, ვენდელი, ჟურიეტი
მსაჯი: კირჩენა (შვეიცარია)
21 813 მაყურებელი

### ვერდერი 1:1 მილანი

0:1 ინძაგი (36), 1:1 დიეგო (84)
ვერდერი: ვიზე, მერტესაკერი, ნალდო, იოზილი, ფრიცი (ჰარნიკი 74), ბოენიში, ციოლისი, ბაუმანი (იენსენი 62), დიეგო, პიზარო, უგო ალმეიდა
მწვრთნელი: თომას შააფი
მილანი: დიდა, ძამბროტა, სენდეროსი, ბონერა, ფავალი, ფლამინი, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (იანკულოვსკი 86), რონალდინიო (ბექემი 89), ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: დიეგო, აბროზინი, ფლამინი, იენსენი, ფავალი, ნალდო
მსაჯი: დინი (ინგლისი)
36 151 მაყურებელი

### ასტონ ვილა 1:1 ცსკა

0:1 ვაგნერ ლავი (14), 1:1 კარეუ (69)
ასტონ ვილა: გუზანი, ლ. იანგი, კ. დევისი, ნაითი, შორი, გარდნერი, ს. პეტროვი, ბერი, ე. იანგი, კარეუ, აგბონლაჰორი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ცსკა: აკინფეევი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, ჩშენიკოვი, ძაგოევი (კარვალიო 80), კრასიჩი, ალდონინი (მამაევი 90), ჟირკოვი (სანერი 90), რახიმიჩი, ვაგნერ ლავი
მწვრთნელი: ზიკო
გაფრთხილება: ს. პეტროვი, ლ. იანგი
მსაჯი: რასმუსენი (დანია)
38 038 მაყურებელი

### ოლიმპიაკოსი 1:3 სენტ ეტიენი

0:1 არაუჟო (12), 0:2 დერნისი (43), 1:2 ჯორჯევიჩი (64პ), 1:3 გომისი (90)
ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი, ანცასი, პაპადოპულოსი (ჟევლიაკოვი 46), დომი, პაცაცოღლუ, გალეტი (დერბიშირი 65), დუდუ, ჯორჯევიჩი (ო. გონსალესი 77), ბელუჩი, დიოგო
მწვრთნელი: ტაკის ლემონისი
სენტ ეტიენი: ჟანო, ვაროულტი, ტავლარიდისი, მ. დაბო, მატუი, დერნისი (პოტკუე 55), მაჩადო, არაუჟო (გომისი 46), სალი, პაიე, მირალაში
მწვრთნელი: ალან პერენი
გაფრთხილება: მ. დაბო, ვაროულტი, დუდუ, დერნისი, დიოგო, პაპადოპულოსი, ტავლარიდისი
მსაჯი: ლუსილიო კორტესი (პორტუგალია)
33 000 მაყურებელი

### ზენიტი 2:1 შტუტგარტი

1:0 პუშტი (2), 1:1 გომესი (16), 2:1 ტიმოშჩუკი (45)
ზენიტი: მალაფეევი, ანიუკოვი, კრიჟანაცი, შიროკოვი, შირლი, ტიმოშჩუკი, ზირიანოვი (ფათიჰ თეკე 75), სემშოვი, პუშტი (ფაიზულინი 88), დანი, პოგრებნიაკი
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
შტუტგარტი: ლემანი, მანინი, ბულარუზი, ტასკი, ოსორიო, ლანიგი, ხედირა (ბოკა 72), ჰილბერტი, ჰიტლცშპერგერი, მარიკა (შიბერი 76), გომესი
მწვრთნელი: მარკუს ბაბელი
გაფრთხილება: ანიუკოვი, ლანიგი, კრიჟანაცი, მანინი, ტიმოშჩუკი
მსაჯი: კუიპერსი (ჰოლანდია)
17 585 მაყურებელი

### დინამო 1:1 ვალენსია

0:1 სილვა (8), 1:1 მილევსკი (63)
დინამო: ბოგუში, ელ ქადური, ბეტაო, ნესმაჩნი, გიოანე (ჩერნატი 46), მიხალიკი, ვუკოევიჩი, კრაფჩენკო (ნინკოვიჩი 66), ერიომენკო, კრავეცი (კორეა 90), მილევსკი
მწვრთნელი: იური სიომინი
ვალენსია: სეზარი, მადურო, ალბიოლი, მარჩენა, დელ ორნო, ალბელდა, ფერნანდეში (ბარახა 82), პაბლო (ხოაკინი 70), სილვა (ვილია 67), მატა, მორიენტესი
მწვრთნელი: უნაი ემერი
გაფრთხილება: მილევსკი, მადურო, ბეტაო, სილვა, მატა
გაძევება: მილევსკი (72)
მსაჯი: გიუმენი (ბელგია)
16 800 მაყურებელი

### შახტარი 2:0 ტოტენჰემი

1:0 სელეზნიოვი (78), 2:0 ჟადსონი (88)
შახტარი: პიატოვი, სრნა, იშჩენკო, ჩიგრინსკი, რაცი, ლევანდოვსკი, ფერნანდინიო, ჟადსონი, ილსინიო (ლუის ადრიანო 69), ვილიანი, გლადკი (სელეზნიოვი 78)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
ტოტენჰემი: გომესი, ზოკორა, ჰადლსტოუნი, ჰანტერი, დოუსონი, ჩიმბონდა, პარეტი (ბოსტოკი 88), ბენტლი, ჯენასი, ჯოვანი (ბენტი 69), კემპბელი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: რაცი
მსაჯი: აინვაილერი (ავსტრია)
26 450 მაყურებელი

### მარსელი 0:1 ტვენტე

0:1 არნაუტოვიჩი (22)
მარსელი: მანდანდა, მირსი, ზუბარი, ჰილტონი, ტაივო, კაბორე (ბენ არფა 31), მბამი, ვალბუენა (ზენდენი 80), შეირუ, ბ. კონე, ნიანგი (სამასა 65)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ტვენტე: ბოსხკერი, სტამი, ფრანკო, რაიკოვიჩი, ბრაფჰეიდი, ბრამა, პერესი (იანსენი 90), ტიოტი, არნაუტოვიჩი (დენებოომი 53), ნკუფო, ელია (ჰიუბახი 90)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ვალბუენა, ფრანკო, ბრამა, ელია, პერესი, ბ. კონე, მირსი
მსაჯი: სუხინა (რუსეთი)
22 652 მაყურებელი

### ფიორენტინა 0:1 აიაქსი

0:1 ბაკირჩოღლუ (60)
ფიორენტინა: ფრეი, ძაური, გამბერინი, დაინელი, პასკუალი, მელო, გობი (კუზმანოვიჩი 58), მონტოლივო, სემიოლი (იოვეტიჩი 57), ჯილარდინო, მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
აიაქსი: სტეკელენბურგი, ვან დერ ვილი, ოლეგერი, ვერმალენი, სხილდერი (სნო 77), ანიტა, ლინდგრენი, ემანუელსონი, ბაკირჩოღლუ, სუარესი, სულეიმანი (ლეონარდო 58)
მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი
გაფრთხილება: სუარესი, გამბერინი, სხილდერი, ვერმალენი
მსაჯი: მუნისი (ესპანეთი)
16 752 მაყურებელი

### ლეხი 2:2 უდინეზე

0:1 კვალიარელა (50), 0:2 არბოლედა (54ს.კ.), 1:2 რენგიფო (81), 2:2 არბოლედა (84)
ლეხი: ტურინა, ვოიტკოვიაკი, ბოსაცკი, არბოლედა, ჯორჯევიჩი, მურავსკი, ინიაჩი, ლევანდოვსკი, სტილიჩი, ვილკი (ბანდროვსკი 67), რენგიფო
მწვრთნელი: ფრანციშეკ შმუდა
უდინეზე: ჰანდაროვიჩი, საპატა, კოდა, დომიცი, პასკუალე, ისლა (ობოდო 73), ინლერი, დაგოსტინი, ასამოა გიანი, კვალიარელა, სანჩესი
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
გაფრთხილება: სანჩესი, დომიცი
მსაჯი: გენოვი (ბულგარეთი)
26 253 მაყურებელი

### კოპენჰაგენი 2:2 სიტი

0:1 ონუოჰა (29), 1:1 ალმეიდა (56), 1:2 აირლენდი (61), 2:2 ვინგორი (90)
კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, პოსპეხი, უ. ლაურსენი, ანტონსონი, ვენდტი, კურსტი (ვინგორი 60), კრისტენსენი, ნორეგორი (გრონკიაერი 70), ჰათჩისონი, ალმეიდა, სანტინი (ნდოიე 60)
მწვრთნელი: სტალე სოლბაკენი
მანჩესტერ სიტი: გივენი, ონუოჰა, რიჩარდსი, დანი, ბრიჯი, საბალეტა, კომპანი, აირლენდი, რაიტ-ფილიპსი, რობინიო (საისედო 89), ბელამი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ბელამი, რაიტ-ფილიპსი
მსაჯი: კრალოვეცი (ჩეხეთი)
27 247 მაყურებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ემანუელ, შე ნაგავო!



„ემანუელ ადებაიორს ნიგერიაში, ლაგოსის აეროპორტში აგინეს.

„არსენალის" ტოგოელი ფორვარდი პოლიციის დასაბმელი გახდა.

ლონდონში მიმავალ ფეხბურთელს თურმე „მეთოფეების" ავი ფანი, მავანი ექიმი გადაეყარა.

ამბის მოწმემ, ვინმე რილვან ადედაპომ „სანს" უამბო:

„დაახლოებით 30 წლის კაცმა ადებაიორს ყვირილი დაუწყო, ფეხბურთელმა კი ხუმრობაში გაატარა, მაგრამ კაცი გინებაზე გადავიდა. კვირაში 80 ათას გირვანქას რომ იჯიბავ, შე ნაგავო, მაგ ფულისას რას აკეთებო. მე სეზონურ აბონემენტს ვყიდულობ, რომ შენნაირებს ხელფასი გადავუხადოო".

ადებაიორი გაქაჩულა მაგინებლისკენ, მაგრამ პოლციამ გრძელ ხელებში ხელი სტაცა.

ფეხბურთელს ექიმისთვის უთქვამს, 80-ს კი არა, კვირაში 110 ათასს ვილებო და სულ გაუგიჟებია.

„პოლიცია რომ არა, თავყბას გემოზე მივუზელდი" — მოგვიანებით დაიტრაბახა ადებაიორმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# საამური ჩხუბი

**შვიდი** ფეხბურთელი გააძევეს ბრაზილიაში, „ბრაზილიისა" და „ულბრას" მატჩში.

ეს მოხდა რიო გრანდე დუ სულის რეგიონალური ჩემპიონატის პირველ ტურში.

თავპირისმტვრევაში, რომელიც თამაშის ბოლოს გახურდა და ლამის თხუთმეტ წუთს გაგრძელდა, „ბრაზილიის" პრეზიდენტი ელდერ ლოპესიც გაერია.

„ულბრას" ფეხბურთელმა როდრიგო პერეირამ მეხუთე გოლი რომ გაიტანა მასპინძელთა კარში — მატჩი 2:5 დასრულდა — გაიქცა და „ბრაზილიის" ფანების თვალწინ პროვოკაციულად იზეიმა.

ამას მოყვა გრანდიოზული ჩხუბი კუთხურის ალამთან, მიპარვით ჩაწიხლვა და მუშტის ქნევა. სათადარიგოები და მწვრთნელებიც დიდი ენთუზიაზმით ჩაერივნენ ორომტრიალში.

ელდერ ლოპესი მოედანზე შევარდა და მეტოქე ფეხბურთელს მუშტი ჩასცხო.

მსაჯმა მასპინძლების ოთხი და სტუმართა სამი მოთამაშე გააძევა.

# პირველი მოხსნა



**არგენტინის** ჩემპიონატში მწვრთნელების მოხსნის სეზონი გაიხსნა.

„რასინგის" თავკაცი ხუან მანუელ ლოპე „ინდეპენდიენტესთან" დერბიში მარცხის შემდეგ უმუშევრად დატოვეს.

ლოპმა წინა სეზონში გუნდი ქვედა დივიზიონში ჩაქვეითებისგან იხსნა, მაგრამ ეს სეზონი საშინლად დაიწყო — სამ ტურში სამივე მატჩი წააგო და დერბის მერე კლუბის შეფებმა დაიბარეს. მოკლე საუბრის მერე მწვრთნელს კარისკენ მიუთითეს.

„რასინგი" არგენტინის ერთ-ერთი პოპულარული კლუბია და შვიდჯერ იყო ჩემპიონი, თუმც 1966 წლის შემდეგ ტიტული აღარ მოუგია.

90-იანების დასაწყისში ფინანსურად გაუჭირდა და ბოლო ათ წელიწადში 16 მწვრთნელი გამოცვალეს.

# თავში ბოთლი

**„ტვენტეს"** ჰოლანდიელ ფანს სასამართლომ 12-თვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა და ორი წლის განმავლობაში საფრანგეთში შესვლა აუკრძალა.

უეფას თასზე „მარსელი" — „ტვენტეს" მატჩის წინ გამომთვრალმა ქომაგმა ფრანგ პოლიციელს თავში ბოთლი უთავაზა და სასამართლოზე დანაშაული აღიარა.

„ტვენტემ" თამაში 1:0 მიგო.

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი. XXIII ტური

# რეალი გაბზარსდა

**ბარსელონა 1:2 ესპანიოლი**

0:1, 0:2 დე ლა პენია (50, 54), 1:2 ტურე (63)

ბარსელონა: ვალდესი, ალვეში, პიკე, მარკესი, აბიდალი (პუიოლი 24), ტურე, კეიტა, ხავი, მესი, ანრი (ბუსკეტსი 46), ეტოო (გუდიონსენი 66)

მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა

ესპანიოლი: კამენი, ს. სანჩესი, პარეხა, ხარკე, დ. გარსია, მოიზესი, ანხელი (რომანი 37), ლუის გარსია, ნენე (ტამუდო 87), დე ლა პენია (კორო 72), ივან ალონსო

მწვრთნელი: მაურისიო პოკეტინიო

გაფრთხილება: პარეხა, პიკე, ლუის გარსია, ეტოო, ბუსკეტსი, ტურე, ხარკე, ხავი, ს. სანჩესი, ივან ალონსო, ტამუდო

გაძევება: კეიტა (38)

მსაჯი: დელგადო ფერეირო

76 942 მაყურებელი

**რეალი 6:1 ბეტისი**

1:0 იგუაინი (6), 2:0, 3:0 ჰუნტელაარი (14, 23), 3:1 ოლივეირა (29), 4:1, 5:1 რაული (35, 41), 6:1 რამოსი (45)

რეალი: კასილიასი, რამოსი, პეპე, კანავარო (გუტი 46), ჰაინცე, იგუაინი (სნეიდერი 46), გაგო, ლ. დიარა, მარსელო, რაული (რობენი 46), ჰუნტელაარი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

ბეტისი: რიკარდუ, ნელსონი, მელი, არსუ (ხუანმა 79), ვეგა, მ. აურელიო, ხუანდე (მონცონი 52), დამია, ემანა (რივერა 60), მარკ გონსალესი, ოლივეირა

მწვრთნელი: პაკო ჩაპარო

გაფრთხილება: ემანა, არსუ, ოლივეირა

მსაჯი: მალიენკო

72 400 მაყურებელი

**სევილია 1:0 ატლეტიკო**

1:0 ხესუს ნავასი (87)

გაფრთხილება: ფაციო, პალოპი (სევილია), ასუნსაო, პერნია, ა. ლოპესი, მანიშე (ატლეტიკო)

**ვილიარეალი 2:1 ხიხონი**

0:1 ბილიჩი (1), 1:1 როსი (2), 2:1 კაპდევილია (36)

გაფრთხილება: გოდინი, ვენტა, ფუენტესი (ვილიარეალი), ცორლუკა, ბილიჩი, მიჩელი, პედრო (ხიხონი)

**მალიორკა 1:0 რასინგი**

1:0 მარინი (88)

გაფრთხილება: ნუნიესი, ადურიცი, კორალესი, ავატი (მალიორკა), ესტრინი, პინილიოსი, ს. ნავასი (რასინგი)

გაძევება: გარაი (49, რასინგი)

**ოსასუნა 2:0 ნუმანსია**

1:0 პლასილი (2), 2:0 მასუდი (35)

გაფრთხილება: პუნიალი, პლასილი, რობერტო, პანდიანი, დელპორტი (ოსასუნა), დიმასი, ნაგორე (ნუმანსია)

**უელვა 1:1 ალმერია**

1:0 კამუნიასი (60), 1:1 ნეგრედო (75პ)

გაფრთხილება: ბარბერი, რუბენი (უელვა), ქ. გარსია, პიატი, სორიანო (ალმერია)

გაძევება: კრუსატი (21, ალმერია)

**ვალიადოლიდი 1:3 მალაგა**

0:1 ლუკე (7), 0:2 აპონო (28პ), 1:2 გოიტომი (82), 1:3 ნ. პერესი (88)

გაფრთხილება: ლეონი, ვიქტორი, აგირე (ვალიადოლიდი), კალეხა, ველინგტონი (მალაგა)

**ხეტაფე — ატლეტიკო**

**დეპორტივო — ვალენსია**

**წუხელ გვიან დამთავრდა, იხ. 31-ე გვერდზე. შედეგები ცხრილში შეტანილი არ არის**

**13 ყვითელით,** ერთი წითელით და „ბარსლონას" წაგებით დასრულდა კატალონიური დერბი.

ხოსეპ გვარდიოლას გუნდმა პირველი ტურის შემდეგ („ნუმანსიასთან") მარცხის გემო არ იცოდა და „ესპანიოლმა" გაახსენა. ყოფილმა ბარსელონელმა ივან დე ლა პენიამ წყვილი გოლი გაიტანა მას შემდეგ, რაც მასპინძლებს პირველ ტაიმში სეიდუ კეიტა გაუძევეს.

„ვიცოდი, რომ ურთულესი მატჩი გველოდა — თქვა გვარდიოლამ — წავაგეთ, მაგრამ კვლავაც ლიდერები ვართ და მომდევნო შეხვედრაში შევეცდებით გამარჯვებას".

მწვრთნელმა მსაჯი არ გააკრიტიკა კეიტას გაძევებისთვის, აი, ხავი კი გაბრაზდა: „არბიტრი აშკარად შეცდა. არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, რამაც თამაშის ბედი გადაწყვიტა".

ამასობაში კი „რეალი" „ბარსელონად" გადაიქცა და ზედიზედ მეათე მატჩი მოიგო. ამით კატალონიელებთან სხვაობა შვიდ ქულამდე შეამცირა და საჩემპიონო რბოლის ინტრიგა გააცოცხლა.

კლაას იან ჰუნტელაარმა წინა ტურში პირველი რეალური გოლი შეაგდო, „ბეტისთან" კი დუბლი შეასრულა — ისევე, როგორც რაულმა. „რეალს" ექვსი გოლისთვის 38 წუთი დასჭირდა და კიდევ კარგი, „ბეტისს" შესვენებამ მოუსწრო, თორემ ისეთ საშინელ დღეში იყო, რომ თორმეტსაც გაუშვებდა.

„მე არასოდეს მითქვამს, რომ „რეალს" ჩემპიონობის იმედი გადაეწურა. ჩვენ მივუახლოვდით „ბარსას" და მგონი, ნამდვილი ბრძოლა ახლა იწყება. პირველ წრეში „რეალს" ჩავარდნა ჰქონდა და ეს ყველა გუნდისთვის დამახასიათებელია. ამჯერად „ბარსას" დაუდგა მძიმე პერიოდი, ჩვენ კი აღმავლობის გზაზე ვართ.

ფეხბურთელები აშკარად უკეთეს ფორმაში არიან, ვიდრე ერთი თვის წინ იყვნენ".

**რომან თურქია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 24 | 19 | 3 | 2 | 71:20 | 60 |
| რეალი | 24 | 17 | 2 | 5 | 54:28 | 53 |
| სევილია | 24 | 13 | 5 | 6 | 32:21 | 44 |
| ვილიარეალი | 24 | 11 | 8 | 5 | 38:32 | 41 |
| მალაგა | 24 | 11 | 6 | 7 | 41:35 | 39 |
| ვალენსია | 23 | 11 | 5 | 7 | 43:34 | 38 |
| ატლეტიკო | 24 | 10 | 6 | 8 | 48:35 | 36 |
| დეპორტივო | 23 | 10 | 5 | 8 | 27:29 | 35 |
| ბილბაო | 23 | 8 | 6 | 9 | 33:36 | 30 |
| ვალიადოლიდი | 24 | 9 | 3 | 12 | 35:39 | 30 |
| რასინგი | 24 | 7 | 8 | 9 | 25:28 | 29 |
| ალმერია | 24 | 7 | 7 | 10 | 30:38 | 28 |
| ხეტაფე | 23 | 6 | 9 | 8 | 33:35 | 27 |
| ხიხონი | 24 | 9 | 0 | 15 | 30:53 | 27 |
| ბეტისი | 24 | 7 | 5 | 12 | 32:38 | 26 |
| უელვა | 24 | 6 | 8 | 10 | 21:34 | 26 |
| ოსასუნა | 24 | 5 | 9 | 10 | 25:29 | 24 |
| მალიორკა | 24 | 6 | 6 | 12 | 24:40 | 24 |
| ესპანიოლი | 24 | 4 | 9 | 11 | 22:38 | 21 |
| ნუმანსია | 24 | 6 | 2 | 16 | 26:48 | 20 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 23 |
| ვილია (ვალენსია) | 18 |

**სეგუნდადივიზიონი**
**XXV ტური**

ალბასეტე — კასტელიონი 2:0; სელტა — ეიბარი 1:2; ელჩე — სარაგოსა 2:0; უესკა — ტენერიფე 0:0; ლას პალმასი — მურსია 0:1; რაიო ვალეკანო — ატლეტიკო B 1:0; სოსიედადი — ერკულესი 1:2; კორდობა — ხერესი 1:2; ალიკანტე — ხიმნასტიკი 1:3; ლევანტე — ალავესი 2:3; სალამანკა — ხირონა 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 25 | 14 | 7 | 4 | 45:24 | 49 |
| ტენერიფე | 25 | 13 | 5 | 7 | 44:34 | 44 |
| რაიო ვალეკანო | 25 | 11 | 10 | 4 | 31:23 | 43 |
| ერკულესი | 25 | 11 | 9 | 5 | 38:23 | 42 |
| სარაგოსა | 25 | 11 | 7 | 7 | 40:28 | 40 |
| კასტელიონი | 25 | 10 | 10 | 5 | 35:26 | 40 |
| სალამანკა | 25 | 10 | 8 | 7 | 38:28 | 38 |
| სოსიედადი | 25 | 8 | 12 | 5 | 24:20 | 36 |
| ხირონა | 25 | 8 | 11 | 6 | 29:29 | 35 |
| ლევანტე | 25 | 10 | 5 | 10 | 35:38 | 35 |
| ხიმნასტიკი | 25 | 8 | 10 | 7 | 39:31 | 34 |
| უესკა | 25 | 8 | 10 | 7 | 32:30 | 34 |
| მურსია | 25 | 10 | 4 | 11 | 26:30 | 34 |
| ელჩე | 25 | 8 | 9 | 8 | 31:28 | 33 |
| სელტა | 25 | 8 | 9 | 8 | 28:28 | 33 |
| ალბასეტე | 25 | 8 | 8 | 9 | 29:34 | 32 |
| ლას პალმასი | 25 | 6 | 10 | 9 | 28:27 | 28 |
| კორდობა | 25 | 7 | 6 | 12 | 24:30 | 27 |
| ეიბარი | 25 | 7 | 6 | 12 | 19:33 | 27 |
| ალავესი | 25 | 7 | 6 | 12 | 26:42 | 27 |
| ალიკანტე | 25 | 3 | 7 | 15 | 19:43 | 16 |
| სევილია B | 25 | 1 | 7 | 17 | 14:45 | 10 |



აი, ასე განიცადა წაგება „ბარსელონას" კაპიტანმა კარლეს პუიოლმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გერმანია

## ბუნდესლიგა. XXI ტური

# ესლა აკლდა

**ვოლფსბურგი 2:1 ჰერტა**

0:1 სისერო (62), 1:1, 2:1 ძეკო (72, 83)
ვოლფსბურგი: ლენცი, პეკარიკი, შიმუნეკი, ბარძალი, კარიმოვი (ეშვაინი 61), მადლუნგი (ოკუბო 68), ჟოსუე, გენტნერი, შაფერი, მისიმოვიჩი (ჰასებე 78), ძეკო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰერტა: დრობნი, შტაინი (ჩერმიტი 87), ა. ფრიდრიხი, შიმუნიჩი, როდნი, დარდაი (დომოვჩისკი 87), სისერო, ებერტი (ბაბიჩი 72), ნიკუ, რაფაელი, ვორონინი
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
გაფრთხილება: მისიმოვიჩი, როდნი, ებერტი
მსაჯი: კირხერი
29 300 მაყურებელი

**ბაიერნი 1:2 კიოლნი**

0:1 ერეთი (22), 0:2 ბროსინსკი (34), 1:2 ვან ბუიტენი (84)
ბაიერნი: რენსინგი, ოდო, დემიკელისი, ვან ბუიტენი, ლამი, ვან ბომელი, ზე რობერტო (ბოროვსკი 65), შვაინშტაიგერი (ჰამით ალთინთოფი 46), რიბერი, კლოზე, პოდოლსკი (დონოვანი 46)
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
კიოლნი: მონდრაგონი, ბრეჩკო, გერომელი, მაკკენა, მათიპი, პეტიტი, პეცონი, ბროსინსკი (სანუ 76), ერეთი (ბროიხი 85), ვუჩიჩევიჩი (კ. ბოატენგი 90), ნოვაკოვიჩი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: ვან ბუიტენი, ოდო, პეცონი, ბრეჩკო, ერეთი
მსაჯი: რაფატი
68 622 მაყურებელი

**ლევერკუზენი 1:2 ჰამბურგი**

0:1 იანსენი (18), 1:1 ჰელმესი (29), 1:2 იანსენი (66)
ლევერკუზენი: ადლერი, კასტრო, მ. ფრიდრიხი, ენრიკე, კადლეცი, როლფესი, აუგუსტო, ვიდალი (ბარისტიჩი 79), ბარნეტა (დუმი 79), ჰელმესი, კისლინგი
მწვრთნელი:
ჰამბურგი: როსტი, დემელი (ჟ. ბოატენგი 60), გრავგაარდი (ბენჟამინი 44), მატიისენი, აოგო, ალექს სილვა, იაროლიმი, ტროხოვსკი, იანსენი, გერერო, ოლიჩი (ტავარეში 88)
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: კასტრო, მატიისენი, ენრიკე, მ. ფრიდრიხი, ბენჟამინი, ვიდალი
გაძევება: ჟ. ბოატენგი (86)
მსაჯი: მაიერი
40 000 მაყურებელი

**შტუტგარტი 3:3 ჰოფენჰაიმი**

0:1 ბა (24), 1:1 კაკაუ (26), 2:1 გომესი (31), 2:2 ბა (45), 3:2 გომესი (63), 3:3 ბა (67)
სალიჰოვიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (90)
შტუტგარტი: ლემანი, ოსორიო, ტასკი, ბულარუზი, ბოკა (მანინი 30), ხედირა, ჰიტცლშპერგერი, შიმაკი (ლანიგი 71), ჰილბერტი, გომესი, კაკაუ (მარიკა 83)
მწვრთნელი: მარკუს ბაბელი
ჰოფენჰაიმი: ჰაასი, ბეკი, ჯეისლი, კომპერი, იბერცბერგერი, ვორსა, სალიჰოვიჩი, ლუის გუსტავო (ტერაცინო 68), ვაისი (სანაგო 68), ედუარდო, ბა (ტებერი 77)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: მანინი, სალიჰოვიჩი, კომპერი, კაკაუ, ლანიგი, ბულარუზი
მსაჯი: კემპტერი
54 300 მაყურებელი

**შალკე 1:1 დორტმუნდი**

1:0 კურანი (20), 1:1 ზიდანი (81)
გაფრთხილება: ჰოოვედესი (შალკე), ბ. ბოატენგი, შმელცერი, კელი, ვალდესი (დორტმუნდი)

**კოტბუსი 2:1 ვერდერი**

0:1 ალმეიდა (46), 1:1 ილიევი (51), 2:1 რანგელოვი (90)
გაფრთხილება: პავიჩევიჩი (კოტბუსი), ალმეიდა, ბაუმანი, ფრიცი, ბოენიში (ვერდერი)

**არმინია 1:1 ბოხუმი**

0:1 კლიმოვიჩი (30), 1:1 მიატოვიჩი (83)
გაფრთხილება: კაუფი, ვიშნიარეკი (არმინია), დაბროვსკი, კლიმოვიჩი, კლიმოვიჩი (ბოხუმი)
გაძევება: კლიმოვიჩი (86)

**კარლსრუე 0:1 აინტრახტი**

0:1 კაიო (53)
გაფრთხილება: და სილვა, საგლიკი (კარლსრუე), პეტკოვიჩი, ლიბეროპულოსი, მაჰდავიკია (აინტრახტი)

**გლადბახი 3:2 ჰანოვერი**

1:0 ბაუმიოჰანი (36), 2:0 მარინი (43), 2:1 პინტუ (53), 2:2 შულცი (77), 3:2 ნოივილი (83)
გაფრთხილება: დორდა, გალაშეკი (გლადბახი), ტარნატი, პინტუ, ბალიტჩი (ჰანოვერი)

**„ბაიერნმა“** მეორე წრე საშინლად დაიწყო — ოთხ მატჩში სამი წაგება. არადა, პირველი წრე ისე დაასრულა, რომ ფანები უკეთეს გაგრძელებას ელოდნენ.

ეს იყო მეორე საშინაო მარცხი „ბაიერნისა“. შარშან მიუნხენში „ვერდერმა“ 5:2 მოიგო.

„დღეს რაღაცები არასწორად გავაკეთეთ — თქვა იურგენ კლინსმანმა — პირველმა გოლმა რატომღაც დაგვაბნია და თამაში ველარ ავაწყვეთ. ორთაბრძოლებშიც მოვიკოჭლებდით და სისწრაფეც გვაკლდა“.

ერეთმა და დებიუტანტმა ბროსინსკიმ 12 წუთში ორი გაუტანეს მასპინძლებს და „ბაიერნი“ გონს ველარ მოვიდა. დანიელ ვან ბუიტენის გვიანი გოლი მიუნხენელებს ქულის გადასარჩენად არ ეყოთ.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ვერ მოვიგეთ, რადგან გამარჯვება პირველ ადგილზე გადაგვიყვანდა, თუმც მეორე მხრივ, იღბალიც გვაქვს, რადგან კონკურენტებმაც ვერ იმარჯვეს“ — თქვა კლუბის შეფმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

„კიოლნის“ მწვრთნელ კრისტოფ დაუმისთვის ეს 150-ე მატჩი იყო „თხებში“ და იუბილეზე გამარჯვებით გაიხარა: „აი, ეს მაკლდა კარიერაში და ახლა დავისვენე“.

1989 წელს დაუმის „კიოლნმა“ „ბაიერნთან“ საჩემპიონო მატჩი წააგო. მაშინ დაუმსა და „ბაიერნის“ მენეჯერ ული ჰიონესის სიტყვიერი და ჯერაც დაუსრულებელი ომი დაწყო.

მას შემდეგ ეს ორნი ერთმანეთში ვერ რიგდებიან. „შტუტგარტში“ და „ლევერკუზენში“ მუშაობისასაც დაუმი „ბაიერნთან“ საჩემპიონო ბრძოლებში დამარცხდა, ამჯერად კი ყველაფერზე ერთად შური მიუნხენში იძია და გული მოიფხანა.

ცხრილის თავში კი — სანამ ტურის ბოლო მატჩში — „ჰამბურგი“ ლევერკუზენში მოიგებდა — ისევ მოექცა „ჰოფენჰაიმი“, რომელმაც დემბა ბას ჰეთ თრიქის წყალობით „შტუტგარტს“ ქულა წაჰგლიჯა. ამის მერე კი „ჰამბურგმაც“ მოიგო და მესამე ადგილზე მოისროლა წინა ტურში დაწინაურებული „ჰერტა“, რაკი სისეროს გოლის მერე უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და ედინ ძეკოს დუბლმა ბერლინელები უქულოდ დატოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამბურგი | 21 | 13 | 3 | 5 | 33:28 | 42 |
| ჰოფენჰაიმი | 21 | 12 | 4 | 5 | 49:31 | 40 |
| ჰერტა | 21 | 12 | 4 | 5 | 33:25 | 40 |
| ბაიერნი | 21 | 11 | 5 | 5 | 44:30 | 38 |
| ლევერკუზენი | 21 | 11 | 3 | 7 | 44:29 | 36 |
| ვოლფსბურგი | 21 | 10 | 6 | 5 | 42:27 | 36 |
| შტუტგარტი | 21 | 9 | 6 | 6 | 38:31 | 33 |
| დორტმუნდი | 21 | 7 | 11 | 3 | 31:25 | 32 |
| შალკე | 21 | 8 | 7 | 6 | 27:20 | 31 |
| კიოლნი | 21 | 8 | 4 | 9 | 24:29 | 28 |
| ვერდერი | 21 | 7 | 6 | 8 | 42:34 | 27 |
| აინტრახტი | 21 | 6 | 5 | 10 | 27:35 | 23 |
| ჰანოვერი | 21 | 5 | 6 | 10 | 27:41 | 21 |
| კოტბუსი | 21 | 5 | 5 | 11 | 18:34 | 20 |
| არმინია | 21 | 3 | 10 | 8 | 19:32 | 19 |
| ბოხუმი | 21 | 3 | 9 | 9 | 24:34 | 18 |
| კარლსრუე | 21 | 5 | 2 | 14 | 18:37 | 17 |
| გლადბახი | 21 | 4 | 4 | 13 | 23:41 | 16 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი) | 18 |
| ჰელმესი (ლევერკუზენი) | 16 |
| გომესი (შტუტგარტი) | 13 |

**II ბუნდესლიგა. XXI ტური**

ფრაიბურგი — აუგსბურგი 1:0; ინგოლშტადტი — ალემანია 0:0; მაინცი — ჰანზა 3:1; ალენი — ობერჰაუზენი 1:3; დუისბურგი — მიუნხენი 4:1; ფრანკფურტი — ოსნაბრიუკი 1:0; კობლენცი — ფიურტი 3:0; ნიურნბერგი — ვეჰენი 1:0; ზანკტ პაული — ლაუტერნი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 21 | 13 | 3 | 5 | 36:20 | 42 |
| მაინცი | 21 | 11 | 6 | 4 | 42:24 | 39 |
| ფიურტი | 21 | 10 | 6 | 5 | 45:29 | 36 |
| ლაუტერნი | 20 | 10 | 5 | 5 | 36:25 | 35 |
| ალემანია | 21 | 9 | 6 | 6 | 35:25 | 33 |
| დუისბურგი | 21 | 8 | 8 | 5 | 32:22 | 32 |
| ნიურნბერგი | 21 | 8 | 8 | 5 | 30:23 | 32 |
| აუგსბურგი | 21 | 8 | 5 | 8 | 27:26 | 29 |
| ზანკტ პაული | 20 | 8 | 4 | 8 | 32:38 | 28 |
| ობერჰაუზენი | 21 | 8 | 4 | 9 | 23:34 | 28 |
| ალენი | 21 | 8 | 3 | 10 | 28:40 | 27 |
| მიუნხენი | 21 | 7 | 5 | 9 | 25:26 | 26 |
| კობლენცი | 21 | 6 | 6 | 9 | 29:33 | 24 |
| ფრანკფურტი | 21 | 5 | 8 | 8 | 23:28 | 23 |
| ინგოლშტადტი | 21 | 6 | 5 | 10 | 24:36 | 23 |
| ოსნაბრიუკი | 21 | 4 | 8 | 9 | 28:41 | 20 |
| ჰანზა | 21 | 4 | 6 | 11 | 30:39 | 18 |
| ვეჰენი | 21 | 3 | 8 | 10 | 21:37 | 17 |

**III ლიგა**

უნტერჰახინგი — ფორტუნა 2:1; ემდენი — კარლ ცაისი 3:1; ოფენბახი — ვუპერტალი 1:2. ერფურტი — ალენი, რეგენსბურგი — პადერბორნი, ზანდჰაუზენი — კიკერსი, შტუტგარტი (მ) — დინამო, ბაიერნი (მ) — ბრაუნშვაიგი, აუე — ვერდერი (მ) და ბურგჰაუზენი — უნიონი გადაიდო

**ჩრდ. რეგიონალლიგა**

ჰალეშერი — ლიუბეკი 0:0; კილი — მაგდებურგი 1:1; ჰანოვერი (მ) — კოტბუსი (მ) 2:1. ქემნიცი — ალტონა, ობერნეულანდი — თურქიემსფორი, ჰანზა (მ) — ვოლფსბურგი (მ), ჰამბურგი (მ) — ლაიფციგი, ჰერტა (მ) — პლაუენი და ბაბელსბერგი — ვილჰემშაფენი გადაიდო

**სამხრეთ რეგიონალლიგა**

ყველა მატჩი გადაიდო

**დასავლეთ რეგიონალლიგა**

დორტმუნდი (მ) — კლევე 5:2; ლაუტერნი (მ) — მიუნსტერი 1:1; ლოტე — მაინცი (მ) 0:1; შალკე (მ) — ესენი 2:1. ელვერსბერგი — ლევერკუზენი (მ), კიოლნი (მ) — კლოპენბურგი, ბოხუმი (მ) — ვორმსი, ოგერშაიმი — გლადბახი (მ), ფერლი — ტრირი გადაიდო




# გადაგდებული ბუცის ამბავი

**ამ** ორმოციოდე წლის წინ საბჭოთა კავშირის ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა გაეროს მე-15 კონგრესზე ფეხსაცმელი გაიხადა და ტრიბუნას ურტყა, რითაც კარიბის კრიზისი გააპროტესტა.

ახლახანს ამერიკის აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ბაღდადში სტუმრობისას ერაყელმა ჟურნალისტმა ესროლა ფეხსაცმელი, მაგრამ ააცილა.



ეს ამბავი კი გერმანული ბუნდესლიგის წინა ტურში მოხდა:

„შტუტგარტისა“ და „ჰოფენჰაიმის“ მატჩისას, რომელიც 3:3 დასრულდა, ჰოფენჰაიმელ სეად სალიჰოვიჩს მეტოქის საჯარიმოში ბუცი გაძვრა. ბუცი შტუტგარტელთა მეკარე იენს ლემანმა იპოვა და მოედნიდან მოისროლა — კარის ბადეზე შეაგდო.

მსაჯმა სალიჰოვიჩს უბუცოდ თამაშის უფლება არ მისცა და დაკარგული ამუნიციის მოსაძებნად გაგზავნა. ამ ამბავმა ფეხბურთელზე ეტყობა, ისე იმოქმედა, რომ ცოტა ხანში ლემანს პენალტი ვერ გაუტანა და თავის გუნდს ვერ მოაგებინა.

**ქოტე ქექელია**

# დამალულები

„**ჰოფენჰაიმის**“ მცველების — ანდრეას იბერტსბერგერის და კრისტოფ იანკერის საქმე ცუდადაა.

ორივემ დაიგვიანა დოპინგ-ტესტზე და გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია პასუხს ითხოვს.

7 თებერვალს „გლადბახთან“ მატჩის შემდეგ მათ ათი წუთი ალოდინეს ექიმებს და მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება ტესტის შედეგი, ფეხბურთელები შესაძლოა, მკაცრად დასაჯონ.

„ეს ზუსტად იგივეა, რაც დანიელე მანინის და დავიდე პოსანცინის შემთხვევაში მოხდა. „ბრეშას“ ფეხბურთელებმაც დაიგვიანეს ტესტზე და ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს.

ამ საქმეს სადისციპლინო კომიტეტი მიხედავს“ — თქვა საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა რაინერ კოხმა.

იბერტსბერგერი ავსტრიელია, იანკერი კი გერმანელი.

# ულიმ ფიოლერი გადამალა

**ჯერ** უცნობია, თუ ვინ შეცვლის „ბაიერნის“ გენერალურ მენეჯერ ული ჰიონესს, მაგრამ გერმანულ მედიაში უკვე გაჩნდა სავარაუდო კანდიდატთა გვარები.

საუბარი იყო ოლივერ კანზე, მეჰმეთ შოლზე, ოლივერ ბირჰოფზე და კლაუს ალოფსზე.

ახლა კი რუდი ფიოლერის გვარმაც გაიჟღერა, რომელიც ამჟამად „ლევერკუზენის“ სპორტული დირექტორია. რუდი ფიოლერსა და „ბაიერნს“ შორის მოლაპარაკებაც დაწყებული ყოფილა.

„ამ საკითხზე კომენტარს არ ვაკეთებ. რამდენიმე ვარიანტზე ვმუშაობთ და წლის ბოლოს ყველაფერი გაირკვევა“ — თქვა ჰიონესმა.

„როცა ჰიონესის დონის კაცი თანამდებობიდან მიდის, გასაგებია, რომ მედია მისი შემცვლელის გამოჩხრეკას ცდილობს. დიდი პატივია, თუ ჩემს სახელს „ბაიერნს“ უკავშირებენ, მაგრამ თავს „ლევერკუზენშიც“ კარგად ვგრძნობ“ — განაცხადა ფიოლერმა.

ული ჰიონესი წლის ბოლოს ფრანც ბეკენბაუერის ადგილს დაიკავებს და კლუბის პრეზიდენტი გახდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო ახვლედიანის




# სკოლარები

თუ მიგიქცევიათ ყურადღება, რომ ბრაზილიელი მწვრთნელები ევროპაში მაინცდამაინც ბევრს ვერაფერს აკეთებენ.

ბრაზილიელ ფეხბურთელებთან მათი შედარება წარმატების ამბავში შეუძლებელი რამ გახლავთ.

ახლა რომ ვიხსენებ, ვინმე დიადი და განთქმული არ გამომრჩეს-თქო, ვერც ვერავის ვიხსენებ ისეთს, სამწვრთნელო ამბავში რომ კვალი დაეჩნიოს ევროპული ფეხბურთისთვის.

ერთი ოტო გლორია მახსენდება.

ეს საინტერესო ამბავია. რომ წაყვე ამ ფიქრს, ზედ არგენტინელი მწვრთნელებიც უნდა დაუმატო. იქედან ერთი ელენიო ერერა მოგაგონდება. დანარჩენები როგორღაც, ჩამოვლენ, წაიმუშავებენ და უკან მიდიან. გინდა, მენოტი აიღეთ და გინდა, კარლოს ბიანკი.

